




# ისტორიული მამკვიდრობება

სამათებირო-კონფლიქტული შურცალი, 2016 წ. აგვისტო, №8(71), ფასი 3 ლარი



**12 აგვისტოს მოძღვა  
ცოტნე დაზიანის  
ცენების დღეა,  
გილოზავთ ყველას!  
მოყვასისადმი  
მოძღვა ცოტნესეული  
თავზადების ცელი  
გარდამოსელიყო  
ჩვენებ!**

4


**7** ერებელი  
კეკელიძე –  
საქართველოს  
მთხოვანია  
აკადემიკი  
თანააზ-  
ვეპნებელი

**20** სავალი  
ორგანის სახი  
კართველი  
მეზა

**23** ესალება  
კართველი  
სალის  
უფლის და  
კულტურის  
ისტორიისათვის

**30** გრიგორ  
დიმისმიძე –  
საქართველოს  
«ნითელი  
ჯერის»  
საზოგადოებრივი  
ერთ-ერთი  
დამფუძნებელი

**მსგავსი რამ ისტორიას არ ახსოვას!** 10



მხატვალი დავით ოლერი

ელისო დადიანის პორტრეტი —  
საველი სორინის ნახატი



# სარჩვი

საქართველოს თავდაცემი	
<b>მიზანის მიზანი – «კულტურული და საოცნების და პრემიუმის განვითარების სახელმწიფო სამინისტრო»</b>	4
„მაქტის მკარღის მიზანი“	
<b>ციფრული ტექნიკის ტაქსი 1000 ლირაა</b>	6
უცნებელი სისტემის მიზანი	
<b>კულტურული კურანტი – საქართველოს მასშტაბური აკადემიის თანამდებობები</b>	7
მატიანე	
<b>მსგავსი რამ ისტორიას არ ახსოვს!</b>	10
მსამართებელი	
<b>სავალი სორის სამი კართველი მაზა</b>	20
უცნებელი სისტემის მიზანი	
<b>კულტურული სისტემის მიზანი: მასშტაბი კულტურული სალების უმფლის და კულტურის ისტორიის მიზანი</b>	23
„მიზანის მიზანი“	
<b>გრიგოლ ღიასამინი – საქართველოს «ციფრული ჯვრის» საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი</b>	30
უცნებელი არაფის ცენტრები	
<b>კუკი და კატერინა გრიგორი</b>	32
ეთონოგრაფის ჩანაწერები	
<b>თეოდორ სახოვავა: მოგზაურობა გერმანია</b>	36
რა ხელმა ააგო	
<b>ეთიო ჭალიძე: გაცილებებული განა საუკუნეების ხაროვნების არაფის</b>	44
არქეოლოგია	
<b>ღილაურის ცენტრის დამარცვა</b>	48

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი  
„ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია  
პასუხისმგებელი რედაქტორი დარეპარ ანდრიაძე  
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

UDC (უაკ) 050 (479.22)  
0-892

# ცილი ცოტნი და დიაკონი – «ქაში კატიონის და სათონისი და ბაძოლებას გინა სახელმწანი»

საქართველოში ყველამ იცის ცოტნე დადიანის შესახებ,  
მისი გმირობა ყოველთვის სარწმუნობის, სიყვარულისა  
და თავდადების მაგალითი იყო და ერთ ყოველთვის  
წმინდანის პატივს მიაგებდა მას.  
გთავაზობთ იაკობ გოგებაშვილის მშვენიერ მოთხოვნას  
„ცოტნე დადიანი“.

## მოცელი საქართველოში

მეცამეტე საუკუნის შუა წლებში საქართველოსათვის თავდადებულობით თავი ისახელა ერთმა დიდებულმა ქართველმა, სახელად ცოტნე დადიანმა. აი, როგორ მოხდა ეს ამბავი.

თამარ მეფის სიკვდილის შემდეგ არ გასულიყო ჯერ თორმეტი წელინადი, რომ ჩვენს ქვეყანას შემოესია მრავალრიცხოვანი და უმძლავრესი მტერი — მონგოლები. ამ ველურმა ხალხმა მოინდომეს საქართველოს დაპყრობა. მათ მოსთხოვეს ქართველებს, ნებაყოფლობით დაგვმორჩილდით, მაგრამ ცივი უარი მიიღეს. მაშინ მათი ლაშქარი შემოესია ჩვენს ქვეყანას და დაინყო ხანგრძლივი ბრძოლა ქართველთა და მონგოლთა შორის. ქართველებმა დიდი ვაჟკაცობა უჩვენეს მტერს, სამშობლოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას თავგანწირულნი იცავდნენ, მედგრად ეპრძოდნენ მონგოლებს, ულეჭდნენ მათ, მაგრამ მტრის სიმრავლის გამო ბოლოს მაინც ძლეულნი იყვნენ. გამარჯვებულმა მონგოლებმა იწყეს მბრძანებლობა საქართველოში და სწრაფად შესცვალეს მისი მდგომარეობა. ქვეყანა სწრაფად გააღარიბეს, თავისუფალს ერს ყმობის უღელი დაადგეს.

მტერს მაინც ეშინოდა ქართველების შეერთებული ძალისა და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა,

ჩაეშალა ქართველთა შორის ერთობა და ამით ჩვენი ქვეყანა სამუდამოდ დაეუძლებინა და დაემონავებინა. ასეც მოიქცნენ, თავისი წადილი სისრულეში მოიყვანეს. ცდილობდნენ ვერაგობით მტრობა ჩამოეგდოთ და იმერნი და ამერნი ქართველნი ერთმანეთთან შეეჯახებინათ. როცა ასე გააცალკევეს ღვიძლი ძმები და დააუძლებეს, მაშინ მოინდომეს მეფე ჩამოეგდოთ, თვითონ ყოფილიყვნენ პირდაპირი მბრძანებელნი ქართველებისა.

## პრეზენტაციის დასახლება

ქართველი მამულიშვილი ძლიერ სწუხდნენ, როცა ხედავდნენ ქვეყნის განცალკევებას, უმეტობას, სისუსტეს ერისას და სულ იმის ფიქრში იყვნენ, რა ელონათ. ბოლოს საქართველოს ყველა კუთხის საუკეთესო მამულიშვილებმა მოიხმეს ერთმანეთი და მოახდინეს კრება შუაგულს ადგილას, ახალციხის მახლობლად. ისინი ქვეყნის შველაზე ფიქრობდნენ და მსჯელობდნენ. ბოლოს, ერთხმად დაადგნენ იმ აზრს, იმ გადაწყვეტილებას, რომ ნასულიყვნენ ყველანი თავ-თავიანთ ქვეყანაში, აეჯანყებინათ მცხოვრებნი, მოეკრიფათ საჩქაროდ ჯარები და მოესხათ ისინი ახალციხის ახლოს. აქედან შეერთებელი ძალით უნდა გაელაშქრათ მონგოლების წინააღმდეგ, გაერეკათ ისინი საქართველოდან.



## დატყვევება ქართველებისა

ამ გადაწყვეტილების შემდეგ ცოტნე დადიანი გაეშურა შორეულს აფხაზეთში, რათა დროზე შეეკრიბა ჯარი და ვადაზე მიესწრო დანიშნულ ადგილას. სხვანი ჯერ ერთად იყვნენ და აჯანყების წესა და რიგს აწყობდნენ. მაგრამ მონგოლებმა ეს ამბავი შეიტყვეს, უთუოდ სულმდაბალი ჯამუშების შემწეობით. მათ სწრაფად აფრინეს ცხენოსანი ჯარი ახალციხისაკენ. ეს ჯარი მოულოდნელად თავს დაესხა ქართველ მთავრებს სწორედ იმ დროს, როდესაც ისინი აქიდან წასვლას აპირებდნენ თავიანთ ქვეყნებში მცხოვრებლების ასაჯანყებლად. ქართველებს თან ჯარი არა ჰყავდათ, ნინააღმდეგობა ვერ გაუნიეს და დატყვევებულ იქმნენ ყველანი ერთად. ჩვენები მტერმა წასასა სამხრეთით, სადაც ბინა ჰქონდა მონოგოლთა მბრძანებელს, ანუ ნოინს. ნოინი რისხვითა და მუქარით დაუხვდა ქართველებს და მოითხოვდა მათგან, გატყდით ახ-

ლავე, რომ ჩემ წინააღმდეგ აჯანყებას აპირებდით და თავმდაბლად ითხოვეთ შეწყნარება, თორემ დიდ სატანჯველს მოგაყენებთ. ქართველები არც გატყდნენ და არც შებრალება სთხოვეს. მაშინ ნოინმა უბრძანა თავის მხლებლებს: გააკავეთ ეს ქართველები, დაატიტვლეთ, ყველას თოკებით შეუკარით მკლავები, წაუსვით ტანზე თაფლი, დასხით პაპანაქება მზეზე და იხრაკებოდნენ, ვიდრე არ გამოტყდებიან და შეწყნარებას არ მოითხოვნონ. ეს ბრძანება იმნამსვე შეასრულეს. მტერს ეგონა, ქართველები მალე შეუშინდებიან წვალებას, თავისავე პირით აღიარებნ თავის ბრალსა და ხვეწნას დამიწყებრო; მაგრამ ამაოდ გავიდა მრავალი დღე და ქართველთა სიმტკიცე იოტის ოდენადაც არ შერყეულა. ვერც მუქარამ და ვერც მომსყიდველმა დაპირუბამ მათ ვერათქმევინას, რაც უნდოდათ მწვალებლებს.

## თავდაღება ცოტნესი

ამასობაში დადგა ის დრო, როდესაც პირობისამებრ უნდა შეყრილიყვნენ საქართველოს მთავარნი თავიანთი ჯარებით ახალციხის ახლოს; აქ დანიშნულ ვადაზე ცოტნე დადიანი გამოცხადდა თავისი ჯარით, მაგრამ ნაცვლად თავმოყრილი ქართველი ლაშქრისა, მას დახვდა საზარელი ამბავი. მან იმნამსვე მიიღო იმისთანა მაღალი და საკვირველი გარდანყვეტილება, რომელიც შეეფერება სამაგალითო მამულიშვილს და ყოვლად ღირსეულ ვაჟეაცს. თავისი ლაშქარი მთლად უკანვე აფხაზეთში დაბრუნა, თვითონ კი გასწია ანისისაკენ ორი მოსამსახურით იმ განზრახვით, რომ მი-



„ცოტნე დაღიანის გმირობა“, მსარ შმერლინგის ნახატი, 1895 წ.

სულიყო დატყვევებულ ქართველებთან და ჭირსა და ტანჯვაში მათთან ყოფილყო.

ცოტნემ გაიარა მესხეთი, ანუ ახლანდელი ახალციხის მხარე, შემდეგ ჯავახეთი, ჩავიდა სომხეთი და შევიდა სომეხთა დედაქალაქ ანისში. ერთ დიდ მოედანზე დაინახა ქართველი ტყვები, რომელნიც გატიტვლებულნი და მკლავებ-შეკრულნი ისხდნენ მზის გულზე და იხრაკებოდნენ. საშინელმა წუხილმა შეიძყრო გმირული გული ცოტნესი, როცა ამისთანა დამამცირებელ მდგომარეობაში ნახა წარჩინებული ქართველი. მაგრამ ამასთან წუგეშიც იგრძნო, რადგან დაინახა, თუ რა ღირსეული ვაჟეაცობით იტანდნენ ამ სათაკილო სასჯელს მისი მეგობარი.

ცოტნე გადმოხტა ცხენიდან, მივიდა თავის მეგობრებთან და მხურვალედ მიესალმა; მერე ფიცხლავ გაიძრო თავისი ტანისამოსი, გატიტვლდა, თვითონვე შეიკ-

რა თოკებით მკლავები და ჩაჯდა ამ სახით თავის მეგობრებს შორის დალონებული. როცა ეს ამბავი ნოინს მოახსენეს, იგი საშინლად გაოცდა, დაიბარა თავისთან ცოტნე და ჰკითხა მიზეზი, რად მოვიდა აქ და რად ჩაჯდა გატიტვლებულ ქართველთა შორის. ცოტნემ მიუგო: მე მოვედი იმიტომ, რომ ჩემი ამხანაგები უდანაშაულონი არიან. უდანაშაულოთა დასჯა კი თუ შეიძლება, მეც მათთან ერთად დამსაჯეთო.

ამ სამაგალითო სათნოებამ და იშვიათმა მეგობრულმა ერთგულებამ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ნოინზე, რომ მან თქვა: რადგანაც ქართველნი იმდენად სათნონი და კეთილნი ყოფილან, იმდენად ერთგულნი ერთმანეთისა, რომ შორეული აფხაზეთით მოვიდა ეს დიდებული კაცი, რათა თავი დასდოს მეგობრებისათვის, ამიტომ ვენდობი მეც მათ და ვანთავისუფლებ ყველას.

ასე იხსნა სახელოვანმა მამულიშვილმა ცოტნე დადიანმა რჩეული ქართველები საშინელი წამებისაგან.


ტყვეობიდან დაბრუნებულნი ქართველნი შეუდგნენ ქვეყნის გაძლიერებას, დაამყარეს ამერთა და იმერთა შორის ძმური კავშირი და ერთობა, და განდევნეს თავისი ქვეყნიდან მონგოლინი.

**ეტერს ეგონა, ქართველები ეალი  
შეუშიდებიან ცვალებას, თავისავა პირით  
აღიარებას თავის პრინციპები; მაგრამ აგარებ გავიდა  
მრავალი დღე და ქართველთა სიმტკიცა  
იოტის რდენადაც არ შეასრულა.**



# ნიკორწმინდის ტაძარი 1000 წლისა

ნიკორწმინდის ტაძრის აგების 1000 წლისთვი 6-7 აგვისტოს რაჭაში საიუბილეო ღონისძიებებით აღინიშნა. საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე დაესწრო.



ნიკორწმინდის ტაძრის აგების 1000 წლის საიუბილეო თარიღი 2014 წელს შესრულდა, თუმცა ასე მასშტაბურად აღნიშვნა მაშინ ვერ მოხერხდა.

X საუკუნის ბოლოს რაჭის საერისთავოს შექმნის შემდეგ, ერთიანი ფეოდალური საქართველოს პირველი მეფის — ბაგრატ III-ის ბრძანებით საძირკველი ჩაეყარა ნიკორწმინდა ნიკოლოზის სახელობის დიდი ტაძრის მშენებლობას, რომელიც ამ საერისთავოს კულტურულ ცენტრად იქცა.

**ნიკორწმინდის ტაძარი** ეროვნული ხუროთმოძღვრების შეძევითი აგებულია XI საუკუნის დასაცილეში, 1010-1014 წლებში. ეს ის პერიოდია, რომელიც დიდი ყურადღება ექცევდა ფასადების დეკორაციულ გაფორმებას. სცორედამ მცხოვრი ნიკორწმინდის დეკორი ეკრთული ერთული მონუმენტური კლასიკის მიღწევაა.

ძეგლს არსებობის განმავლობაში დიდი ცვლილებები არ განუცდია. ეს კი იშვიათი შემთხვევაა. ტაძრის გუმბათი პირვანდელი სახითაა შემორჩენილი.



99

# კორპუსი კავკაზიკა – საეთნოლოგო მაცნეობაგათა აკადემიკურ თანამატებელი

ქართველი ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე, თეოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანადამზუძნებელი და აკადემიკოსი (1941 წლიდან), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1943 წლიდან) კორნელი კეკელიძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1918 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას.

კორნელი კეკელიძე 1879 წლის 30 აპრილს დაიბადა ქუთაისის მაზრის სოფელ ტობანიერში (ამ-ჟამად — ვანის მუნიციპალიტე-ტი), სამსონ კეკელიძისა და და თებრონე ურუშაძის მრავალშვი-ლიან ოჯახში.

სამსონ კეკელიძე მედავითნე  
იყო სოფლის ეკლესიაში, წერა-  
კითხვა კარგად იცოდა და კორნე-  
ლისაც ადრევე შეასწავლა თავად.  
1886 წელს იგი შეიყვანეს ქუთაი-  
სის ოთხკლასიან სასულიერო  
სასწავლებელში. ოჯახს უჭირდა  
შვილის ქუთაისში რჩენა და კორ-  
ნელის სასწავლებელში დატოვე-  
ბა სკოლის ინსპექტორის — ივა-  
ნე გაფრინდაშვილის (პოეტ ვალე-  
რიან გაფრინდაშვილის მამის) მე-  
შვეობით მოხერხდა, რომელიც  
მომავალ აკადემიკოსს სასწავლე-  
ბლის ინტერნატში უფასოდ ჩარ-  
იცხვაში დაეხმარა.

ქუთაისში სწავლის დამთავრე-

ბის შემდეგ კორნელიმ სწავლა  
თბილისის სასულიერო სემინარი-  
აში განაგრძო. კორნელის შენახ-  
ვას ოჯახი ვერც თბილისში შეძ-  
ლებდა, ნიჭიერ ახალგაზრდას  
მაშველად თბილისის სემინარის  
ინსპექტორი ითანიკე მოევლინა.  
მისი დახმარებით კორნელი უფა-  
სოდ მოეწყო პანსიონში. მასთან  
ერთად სემინარიაში სწავლობდა  
იოსებ ჯულაშვილი.

1896 წელს კორნელის დედა  
გარდაეცვალა, ორი წლის შემდეგ  
კი — მამა. კორნელის და მთლია-  
ნად დაობლებულ ოჯახს უფროსი  
და — **აკვირინე** და მისი მეუღლე  
— კალისტრატე ცინცაძის უმც-  
როსი ძმა, **ამფილიქე** ებმარებოდ-  
ნენ. როგორც წარჩინებული  
კურსდამთავრებული, კორნელი  
სახელმწიფოს ხარჯზე კიევის სა-  
სულიერო სემინარიაში ჩაი-  
რიცხა, გამოცდები შესანიშნავად  
ჩააპარა და სიტყვიერების ფა-



კულტეტზე მოეწყო.

1904 წელს, კიევის სასულიერო  
აკადემიის დამთავრების შემდეგ,  
კორნელი საქართველოში დაბ-  
რუნდა. 1905-1906 წლებში მას-  
ნავლებლობდა ქუთაისსა და თბი-  
ლისში. მონაწილეობდა საეკლე-  
სიო მუზეუმის კომიტეტის, ქართ-  
ველთა შორის წერა-კითხვის გა-  
მავრცელებელი საზოგადოებისა  
და საისტორიო-საეთნოგრაფიო  
საზოგადოების მუშაობაში.

1916 წელს დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარის რექტორად. **კორნელი კაპელიძე** იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1918 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას. 1919-1925 წლებში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად

სამაცნეო ასპარეზზე გამოსვლისთვავე  
კეკელიძეს მიერ უავი სამაგარის უსრულებელ  
მოუღება არებივებსა და სიკველეთსასავაბში,  
კერძო მაკატროვეთა კოლექციებში. ეს  
ძირი აავი დაძო კართული ხალხობრივის  
გამოვლენის, შეგროვებისა და  
აღცერილობის საქართველოს კველი კართული  
ძირი არის მაკატროვის მემკვიდრეობის დიდი  
ნაწილი ჯერ სრულიად ჩატარებული იყო



მოღვაწეობდა, ხოლო 1926-1930 წლებში სასწავლო-სამეცნიერო ნაწილის პროექტორი იყო. 1921-1930 წლებში ხელმძღვანელობდა თსუ-თან არსებული სიძველეთ-საცავს, 1933-1936 წლებში — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას. 1942-1949 წლებში განაგებდა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს. სხვადასხვა დროს იყო განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი და სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ამიერკავკასიის ცაკის წევრი (1927 და 1929 წლებში).

კეკელიძის პირველი სამეცნიერო ნაშრომი „ახალი საგალობლები აბო თბილელისა“ 1905 წელს უკრნალ „მწყემსში“ (№ 13, 14) დაიბეჭდა. 1907 წელს გადამუშავებული საკანდიდატო ნაშრომი-სათვის „ლიტურგიული ქართული ძეგლები სამამულო წიგნსაცავებში და მათი მეცნიერული მნიშვნელობა“ (რუსულ ენაზე, ცალკე წიგნად გამოიცა თბილისში 1908 წელს) მიენიჭა მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი.

1905-1912 წლებში თანამშრომლობდა კიევის სასულიერო აკადემიისთან, 1912-1917 წლებში მუშაობდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოში — „ქრისტიანული აღმოსავლეთი“. სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლისთანა-

ვე კეკელიძეს მძიმე შავი სამუშაოს შესრულება მოუხდა არქივებსა და სიძველეთსაცავებში, კერძო მეპატრონეთა კოლექციებში. მან დიდი ამაგიდასდო ქართული ხელნაწერების გამოვლენის, შეგროვებისა და აღწერილობის საქმეს. ძველი ქართული ლიტერატურის მემკვიდრეობის დიდი ნაწილი ჯერ სრულიად ხელუხლებელი იყო. კეკელიძის ადრინდელმა სამეცნიერო ნაშრომებმა („იერუსალიმის განჩინება VII საუკუნისა“, რუსულ ენაზე, 1912 წელი, მ. 6. ახმატოვის სახელობის პრემია; „ძველი ქართული არქიერატიკონი“, რუსულ ენაზე, 1912 წელი) ბევრ რუს და უცხოელ მეცნიერს აღუძრა ინტერესი ქართული მწიგნობრობისადმი. კეკელიძემ მეცნიერულად აღწერა გელათსა (1905 წელს) და სვანეთში (1911 წელს) დაცული ქართული ხელნაწერები.

**1948-1954 ცლები გამოქვეყნდა საქართველოს სახელმიწოდებლის მუზეუმის ხელნაწერის ენცენდების აღნერილობათა რამდენიმე მომზადება** (რუსულ ენაზე, ცალკე წიგნად გამოიცა თბილისში 1908 წელს) მიენიჭა მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი. განუზომელია კეკელიძის ლვანლი ტექსტოლოგიაში: 1918 და 1946 წლებში გამოსცა ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებების კიმენურ რედაქციათა ორტომეული (პ. პეტერსმა აქ გამოქვეყნებული ტექსტების ერთი ნაწილი ლათინურად თარგმნა), 1930 წელს — ნოდარ ციციშვილის

„შვიდი მთიები“, 1935 წელს — იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“ და ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, 1936 და 1948 წლებში — იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ ორტომეული (თანარედაქტორი ალექსანდრე ბარამიძე), 1938 წელს — „ვისრამიანი“ (თანარედაქტორები: ალექსანდრე ბარამიძე და პავლე ინგოროვა), 1941 წელს — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და სხვ.

**კორნელი კეკელიძის დიდმა ერუდიციაშ ძველი ეპოქული მოგორიშ ზოგად, ისე ვინოვ სპეციალურ საკითხებში, ღრმა განსხვავლულობაშ განაპირობაშ ძველი ეპოქული ლიტერატურის ისტორიის ფუნდამენტური მოგორიში შეიძლია** (1923-1960 წლებში ოთხჯერ გამოიცა). ორტომეულის საფუძველზე კეკელიძემ შექმნა „ძველი ქართული ლიტერატურის კონსპექტური კურსი“ (რუსულ ენაზე, 1938 წელს). 1955 წელს იტალიის დედაქალაქ რომში გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა მიხეილ თარხენიშვილისა და იულიუს ასფალგის მიერ გადამუშავებული კეკელიძის ორტომეულის I ტომი.

კორნელის ორი ცოლი ჰყავდა, პირველი მეუღლისგან სამი შვილი შეეძინა: ალექსანდრე, კოტე და ილია. მეორე მეუღლე მოგვიანებით შეირთო, რომლისგანაც შვილი არ ჰყოლია. ალექსანდრემ 1924 წელს დაარსა იატაქვეშა გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“. მაშინ ალექსანდრე 18 წლის იყო. ორგანიზაცია ერთ-ერთმა წევრმა გასცა, გვარად ბარათაშვილმა. ორგანიზაციის წევრები და, მათ შორის, ალექსანდრე დააპატიმრეს. ალექსანდრე კეკელიძე დახვრიტების თავისუფლების მოედანზე. კორნელიმ მძიმედ გადაიტანა შვილის დაღუპვა. იმ პერიოდში კორნელი მეუღლესთან ერთად სამაჩაბლოში იყო. ჩეკისტებმა კორნელი იქ დააპატიმრეს და ისე ჩამოიყვანეს თბილისში. მაგრამ როდესაც დაკითხვების შედეგად დარწმუნდნენ, რომ





სიცოვანის დროის გადასაცემა —  
პირველ რიგში: მიხეილ კონიაშვილი, გრიგოლ ნათაძე, ივანე ჯავახიშვილი,  
მიხეილ ზანდუკაძე, ალექსანდრე დიდებულიძე, მიხეილ თაქთაძიშვილი;  
მეორე რიგში: ანდრია ბერაშვილი, ნიკო ჩიგოგიძე;  
მესამე რიგში: ნიკო გგელაძე, სერგო გორგაძე, იასონ მოსეშვილი,  
ვასილ ყაპაჩაძე, სოლომონ ეულდიანი, გიორგი ახვლევიანი,  
გიორგი კონიაშვილი, კორნელი კეკელიძე, ევგენი ჭოლოშვილი

კორნელის ამ ორგანიზაციასთან  
არავითარო შეხება არ ჰქონდა, გა-  
ათავისუფლება.

კორნელი კეკელიძემ თავიდან-  
ვე განსაზღვრა ძველი ქართული  
ლიტერატურის შესწავლის დიდი  
მნიშვნელობა, როგორც საკუთ-  
რივ ქართული კულტურის ისტო-  
რიაში, ისე მსოფლიო საქარისტი-

ანო კულტურის ისტორიის თვა-  
ლსაზრისით. იგი იკვლევდა ქარ-  
თულ-ბიზანტიური, ქართულ-  
სპარსული ლიტერატურის ურ-  
თიერთობებს, ძველი ქართული  
ლიტერატურისა და ხალხური  
სიტყვიერების ურთიერთმიმარ-  
თების საკითხებს. კეკელიძემ დი-  
დი ამაგი დასკონ ქართულ ისტო-

რიოგრაფიასაც, აქვს საგანგებო  
გამოკვლეულები ძველი ქართული  
დამწერლობის, ქართული წელ-  
თაღრიცხვისა და კალენდრის,  
ძველი ქართული სტამბისა და  
ქართული წიგნის ბეჭდვის ისტო-  
რიის, ძველ ქართულ ლიტერა-  
ტურაში მთარგმნელობითი მე-  
თოდისა და სხვა დიდმნიშვნელო-  
ვანი საკითხების შესახებ. მისმა  
ნაშრომებმა ააგაღლა და გა-  
ნამტკიცა ძართული ფილო-  
ლოგიური მეცნიერების პრე-  
სტილი მთელ მსოფლიოში.  
მან ფასდაუდებელი ცვლილი  
შეიტანა ძართველ მეცნიერე-  
ობაში კადრების აღზრდა-  
შიც. კეპელიძე დაპილიტი-  
კულიკა ლენინის მრდეონით  
და შრომის ციფრები დარღვეული

კორნელი კეკელიძე 1962 წლის 7 ივნისს გარდაიცვალა, ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქაზაში დაკრძალეს.

კორელი კაკალიქის ღილა ერთდღისა  
ძველი ქართული მცენარების აღმოჩნდა  
ზოგად, ისე ვიწრო სახისალარ  
საკითხებში, ღრმა გაცემვლულობა  
განაკირობა ძველი ქართული  
ლიტერატურის ისტორიის ფუძეამატებრი  
ორთომარცვლის შექმნა... მისა ნაშრომებმა  
ამაღლა და განაგებადა ქართული  
ფილოლოგიური ხასიათის  
პრაკტიკი მთელ მოწვევისა.



# მსგავსი რამ ისტორიას არ ახსოვს!

1945 წლის 8 აგვისტოს, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებიდან სამი თვის შემდეგ, სსრ კავშირის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ხელისუფლებები შეთანხმდნენ, რომ მთავარ სამხედრო დამნაშავეებს გაასამართლებდნენ.

პროცესი დაიწყო 1945 წლის 20 ნოემბერს და 11 თვეს გაგრძელდა. ტრიბუნალს ნარუდგინეს 24 სამხედრო დამნაშავე —

გერმანიის ფაშისტური ხელისუფლების ნარმომადგენლები. ნიურნბერგის პროცესზე გამოვიდა სსრ კავშირისგან მთავარი ბრალმდებელი რომან რუდფენკო. მან თავის ვრცელ სიტყვაში ისაუბრა პროცესის მნიშვნელობასა და მის უფლებრივ თავისებურებებზე, აგრესიული ომების იდეოლოგიურ მომზადებაზე, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, იუგოსლავიის მიმართ აგრესის თოვანიზაციასა და განხორციელებაზე, ჰიტლერული გერმანიის საბჭოთა კავშირზე ვერაგულ თავდასხმაზე, სამხედრო დანაშაულობაზე ადამიანობის წინააღმდეგ.

მსგავსი რამ ისტორიას არ ახსოვს!



## მთავარ გერმანულ სამხედრო დანაშაულია პროცესი ნიურნბერგში სსრ კავშირისგან მთავარი ბრალმდებელი — რ. ჟ. რუდენკოს უსავალი სიტყვა\*

...მე არ მოვიყვან გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის სამამულო ომის ყველა ეტაპს, საბჭოთა მინანყალზე შემოქრილი გერმანელთა, რუმინელთა, ფინელთა და სხვა ჯარების წინააღმდეგ წითელი არმიის დიადი და მამაცური ბრძოლის ყველა ეტაპს. ამ ბრძოლას აღტაცებით ადევნებდა თვალყურს მთელი მსოფლიო, მას არასოდეს არ დაიციფროს ისტორია.

საბჭოთა ხალხი ბრძოლების ველებზე, რომლებიც უმაგალითო იყო მასშტაბითა და გააფთრებით, მტკიცედ და მამაცურად იცავდა და დაიცვა თავისი სამშობლოს ლირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა და მოკავშირე ერების ჯარებთან ერთად ბრძოლით იხსნა მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები ფაშისტური დამონების საშინელი საფრთხისაგან.

### სამხედრო დანაშაულობაზი

მოამზადა და განახორციელა რა ვერაგული თავდასხმა თავისუფლებისმოყვარე ხალხებზე, ფაშისტურმა გერმანიამ ომი გადააქცია გასამხედროებული ბანდიტიზმის სისტემად. სამხედრო ტყვეთა დახმოცვა, მშვიდობიანი მოსახლეობის გაულეტა, ოკუპირებული რაიონების გაძარცვა და სხვა სამხედრო დანაშაულობანი წარმოადგენდნენ ჰიტლერულთა მიერ დაგევმილი ტოტალური ელვისებური ომის პროგრამის ნაწილს. განსაკუთრებით შესამჩნევი მასშტაბი მიიღო და განსაკუთრებული სისასტიკით ხორციელდებოდა ფაშისტური ტერორის საბჭოთა კავშირის დროებით ოკუ-

უპირებულ ტერიტორიებზე.

#### 1. მშვილობიან მოქალაქეთა მასობრივი დახმოცვა

„ჩვენ, — ეუბნებოდა ჰიტლერი რაუმინგს, უნდა განვავითაროთ გაუკაცრიელების ტექნიკა. თუ მკითხავთ რას ვგულისხმობ გაუკაცრიელებით, მე გეტყვით, რომ მხედველობაში მაქვს მთელი რასობრივი ერთეულების მოსპობა. ეს არის, რის განხორციელებაც მე განზრახული მაქვს, ეს არის, ტლანქად რომ ვთქვა, ჩემი ამოცანა. ბუნება სასტიკია, ამიტომ ჩვენც შეგვიძლია სასტიკი ვიყოთ. თუ მე შემიძლია გერმანელი ერის მშვენება ომის ცეცხლში გავგზავნო მდნავ დაუნანებლად, რომ დაიღვრება ძვირფასი გერმანული სისხლი, რა თქმა უნდა, მე უფლება მაძვს, მოვსაოდან დაბლიუ რასის მილიონით ადამიანი, რომლებიც შეიძლება მრავლდებით მრავლდებიან!“

საბჭოთა ბრალდების განკარგულებაში არის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და მათ თანამზრახველთა ბოროტმოქმედების

\* რუდენკოს სიტყვა, რომელიც დაიგეზდა გაზეთ „კომუნისტიში“ (1946 წ., №№ 32, 36, 38, 40), ნარმლდებული შემოკლებით



დამდგენი და გამომკვლევი საგანგებო სახელმწიფო კომისიის მიერ შეკრებილი მრავალი დოკუმენტი, რომელიც გერმანელ ხელისუფალთა უთვალავი ბოროტმოქმედების უდავო დამამტკიცებელ საბუთებს წარმოადგენს.

ჩვენს განკარგულებაშია დოკუმენტი, სახელმწიფო „უშიშროების პოლიციისა და სდ-ის უფროსის №8 ოპერატიული ბრძანების №2 დანართი“. დათარიღებული „ბერლინი, 1941 წ. 17 ივნისი“ და ხელმოწერილი ჰაიდრიხის მიერ, რომელიც მაშინ გიმლერის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა. ეს დოკუმენტი შემუშავებულ იქნა გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლეს სარდლობასთან ერთად. №8 ბრძანების დანართებიდან, აგრეთვე, №9 და №14 ბრძანებებიდან და მათი დანართებიდან ჩანს, რომ გერმანელ ოკუპანტთა მიერ სსრ კავშირსა და სხვა ქვეყნებში დაყყრობილ ტერიტორიებზე გერმანელ ფაშისტთა საკონცენტრაციო ბანაკებში საბჭოთა ადამიანების სისტემატური მოსპობა ხორციელდებოდა „ფილტრაციის“ „გამწმენდ ლონისძიებათა“ „წმენდის“, „განსაკუთრებული ზომების“, „განსაკუთრებული რეზიმის“, „ლიკვიდაციის“, „ეგზეკუციის“ სახით და სხვა.

ამ დანაშაულობათა განხორციელება ეკისრებოდა სპეციალურად შედგენილ „ზონდერკომანდებს“, რომლებიც შეიქმნენ პოლიციისა და სდ-ის უფროსისა და გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლეს სარდლობას შორის შეთანხმებით.



№14 ბრძანების №1 დანართიდან ჩანს, რომ ეს რაზმები დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, როგორც ამ დოკუმენტში იყო ნათქვამი, „განსაკუთრებულ რწმუნებათა საფუძველზე და მათთვის მიცემული საერთო დირექტივების თანახმად საბანაკო განაწესის ფარგლებში“, ამასთან, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ ბანაკების კომენდანტებთან და კონტრდაზვერვის ოფიცირებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ჰიტლერელებმა მოსკოვზე გერმანელთა შეტევის დროს შექმნეს სპეციალური „ზონდერკომანდა მოსკოვი“, რომელიც განკუთვნილი იყო მოსკოველთა მასობრივი დახოცვისათვის.

ჰიტლერული მთავრობა და გერმანიის სამხედრო სარდლობა შიშობდნენ, რომ ეს №8 და №14 საშინელი ბრძანებები შეიძლებოდა ხელში ჩავარდნოდა ნითელ არმიასა და საბჭოთა მთავრობას და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ეს ბრძანებანი დაეცვათ სრული საიდუმლოებით. №14 ბრძანებაში ჰაიდრიხი პირდაპირ წერდა: „განსაკუთრებით ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ №8 და №14 ოპერატიული ბრძანებები, აგრეთვე, მათთან დაკავშირებული განკარგულებანი, აუცილებელი საშიშროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს. მოსპობის შესახებ მომახსენეთ“.

ზემოხსენებულ იმ ბრძანებათა გარდა, რომლებიც შეიცავდა ჰიტლერულთა მიერ საბჭოთა ადამიანების გაულეტის პროგრამასა და გეგმას, გამოცემული იყო მრავალი ბრძანება და განკარგულება, როგორც სამოქალაქო „ადმინისტრაციის“ ხაზით, ისე გერმანიის სამხედრო სარდლობის ხაზით, რომლებიც მოითხოვდნენ საბჭოთა ადამიანების მასობრივ მოსპობას, სიკვდილით დასჯის

ფართოდ გამოყენებას მათდამი. კაიტელის 1941 წლის 12 დეკემბრის ბრძანებაში ნათქვამი იყო: „ფიურერის აზრით, სასჯელი თავისუფლების აღკვეთით და სამუდამო კატორლითაც კი ჩაითვლებოდა, როგორც სისუსტის ნიშანი. ქმედით და თანმიმდევრული დაშინება შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ სიკვდილით დასჯით ან ისეთი ღონისძიებით, რომელთა მიხედვით მოსახლეობა ვერ შეიტყობს, თუ რა ბედი ენია დამნაშავეს. ამ მიზანს ემსახურება დამნაშავეთა წაყვანა გერმანიაში. დამნაშავეთა დევნის აქვე დართული ინსტრუქციები შეესაბამებიან ფიურერის ამ მიზანდასახულობას. ისინი დამტკიცებულია მის მიერ. კაიტელი“.

**საბჭოთა ადამიანების გაულეტის იმ საშუალებათაგან, რომლებსაც ჰიტლერელები იყენებდნენ, უნდა აღნიშნულ იქნას ისეთი, როგორიც არის ნინასნარგანზრახული დავადება პარტატიიანი ტიფით, მონამვლა „დუშეგუბებში“ და სხვა.**

ბრალდების განკარგულებაში არის უნტერშტურმფიურერ ბეკერის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი 1942 წლის 16 მაისის თარიღით. ეს დოკუმენტი წარმოადგენს უფროსებისადმი წარდგენილ მოხსენებას „დუშეგუბების“ გამოყენების პრაქტიკის შესახებ. აირა შეიძლება ნაიკითხოთ ამ საზარელ დოკუმენტში:

„სასჯელის ადგილი მდებარებს სულ ცოტა 10-15 კილომეტრზე გზებიდან და ძნელად მისადგომია თავისი მდებარეობის გამო, ხოლო ნესტრიან და სველ ამინდში სრულიად მიუვალია. ფეხით მიიყვანენ თუ ტრანსპორტით დასასჯელ პირთ ამ ადგილას, ისინი დაუყოვნებლივ ამჩნევენ, რაც უნდა მოხდეს და ველარ ისვენებენ, რაც შეძლებისდაგვარად თავიდან უნ-

**«ეს უფლება მაქვს, მოვსაორ დაბალი რასის მიღებით ადამიანი, რომელიც ჭირვის გრძელებით მრავალია!»**



და ყოფილიყო აცილებული. რჩება მხოლოდ ერთი გზა ჩავსხათ ისინი მანქანაში შესაკრებ პუნქტზე და შემდეგ წავიყვანოთ სასჯელის ადგილას.

მე ვუბრძანე, დას ჯგუფის მანქანები შეენიღბათ საცხოვრებელი მანქანებივით, რისთვისაც პატარა მანქანებზე უნდა გაეკეთებინათ თითო სარკმელი ყოველი მხრივ, დიდ მანქანებზე კი — ორორი სარკმელი იმ ფანჯრების მსგავსად, რომლებსაც ხშირად ვხედავთ ამ ქვეყნის გლეხთა სახლებში. მაგრამ მანქანები იმდენად ცნობილი გახდნენ, რომ მათ არა მარტო ოფიციალური პირნი, არამედ სამოქალაქო მოსახლეობაც „სიკვდილის მანქანებს“ უწოდებდნენ, როგორც კი გამოჩენდებოდა ერთ-ერთი ასეთი მანქანა. ჩემი აზრით, მათი შენიღბვა და საიდუმლოდ შენახვა ხანგრძლივად შეუძლებელია. გარდა ამისა, მე ბრძანება გავეცი გაზით მონამვლის დროს მომსახურე პერსონალი მანქანისაგან რაც შეიძლება შორს დაეყენებინათ, რათა ჯანმრთელობისათვის არ ევნო გამოსულ გაზებს. ამასთან, მე

მსურს ყურადღება მივაქციო შემდეგს: სხვადასხვა რაზმები ადამიანებს აცლევინებენ მანქანებს გაზით მონამვლის შემდეგ. მე მივაქციე სათანადო ზონდერკომანდების მეთაურთა ყურადღება იმაზე, თუ რა დიდი მორალური და ფიზიკური ზიანი შეუძლია მოუტანოს ამ მუშაობამ ადამიანებს, ახლა თუ არა, უფრო გვიან. ადამიანები ჩემთან უჩიოდნენ თავის ტკივილს, რაც იწყებოდა მანქანის ყოველი დაცლის შემდეგ. მიუხედავად ამისა, მაინც არ ცვლიან ამ წესს, რადგან შიმობენ, რომ პატიმრები, რომლებსაც მონანილეობას მიაღებინებენ ამ სამუშაოში, გამოიყენებენ ხელსაყრელ მომენტს და გაიქცევიან. ამ ზიანისაგან რომ ვიხსნათ ადამიანები, გთხოვთ, გამოსცეთ სათანადო მითითებანი.

გაზით მონამვლა ყოველთვის წესირად როდი ხდება. პროცედურის რაც შეიძლება მაღლ და სამთავრებლად, შოთერები ყო-



## მაიდანებისა და რსვენციონის განაკაბის გაზიარება სამართლის 5,5 მილიონზე მეტი საუკეთესო უდანაშაულო აღამიანი — კოლეგიატურის, ჩახოსლოვანის, საჭროთა კავშირის, ახალიკის უერთიერებული გადატანის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და სხვა დემოკრატიული ქვეყნების მოქალაქეები.

ველთვის სრულ გაზის იძლევიან. ამ ღონისძიების გამოდასასჯელი იხოცებიან სულის შეხუთვით და არა დაძინებით, როგორც ეს იყო გათვალისწინებული. ჩემი მითითებების შედეგად, ბერკეტის წესირად დაყენებისას სიკვდილი იწყება უფრო მაღლ და ამასთან პატიმარი მშეიდად იძინებს. სახის დამახინჯება და საქმება, რასაც წინათ ჰქონდა ადგილი, აღარ შეგვინიშვნას.

დღევანდელი დღის განმავლობაში მე გადავალ B ჯგუფთან, საიდანაც დამატებით ცნობებს გამოვგზავნი. უნტერშტურმფიურერი დოქტორი ბეკერი".

აქ უკვე იყო ლაპარაკი მაიდანეკისა და ოსვენციმის ბანაკებსა და მათ გაზიან კამერებზე, სადაც დახოცეს 5,5 მილიონზე მეტი სრულიად უდანაშაულო ადამიანი პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და სხვა

დემოკრატიული ქვეყნების მოქალაქეები. მე უნდა ვიღაპარაკო საკონცენტრაციო ბანაკებზე სმოლენსკში, სტავროპოლიში, ხარკოვში, კიევში, ლვოვში, პოლტავაში, ნოვგოროდში, ორიოლში, როვნოში, დნეპროპეტროვსკში, ოდესაში, კამენეც-პოდოლსკში, გომელში, ქერჩში, სტალინგრადის ოლქში, კაუნასში, რიგაში, მარიამპოლში (ლიტვის სსრ), კლოკვი (ესტონეთის სსრ) და ბევრ სხვა ადგილას, სადაც პიტლერელებმა წამებით დახოცეს სამოქალაქო მოსახლეობის ასიათასობით საბჭოთა ადამიანი, აგრეთვე, წითელი არმიის მებრძოლები და მეთაურები.

გერმანელები საბჭოთა ადამიანებს მასობრივად ხვრეტდნენ, აგრეთვე, ლისენიციის ტყეში, რომელიც მდებარეობს ლვოვის გარეუბანში ტარნოპოლის მიმართულებით. ამ ტყეში გერმანელები ყოველდღე მიერეკებოდნენ და ავტომანქანებით მიჰყავდათ საბჭოთა სამხედრო ტყვეების დიდი

პარტიები ბანაკ „ციტადელიდან“, პატიმრები იანოვსკის ბანაკიდან, ლვოვის საპატიმროდან, აგრეთვე, ქალაქ ლვოვის მოედნებზე და ქუჩებში ხშირი საყოველთაო ჩერეკის დროს შეპყრობილი მშვიდობიანი საბჭოთა ადამიანები.

საგანგებო სახელმწიფო კომისიის გამოკვლევის საფუძველზე დადგენილია, რომ გერმანელებმა ლისენიციის ტყეში დახვრიტეს 200 ათასზე მეტი კაცი.

ამ მასობრივმა მკვლელობამ, ტერორისა და თვითნებობის ამ რეჟიმში სრული მონონება ჰპოვა ბრალდებულ როზენბერგის სიტყვაში გერმანიის შრომის ფრონტის სხდომაზე 1942 წლის ნოემბერში: „სჩანს, — განაცხადა როზენბერგმა, — თუ ამ ხალხებს (ესე იგი სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებს) დავიმორჩილებთ, თვითნებობა და ტირანია მართვა-გამგეობის უაღრესად შესაფერისი ფორმა იქნება“.

...ახლა მე გამოვაქვეყნებ ამონანერს ოსვენციმის რამდენიმე ათასი ყოფილი პატიმრის წარმომადგენელთა მიმართვიდან საერთაშორისო საზოგადოებრიობისადმი:

„ადამიანთა დაუჯერებელი რაოდენობის გაზით მონამვლა ხდებოდა, როცა „ტრანსპორტები“ მოდიოდა სხვადასხვა ქვეყნდან: საფრანგეთიდან, ბელგიიდან, ჰოლანდიიდან, საბერძნეთიდან, იტალიიდან, უნგრეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან, სსრ კავშირიდან, ნორვეგიიდან და სხვ. ტრანსპორტით მოყვანილ ადამიანებს უნდა გაევლოთ ბანაკის სს-ის ექიმისა ბანაკის სს-ის უფროსის ნინ. იგი თითოით უჩვენებდა, მარჯვივ ან მარცხნივ. მარცხნივ ნიშნავდა გაზით სიკვდილს. ტრანსპორტით მოყვანილ 1.500 კაციდან საშუალოდ 1.200-1.30- ერთბაშად მიჰყავდათ გაზით სასიკვდილოდ. ზოგჯერ ბანაკში გაგზავნილ ადამიანთა პროცენტი ცოტათი მეტი იყო. ხშირად ხდებოდა, რომ სს-ის ექიმები მენგელე და ტილო ამ „სელექციას“ ატარებდნენ მხია-



## მათ აცავებდნენ გასურებული ჟათიოთ. თხერიდნენ თვალებს, სჭრიდნენ კიდურებს...

**რული მელოდიის ლილინით.** გაზით დასახოცავად განკუთვნილ ადამიანებს ტანტუნდა გაეხადათ გაზკამერის ნინ, რის შემდეგ მათ მათრახის ცემით შერეკდნენ გაზკამერაში. მერმე საფლავის — გაზკამერის კარს ხურავდნენ და ადამიანებს სწამლავდნენ გაზით. სიკვდილი იწყებოდა დაახლოებით 4 წუთის შემდეგ. 8 წუთის შემდეგ გაზკამერას ალებდნენ და „განსაკუთრებული კომანდის“, ეგრეთ წოდებული „ზონდერკომანდის“ მუშები შეუდგებოდნენ გვამების წალებას კრემატორიუმების ღუმელებისაკენ, რომებიც დღედაღალ ენთო.

უნგრეთიდან ტრანსპორტების ჩამოსვლისას ღუმელებმა არ იკმარა და მოაწყეს უზარმაზარი თხრილები დასაწვავად. იქ აწყობდნენ შეშას, რასაც ასხამდნენ ნავთს. ამ თხრილებში ჩაყრიდნენ ხოლმე გვამებს, მაგრამ სს-ელები იქ ხშირად ჰყრიდნენ აგრეთვე ცოცხალ ბავშვებსა და მოზრდილებსაც, სადაც ეს ყოვლად უბედური ადამიანები იღუპებოდნენ საშინელი სიკვდილით. ცხომეულსა და ზეთს, რაც საჭირო

იყო დასაწვავად, ნაწილობრივ იღებდნენ გაზით მონამლული ადამიანების გვამებიდან, რათა გაენიათ ნავთის ეკონომია. „გვამებიდან იღებდნენ აგრეთვე ზეთსა და ცხიმეულს ტექნიკური მიზნებისათვის და საპნის მოსამზადებლადაც კი“.

მიმართვა მთავრდება სიტყვებით: „ჩვენ გთხოვთ და ჩვენთან ერთად გთხოვთ 10.000-მდე გადარჩენილი პატიმარი ყველა ეროვნებისა, რომ დაუსჯელად არ დარჩეს ჰიტლერელთა დანაშაულობანი და დაუჯერებელი მხეცობა“.

ამ სამართლიან მოთხოვნას მხარს უჭერს მთელი ცივილიზებული მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი.

### 2. სამხედრო ტყვეთა ნამზადება და დახოცვა

ჰიტლერელ შეთქმულთა ერთერთ უსაშინელეს ბოროტმოქმედებას წარმოადგენს სამხედრო ტყვეთა ორგანიზებული მასობრივი გაულეტა.

გამორკვეულია იმ მკვლელობათა და ტანკები-წამების მრავალი



ფაქტი, რასაც სამხედრო ტყვეები განიცდიდნენ. მათ ანამებდნენ გახურებული შანთით. თხრიდნენ თვალებს, სჭრიდნენ კიდურებს და სხვ.

სისტემატური მხეცობა და აწიოკება, რასაც ნითელი არმიის ტყვე ჯარისკაცებისა და ოფიცირების მიმართ სჩადიოდნენ, შემთხვევით ეპიზოდები და გერმანიის არმიის ცალკეული ოფიცირებისა და გერმანელი მოხელეების დანაშაულებრივი მოქმედების შედეგი როდი იყო.

ჰიტლერული მთავრობა და გერმანიის არმიის მავარსარდლობა მხეცურად სპობდნენ სამხედრო ტყვეებს. ამას მოწმობენ ნაცისტური მთავრობის მრავალი დოკუმენტი, დირექტივები და დადგენილებანი და გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებები.

ჯერ კიდევ 1941 წლის მარტში, როგორც დაკითხვის დროს აჩვენა გერმანელთა გენერალ-ლეიტენანტმა ოსტერრაიხმა, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში ბერლინში შედგა საიდუმლო თათბირი, რომელზეც გაითვალისწინეს ლონისძიებანი რუსი ტყვე ჯარისკაცებისა და ოფიცირებისათვის ბანაკების მოსაწყობად და მათდამი მოპყრობის „ნესები“. ეს „ნესები“ და ლონისძიებანი, როგორც ოსტერრაიხის ჩევენებებიდან სჩანს, არსებითად საბჭოთა სამხედრო ტყვეების გაულეტის გეგმა იყო.

ბევრი საბჭოთა სამხედრო ტყვე დახვრიტეს და ჩამოახრჩეს, აგრეთვე, დაიღუპა შიმშილითა და ინფექციური დაავადების გამო, სიცივითა და წამებით, რასაც მეთოდურად მიმართავდნენ გერმანელები წინასწარ მოფიქრებული გეგმით, რომლის მიზანი იყო საბჭოთა ადამიანების სამობრივი გაულეტა.

...შავბნელი ხსოვნა დასტოვა გერმანელების მიერ შექმნილმა „გროსლაზარეტმა“ ქალაქ სლავუტაში. მთელმა მსოფლიომ იცის, თუ რა მხეცობა ჩაიდინეს გერმანელებმა საბჭოთა სამხედრო ტყვეებისა და სხვა დემოკრატი-

ული სახელმწიფოების სამხედრო ტყვეებისადმი ოსვენციმში, მაიდანებაშა და მრავალ სხვა ბანაკში.

აქ მოქმედებდნენ გერმანიის უშიშროების პოლიციისა და სდის დირექტივები, რომლებიც შემუშავებული იყო შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბთან ერთად, რომლის უფროსიც იყო ბრალდებული კაიტელი.

№8 ოპერატიულ ბრძანებაში ნათქვამი იყო: „ეგზეკუციები არ უნდა ხდებოდეს ბანაკში ან უშუალოდ ბანაკის მახლობლად. თუ საგენერალგუბერნატოროს ბანაკები უშუალოდ ახლო არის საზღვართან, ტყვეები სპეციალური დამუშავებისათვის შეძლებისდაგვარად უნდა გაიგზავნოს ყოფილ საბჭოთა რაიონებში. თუ ეგზეკუციები საჭირო იქნება საბანკო დისციპლინის დარღვევის გამო, ამ შემთხვევაში ოპერატიული რაზმის უფროსმა უნდა მიმართოს ბანაკის კომენდანტს.“

„ზონდერკომანდების საქმიანობა საარმიო ზურგის სარდლების (სამხედრო ტყვეთა საქმის რაიონული კომენდანტების) სანქციით უნდა ხორციელდებოდეს ისე, რომ ფილტრაცია ტარდებოდეს შეძლებისდაგვარად შეუმჩნევლად, ხოლო ლიკვიდაცია უნდა ხდებოდეს დაუყოვნებლივ და ისეთ მანძილზე თვითონ განმანაწილებელი ბანაკებისა და დასახლებული პუნქტებისაგან, რომ ეს არ იცოდნენ დანარჩენმა სამხედრო ტყვეებმა და მოსახლეობამ.“

უშიშროების პოლიციისა და სდის უფროსის №14 ოპერატიული ბრძანების №1 დანართში, რომელიც დათარიღებულია „ბერლინი, 1941 წლის 29 ოქტომბერი“ №21 E/41 ΓΡC-IVAI, რეკომენდებულია ეგზეკუციის განხორციელების შემდეგ „ნესი“: „ოპერატიული ჯგუფების უფროსები თავიანთი პასუხისმგებლობით სწყვეტენ ეგზეკუციის საკითხებს, სათანადო მითითებებს აძლევენ ზონდერკომანდებს. ამ დირექტივებით დადგენილ ლონისძიებათა განსახორციელებლად რაზმებმა ბა-

ნაკების ხელმძღვანელებს უნდა მოსთხოვონ ტყვეები. არმიის უმაღლესმა სარდლობამ მითითება მისცა მეთაურებს, დააკმაყოფილონ ასეთი მოთხოვნები.

ეგზეკუცია უნდა ხდებოდეს შეუმჩნევლად, მოხერხებულ ადგილებში და, ყოველ შემთხვევაში, არა თვით ბანაკში ან უშუალოდ მის მახლობლად. თვალყური უნდა ადევნოთ გვამების დაუყოვნებლივ და სწორად დამარხვას.“

თუ როგორ სრულდებოდა ყველა ზემოაღნიშნული დირექტივა, ამას მოწმობს ვინიცაში მყოფი ოპერატიული რაზმის (ოპერატურმბანფიურერის ლიპერის მოხსენება ბრიგადენფიურერ „დოქტორ“ ტომასისადმი) მოხსენება 1941 წლის დეკემბერში. ამ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ვინიცის ბანაკში ბანაკის ეგრეთ წოდებული „ფილტრაციის“ შემდეგ დარჩა სულ 25 კაცი, რომელიც შეიძლება მიეკუთვნონ „საეჭვო პირთა“ კატეგორიას.

ეს შეზღუდული რაოდენობა, ნათქვამია მოხსენებაში, იმით აისწინება, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები უშიშროების პოლიციის ხაზით ყოველდღიურად მიმართავდნენ საჭირო ლონისძიებებს სამხედრო ტყვეების სტაციონარულ ბანაკებში მყოფი უარყოფითი ელემენტების წინააღმდეგ კომენდანტებთან ან კონტრდაზვერვის შესაბამის ოფიცირებთან კონტაქტით. ამრიგად, გარდა მასობრივი სიკვდილით დასჯისა, რასაც ეწეოდნენ ამისათვის სპეციალურად შექმნილი „ზონდერკომანდები“, საბჭოთა სამხედრო ტყვეების ბანაკების კომენდანტებიდან რაზმები, რომელნიც მათ ემორჩილებოდნენ, ფართოდ ახორციელებდნენ საბჭოთა ადამიანების სისტემატურ ულეტას.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ვ.მ. მოლოტოვის 1941 წლის 25 ნოემბრის ნოტაში საბჭოთა სამხედრო ტყვეების მიმართ გერმანელ ხელისუფალთა აღმაშფოთებელი მხეცობის შესახებ, რაც გაეგზავნა იმ ქვეყნების ყველა ელჩისა და დესპანს, რომელიც თანაც სასრ კავშირს დიპლომატი-

ური ურთიერთობა აქვს, ალნიშნულია, რომ გერმანიის სამხედრო სარდლობა და გერმანიის სამხედრო ნაცილები მხეცურად აცავებდნენ, სტანდავდნენ და ხოცავდნენ ნითელარმიელებს, პანაკებში მყოფ უმცეო ავაღმყოფ და დაჭრილ ნითელარმიელებს ჟაპისტი ურჯუკები ადგილზევე ხიშტით ხოცავდნენ და ხვრეტდნენ; აუკატიურებდნენ სამედიცინო დეპა და სანიტარ ჩალებს, მხეცურად ხოცავდნენ სამედიცინო პერსონალის ნარმომადგენლებს.

საბჭოთა ტყვეების მიმართ ჩადენილ მხეცობათა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს სამხედრო ტყვეების დადაღვა განსაკუთრებული გამოსაცნობი ნიშნებით, რომლებიც დაწესებულ იქნა გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის 1942 წლის 20 ივნისის სპეციალური განკარგულებით. ამ განკარგულებაში გათვალისწინებულია დადაღვის შემდეგი სამუალებანი: „გადაჭიმული კანის ზერელე გაჭრა ხდება ჩინურ ტუშში დასველებული გავარვარებული ლანცეტით“.

1907 წლის პააგის კონვენცია სამხედრო ტყვეების შესახებ მოითხოვა არა მარტო ჰუმანურად მოეპყრონ ტყვეებს, არამედ პატივი სცენ მათს პატრიოტულ გრძნობებს, არ გამოიყენონ მათი ძალები მათივე სამშობლოს წინააღმდეგ ბრძოლაში. კონვენციის მე-3 თავი ომის კანონებისა და ადათების შესახებ უკრძალავს მეომარ მხარეს, აიძულოს მონინააღმდეგ მხარის ქვეშევრდომნი, მონაწილეობა მიიღონ საომარ მოქმედებაში, რომელიც მიმართულია მათი ქვეყნის წინააღმდეგ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ქვეშევრდომები მის სამსახურში იყვნენ ომის დაწყებამდე. პიტლერელებმა ფეხით გასთელეს საერთაშორისო სამართლის ეს ელემენტარული პრინციპი. ისინი ცემითა და დახვრეტის მუქარით აიძულებდნენ ტყვეებს ემუშავნათ საზიდოებზე, მანქანებსა და ტრანსპორტზე, რომლებსაც საომარი



**საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა სალესის სახელით ვაცხადებ, რომ საბჭოთა სამხედრო ტყვეების სისტემისადმი აცილებისათვის, როთაც დააჩვენების როის ცარმობის საბჭოთა სამხედრო ტყვეების კანონის მიზნით და აღათები, კასახის სახელი არიან პიტლერის დანარაულებრივი მთავრობა და გარემონის უმაღლესი მთავარსარდლობა და სამხედრო ტყვეების გადაღებული გავარვარებული ლანცეტით“.**

მასალა და სხვა სამხედრო ტვირთი მიპქონდათ ფრონტზე, საომარი მასალის მიმწოდებლად ცეცხლითს პოზიციებზე, საპარო არტილერიის დამხმარე შემადგენლობაში და სხვ.

ლენინგრადის ოლქში, სმოლენსკის ოლქის ელნიას რაიონში, ბელორუსის სსრ კომელის ოლქში, პოლტავის ოლქსა და სხვა აღქებში რეგისტრირებულია შემთხვევები, როცა გერმანიის სარდლობა იერიშების დროს დახვრეტის მუქარით მოერევებოდა ტყვე წითელარმიელებს შემტევი კოლონების წინ.

საბჭოთა სამხედრო ტყვეების მასობრივ ულეტის, რაც დადგენილ იქნა საგანგებო სახელმწიფო კომისიის მიერ ჩატარებული სპეციალური გამოკვლევებით, ადას-

ტურებენ, აგრეთვე, გერმანიის პოლიციისა და უმაღლესი მთავარსარდლობის ის დოკუმენტები, რომლებიც საბჭოთა და მოკავშირე ჯარებმა ხელში ჩაიგდეს გერმანიის ტერიტორიაზე.

ამ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ბევრი საბჭოთა სამხედრო ტყვე დახოცილა შიმშილით, პარტატიანი ტიფითა და სხვა სენით. ბანაკთა კომენდატური სამოქალაქო მოსახლეობას უკრძალავდნენ სამხედრო ტყვეებისათვის პროდუქტების მიწოდებას და შიმშილით სასიკვდილოდ ჰყავდათ ისინი განნირული. ბევრ შემთხვევაში სამხედრო ტყვეებს, რომელთაც შიმშილისა და მოქალაქების გამო არ შეეძლოთ სიარული სალაშქრო წყობილებაში, ხვრეტდნენ სამოქალაქო მოსახ-



ლეობის თვალწინ და მათი გვამები აუკრეფავი რჩებოდა. პევრ ბანაკში სრულიად არ ზრუნავდნენ სამხედრო ტყვეების ბინებისათვის, წვიმასა და თოვლში ისინი ღია ადგილას იწვენენ. მათ იარაღიც კი არ მისცეს, რომ ორმოები და სოროები ამორთხარათ თავისთვის მინაში, გაიგონებდით ჰიტლერელთა ნათქვამს: „რაც უფრო მეტი ტყვე დაიხოცა, მით უკეთესია ჩვენთვის“.

მთელი ზემონათქვამის საფუძველზე საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა ხალხის სახელით ვაცხადებ, რომ საბჭოთა სამხედრო ტყვეების სისხლისმღვრელი ანიოკებისათვის, რითაც დარღვეულია ომის წარმოების საყოველთაოდ აღიარებული კანონები და ადათები, პასუხისმგებელი არიან ჰიტლერელთა დანაშაულებრივი მთავრობა და გერმანის უმაღლესი მთავარსარდლობა, რომელთა წარმომადგენლიც ბრალდებულთა სკმზე სხედან.

### 3. მონობაში გარეპვა

გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების საზიზღარ დანაშაულობათა გრძელ წყებაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა გერმანიაში მონურ-ყმური შრომისათვის მშვიდობიან მოქალაქეთა — მამაკაცთა, ქალთა და ბავშვთა იძულებით გარევას.

დოკუმენტები მონმობენ, რომ ჰიტლერული მთავრობა და გერმანიის უმაღლესი სარდლობა გერმანულ მონობაში საბჭოთა მოქალაქეების გარეკვას ახორციელებდნენ მოტყუების, მუქარისა და ძალადობის გზით. ფაშისტი მოძალადები საბჭოთა მოქალაქეებს მონებად მიჰყიდდნენ ხოლმე საწარმოებსა და კერძო პირებს გერმანიაში: ტყვეები განწირული იყვნენ საშიმშილოდ, მხეცური მოპყრობისათვის და საბოლოო ანგარიშით წამებით სასიკვდილოდ. მე შემდეგში შევჩერდები ჰიტლერული მთავრობისა და უმაღლესი სარდლობის არაადამიანურ, ბარბაროსულ დირექტივებზე, განკარგულებებსა და ბრძანებზე, რომლებიც იცემო-

და საბჭოთა ადამიანების გერმანულ მონობაში გარეკვის განსახორციელებლად და რომლებისთვისაც პასუხს აგებენ ამ საქმის გამო ბრალდებულნი, კერძოდ, გერინგი, კაიტელი, როზენბერგი, ზაუკელი და სხვები. ბრალდების საბჭოთა წარმომადგენლების განკარგულებაში არსებული დოკუმენტები, რომლებიც წითელმა არმიამ ხელთ იგდონ გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურებულ შტაბებში, ამხილებენ ბრალდებულთ მათ მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში.

1942 წლის ნოემბერში შემდგარ გერმანიის შრომითი ფრონტის სხდომაზე როზენბერგმა თავის მოხსენებაში მოიყვანა ფაქტები და ციფრები, რომლებიც ადასტურებენ, თუ რა უდიდესი იყო მასშტაბი მონურ-ყმური შრომისათვის გერმანიაში საბჭოთა ადამიანების გარეკვისა, რაც ზაუკელის მიერ იყო მოწყობილი.

1941 წლის 7 ნოემბერს ბერლინში შედგა საიდუმლო თათბირი, რომელზეც გერინგმა თავის მოხელეებს მითითებანი მისცა იძულებით სამუშაოებზე საბჭოთა ადამიანების გამოყენების შესახებ. ამ მითითებათა შესახებ ჩვენ შევიტყეთ დოკუმენტიდან, რომელიც წარმოადგენს აღმოსავლეთში გერმანიის სარდლობის სამეურნეო შტაბის 1941 წლის 4 დეკემბრის №42006/41 საიდუმლო ცირკულარს. აი რა იყო ნათქვამი ამ მითითებებში:

1. „რუსი ადამიანები, უმთავრესად, გამოყენებულ უნდა იქნან საგზაო მშენებლობისათვის, რკინიგზების მშენებლობისა და მოსავლის აღების სამუშაოებისათვის, განაღმვისა და აეროდრომების მშენებლობისათვის. უნდა დაიშალოს გერმანელთა სამშენებლო ბატალიონები (მაგალითად, სამხედრო-საპატიო ფლოტისა). გერმანელი კვალიფიციური მუშები უნდა მუშაობდნენ სამხედრო მრეწველობაში; ისინი არ უნდა თხრიდნენ მინას, არ უნდა ამტვრევდნენ ქვას, ამისათვის არსებობს რუსი“.

2. „რუსი, ჰიტლერ რიგში, გამოყ-

ენებულ უნდა იქნას სამუშაოს შემდეგ უბნებზე: სამთო საქმე, საგზაო მშენებლობა, სამხედრო მრეწველობა (ტანკები, ქვემეხები, თვითმფრინავთა აპარატურა), სოფლის მეურნეობა, აღმშენებლობა, დიდრონი სახელოსნოები (ფეხსაცმლის სახელოსნოები), სპეციალური რაზმები სასწრაფო მოულოდნელი სამუშაოებისათვის“.

3. „ნესრიგის დამყარების ღონისძიებათა გამოყენებისას გადამწყვეტი მოსაზრება არის სისწრაფე და სიმკაცრე, გამოყენებულ უნდა იქნას სასჯელის შემდეგი ნაირსახეობანი, შუალედ საფეხურთა გამოუყენებულად: კვების შეწყვეტა და სიკვდილით დასჯა სამხედრო-საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით“.

მუშახელის გამოყენების მთავარ რწმუნებულად ჰიტლერის 1942 წლის 21 მარტის ბრძანებით დაინიშნა ბრალდებული ფრიც ზაუკელი.

1942 წლის 20 აპრილს ზაუკელმა სასტკი საიდუმლო წესით მთავრობასა და სამხედრო ორგანოებს დაუგზავნა თავისი „მუშახელის გამოყენების მთავარი რწმუნებულის პროგრამა“, რომელიც თავისი საზიზღორიბით არ ჩამორჩება ზემოთმოყვანილ ცირკულარს. აი რა არის ნათქვამი ამ „პროგრამაში“:

„უალრესად საჭიროა, რომ ოკუპირებულ საბჭოთა ოლქებში სავსებით გამოყენებულ იქნას არსებული ადამიანთა რეზერვები. თუ არ მოხერხდა ნებაყოფლობით მივიზიდოთ საჭირო მუშახელი, დაუყივნებლივ უნდა შევუდგეთ მობილიზაციას ან ინდივიდუალურ ვალდებულებათა იძულებითს ხელმოწერას, ოკუპირებულ ოლქებში მყოფ სამხედრო ტყვეებთან ერთად, უმთავრესად, საჭირო მობილიზაცია 15 წელზე უფროსი ასაკის სამქალაქო კვალიფიციური მუშებისა საბჭოთა ოლქებიდან გერმანიაში სამუშაოზე მათი გამოყენებისათვის.“

ფრიად დატვირთული გერმანელი გლეხი ქალი რომ მუშაობისაგან შესამჩნევად განტვირთულიყო, ამისათვის ფიურერმა და-

მავალა, გერმანიაში აღმოსავლეთი ოლქებიდან ჩამოყვანა 400-500 ათასი რჩეული, ჯანსაღი და ლონიერი ქალიშვილი“.

ბრალდებამ ტრიბუნალს წარუდგინა კიდევ ერთი საიდუმლო დოკუმენტი აღმოსავლეთი ოლქებიდან წაყვანილი მუშა ქალების გერმანიის საოჯახო მეურნეობაში გამოყენების შესახებ. ეს დოკუმენტი წარმოადგენს ზაუკელთა 1942 წლის 3 სექტემბერს შემდგარი სხდომის ოქმის წაწყვეტებს. მოვიყვან ზოგიერთ ამ წაწყვეტა:

1. „ფიურერმა განკარგულება გასცა, რომ დაუყოვნებლივ წამოყვანილ იქნას 15-დან 35 წლამდე ასაკის 400-500 ათასი უკრაინელი ქალი საოჯახო მეურნეობაში მათი გამოყენების მიზნით“.

2. „ფიურერმა კატეგორიულად გამოთქვა სურვილი, გაგერმანებულ იქნას ამ ქალიშვილების დიდი რაოდენობა“.


3. „ფიურერის სურვილია, რომ 100 წლის შემდეგ ევროპაში ცხოვრობდეს გერმანულად მოლაპარაკე 250 მილიონი კაცი“.

4. „განხილულ იქნან უკრაინიდან წამოყვანილი ეს მუშა ქალები, როგორც აღმოსავლეთის მუშა ქალები, და გაუკეთდეთ მათ ნიშანი „აღმოსავლეთი — ოსტი“.

5. „გაულაიტერმა ზაუკელმა დასძინა, რომ საოჯახო მეურნეობაში მუშა ქალთა ჩაბმისაგან დამოუკიდებლად გათვალისწინებულია, დამატებით გამოყენებულ იქნას მილიონი მუშახელი აღმოსავლეთიდან“.

6. „გერმანიაში სხვა ქვეყნებიდან პურეულის მარაგის მიწოდების ძნელი პირობების მომიზეზებას იგი, ზაუკელი, სრულიად არაფრად აგდებს. იგი გამონახავდა გზებსა და საშუალებებს უკრაინული პურისა და პირუტყვის გამოსაყენებლად, მოახდენდა ევროპის ყველა ეპრაელის მობილიზაციას და მათგან გააკეთებდა ცოცხალ ჯაჭვს, რათა ტარა გადაეცა უკრაინაში“.

წინასწარ გრძნობდა რა, რომ გერმანიაში სამუშაოდ გასაგზავნად საბჭოთა ადამიანების იძუ-



**ზველა გრალდეგულა მოახზადა, მოაციო და მოახდინა აუცილებელი, ისტორიის არასოდას მომდევარი გერმანიული დანართის სამართლის საუკვდების წინააღმდეგ, ადამიანები მორჩილის და საერთაშორისო სამართლის საუკვდების წინააღმდეგ.**

ლებითი შეგროვების ლონისძიებანი აუცილებლად ჩაისმებოდა, ზაუკელმა 1942 წლის 31 მარტის №-ფა 578028/729 საიდუმლო ინსტრუქციით ბრძანება გასცა: „შეგროვება“, რომლისთვისაც თქვენ პასუხს აგებთ, უნდა დაჩქარდეს ყველა ხელმისაწვდომი ლონისძიებით, მათ შორის შრომის იძულებითი პრინციპის მკაფრი გამოყენებით“. ზაუკელი და მისი აგენტები იყენებდნენ იძულებისა და ტერორის ყველა შესაძლო საშუალებებს, რათა შეესრულებინათ შეგროვების გეგმები. ამ „შეგროვებისათვის“ განწირულ საბჭოთა ადამიანებს შიმშილით ხოცავდნენ, ვაგზლებზე იტყუებდნენ ვითომდა პურის დასარიგებლად, ჯარისკაცებს არტყამდნენ გარს, დახვრეტის დამუქრებით ეშელონებში სხამდნენ და გერმანიაში გზავნიდნენ, მაგრამ ეს ძალდატანებითი ზომებიც არ სჭრიდა. „შეგროვება“ არ გამოუდიოდათ. მაშინ ზაუკელმა და მისმა აგენტებ-

მა განაწილებას მიმართეს. ამას მოწმობს გერმანელი კომენდანტის ბრძანება, რომელიც წითელი არმიის ჯარებმა ხელთ იგდეს ლენინგრადის ოლქის ოკუპირებული ნაწილის განთავისუფლებისას.

პოლიტიკური პოლიციისა და უშიშროების სამსახურის უფროსი ხარკოვში თავის მოხსენებაში ქალაქ ხარკოვში 1942 წლის 23 ივლისიდან 9 სექტემბრამდე არსებული მდგომარეობის შესახებ იტყობინებოდა: „მუშახელის შეგროვება უმძიმთ შესაბამის დაწესებულებებს, ვინაიდან მოსახლეობა ერთობ უარყოფითად ეკიდება გერმანიაში სამუშაოდ გაგზავნას. მდგომარეობა ამჟამად ისეთია, რომ ყოველი ადამიანი ყველა საშუალებით ცდილობს, თავი დააღნიოს განვევას (იგონებენ ავადყოფობას, გარბიან ტყემი, ქრთამს აძლევენ მოხელეებს და სხვ.). გერმანიაში ნებაყოფლობით გაგზავნის შესახებ უკვე დიდიხანია ლაპარაკიც ზედმეტია“.



გერმანულ მონობაში გარეკილი საბჭოთა მოქალაქეების მიმართ დაწესებული იყო უაღრესად მხეცური რეჟიმი, რასაც მონმობს გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების ბოროტმოქმედებათა დამდგენი და გამომკვლევი საგანგებო სახელმწიფო კომისიის მიერ შეკრებილი დიდალი საჩივარი და განცხადება.

ასეთივე იყო ბედი გერმანულ მონობაში გარეკილი პოლოხეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავის მოქალაქეებისა...

## დანაშაულობანი ადამიანობის შინააღმდეგ

ყველა ბრალდებულმა მოამზადა, მოაწყო და მოახდინა აუნერელი, ისტორიაში არასოდეს მომხდარი შეურაცხმყოფელი დანაშაულობანი ადამიანობის წინააღმდეგ, ადამიანური მორალისა და საერთაშორისო სამართლის საფუძვლების წინააღმდეგ.

საბრალდებო დასკვნის IV ნაწილის ბრალდების ფორმულაში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ თვით გეგმა ან შეთქმულება მოწყობილი იყო, აგრეთვე, ადამიანობის წინააღმდეგ დანაშაულობათა ჩადენის მიზნით.

ფაშისტმა შეთქმულებმა ადამიანობის წინააღმდეგ დანაშაულობათა ჩადენა პიტლერული პარტიის შექმნის მომენტიდან დაიწყეს.

ამ დანაშაულობებს უდიდესი მასშტაბი მიეცა ხელისუფლების სათავეში პიტლერელების ჩადგომის შემდეგ.

1933 წელს ბუხენვალდში და 1934 წელს დახაუში შექმნილი საკონცენტრაციო ბანაკები მხოლოდ მკრთალი პროტოტიპი აღმოჩნდა მაიდანეებისა, ოსვენციმისა, სლავუტისა, სიკვდილის მრავალრიცხოვანი ბანაკებისა, რომლებიც პიტლერელებმა ლატვიის, ბელორუსის, უკრაინის ტერიტორიაზე შექმნეს.

ერთ-ერთ სტატიაში, რომელიც დათარიღებულია 1933 წლით, გერინგი თავის დამსახურებად თვლიდა იმას, რომ გარდაპქნა

გესტაპოს მთელი ხელმძღვანელობა, დაუმორჩილა საიდუმლო პოლიცია უშუალოდ თავის თავს და პოლიტიკურ მონინააღმდეგებთან საბრძოლველად მოაწყო საკონცენტრაციო ბანაკები.

„ასე, — ამბობდა გერინგი, — შეიქმნა საკონცენტრაციო ბანაკები, რომლებშიც ჩვენ მალე უნდა მოგვეთავსებინა კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების აპარატის ათასობით მუშაკები“.

ბრალდების საბჭოთა წარმომადგენლების განკარგულებაში არის მარტინ ბორმანის „შენიშვნები“ 1940 წლის 2 ოქტომბერს პიტლერთან შემდგარი თათბირის შესახებ. ისინი ნაპოვნია გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივებში, რომლებიც საბჭოთა ჯარებმა ხელთ იგდეს ბერლინში, ეს დოკუმენტი შეეხება ოკუპირებულ პოლონეთს. იგი წარედგინება სასამართლოს. ახლა მომყავს პიტლერული ხელმძღვანელობის მხოლოდ ზოგიერთი საპროგრამო მითითება, რომლებიც ამ დოკუმენტშია მოცემული. თათბირი დაიწყო ფრანგის განცხადებით იმის შესახებ, რომ მის მოღვაწეობას საგენერალ-გუბერნატორში შეიძლება ენიდოს მეტად წარმატებითი: ებრაელები ვარშავასა და სხვა ქალაქებში ჩამწყვდებული არიან გეტოებში. კრაკოვი მალე სავსებით გაიწმინდება ებრაელებისაგან. „არ უნდა არსებობდნენ პოლონელი მეპატრონები, — ნათქვამი იყო შემდეგ ამ დოკუმენტში. — იქ, სადაც ისინი იქნებიან, რა მკაფრადაც არ უნდა გაისმოდეს ეს, ისინი უნდა მოვსპოთ...“ „მოსპობილ უნდა იქნან პოლონეთის ინტელიგენციის ყველა წარმომადგენლები — ეს სასტიკად გაისმის, მაგრამ ასეთია ცხოვრების კანონი...“ „...მღვდლებს ჩვენ მივცემთ გასამრჯელოს და ამისათვის დაიწყებენ იმის ქადაგებას, რასაც ჩვენ მოვისურვებთ. თუ აღმოჩნდება მღვდლი, რომელიც სხვანაირად იმოქმედებს, მასთან ბევრ ლაპარაკს არ დავიწყებთ. მღვდლის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ

პოლონელები მშვიდად, სულელებად და გონებაჩლუნგებად ამყოფოს. ეს მთლიანად შეეფერება ჩვენს ინტერესებს...“ „...უკანასკნელი გერმანელი მუშა და უკანასკნელი გერმანელი გლეხი ეკონომიური მხრივ მუდამ მაღლა უნდა იდგეს ყოველ პოლონელზე“.

პიტლერელთა უმაგალითო ბოროტმოქმედებებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მათ მიერ სლავი და ებრაელი ხალხების სისხლის მღვრელ აწიოკებას.

პიტლერი ეუბნებოდა რაუშნინებს:

„ლარიბთა და დამცირებულთა დაცვის შესახებ საუკუნეობრივი წუნეულის შემდეგ დადგა დრო, რათა გადავწყვიტოთ, დავიცვათ ძლიერები მდაბალთა წინააღმდეგ. ეს იქნება გერმანიის სახელმწიფოებრივი საქმიანობის ერთერთი მთავარი ამოცანა მუდამ უამს — ჩვენს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით თავიდან ავიცილოთ სლავური რასის შემდგომი ზრდა. ბუნებრივი ინსტინქტები უბრძანებენ ყველა ცოცხალ არსებას, არა მარტო დაიპყროს თავისი მტრები, არამედ კიდევაც მოსპოს ისინი. წინათ გამარჯვებულის პრეროგატივა იყო, მოესპო მთელი ტომები, მთელი ხალხები“ (იხ. რაუშნინების წიგნი „ნგრევის ხმა“, ნიუიორკი, 1940 წ. გვ. 138).

თქვენ უკვე მოისმინეთ, ბატონო მოსამართლენო, მოწმე ერის ფონ-დერ-ბახ-ზელეგსკის ჩვენებანი პიმლერის მითითებათა შესახებ, რომლებიც მოცემულია მის 1941 წლის დამდეგის სიტყვაში.

ბრალდების საბჭოთა წარმომადგენლის შეკითხვაზე მოწმებ განაცხადა: „ჰიმლერის სიტყვაში აღნიშნული იყო, რომ საჭიროა სლავების რიცხვი 30 მილიონი კაცით შევამციროთ“.

უშიშროების პოლიციისა და სდრაზმებისათვის 1941 წლის 17 ივნისს მიცემულ დირექტივაში მითითებული იყო, რომ საჭირო იყო ასეთივე ზომები გამოყენებინათ არა მარტო რუსი ხალხის მიმართ, არამედ უკრაინელების, ბელორუსების, აზერბაიჯანელების, სომ



ხების, ქართველების, თურქი  
ხალხების და სხვათა მიმართაც.

ბრალდების საბჭოთა ნარმო-  
ბადგენლები სასამართლოს წა-  
რუდგენენ კონკრეტულ დოკუმენ-  
ტებს და ფაქტებს ამის შესახებ.

თავითან გეგმებში ფაშისტმა  
შეთქმულებმა დასახელ მსოფლი-  
ოს ეპრალი მოსახლეობის მთლი-  
ანად მოსპობა, და ისინი ატარებ-  
დნენ ამ მოსპობას შეთქმულებით  
საქმიანობის მთელ მანძილზე  
დაწყებული 1933 წლიდან.

ჩემმა აძლევიკელმა კოლეგამ უკვე მოიყვანა ციტატი ჰიტლერის 1942 წლის 24 თებერვლის განცხადებიდან იმის შესახებ, რომ „ებრაელები მოსპობილ იქნებიან“.

ბრალდებულ ფრანკის სიტყვაში, რომელიც გამოქვეყნდა „კრაკოვსკაია გაზეტაში“ 1942 წლის 18 აგვისტოს, ნათელად იყო:

„ვინც დღეს გაივლის კრაკოვში, ლვოვში, ვარშავაში, რადომსა და ლიუბლინში, მან სამართლიანად უნდა აღიაროს, რომ გერმანული მმართველობის ღონისძიებანი რეალური წარმატებებით დაგვირგვინდა — ებრაელებს თითქმის ველარ ვხედავთ“.

ებრაელი მოსახლეობის მხეცუ-  
რად მოსპობას ადგილი ჰქონდა  
უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალ-  
ტიისპირეთში.

გერმანულ ოკუპაციამდე ქალაქ  
რიგაში დაახლოებით 80.000 ებ-  
რაელი ცხოვრობდა. წითელი არ-  
მიის მიერ რიგის განთავისუფლე-  
ბის მომენტისათვის იქ 140 ებრა-  
ელი დარჩა.

შესაძლებლობა არ გვაქვს შესა-  
ვალ სიტყვაში ჩამოვთვალოთ  
ბრალდებულთა მიერ ადამიანო-  
ბის წინააღმდეგ ჩადენილი დანა-  
შაულობანი.

ბრალდების საბჭოთა წარმო-  
მადგენლებს მოქმედობათ მნიშვ-  
ნელოვანი დოკუმენტაციური მა-  
სალები, რომლებიც წარედგინება  
სასამართლოს.

ბატონო მოსამართლენო! მე გა-  
მოვდივარ აქ, როგორც წარმო-  
მადგენელი საბჭოთა სოციალის-  
ტური რესპუბლიკების კავშირი-  
სა. რომელმაც თაშისაჭ ღამიცყ-



გერმანულ რკინკაზიანულ ქალაქ რიგაში  
დაასტოაპით 80.000 ეპიდემიურ ცერვიკოლა.  
ნითელი არაის მიერ რიგის განთავსისუფლაგის  
მომატისათვის იქ 140 ეპიდემიული დარჩა.

რობთა დარტყმების ძირითადი  
სიმძიმე განიცადა და, რომელმაც  
უდიდესი წვლილი შეიტანა ჰიტ-  
ლერული გერმანიისა და მისი სა-  
ტელიტების განადგურების საქ-  
მეში.

საბჭოთა კავშირის სახელით,  
ბრალდებულებს ვუყენებ ბრალ-  
დებას საერთაშორისო სამხედრო  
ტრიბუნალის წესდების მე-6 მუხ-  
ლის ყველა პუნქტის მიხედვით.

ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მხრივ მთავარ ბრალმდებლებთან ერთად ბრალდებულებს ბრალს ვდებ იმაში, რომ მათ მოაზადეს და განახორციელებას ვერაგული თავდასწრება ჩემი ერთ ერთ საჭირო სალეპზე და თავისუფლებისმყვარე ყველა ხალხებზე.

ლექსი იმაში, რომ გამოაცხადეს რა-  
თავი მათ მიერ გამოგონილი ბა-  
ტონთა რასის წარმომადგენლე-  
ბად, ისინი ყველგან, სადაც  
კი შეაღწევდა მათი ძალაუფ-  
ლება, პერიდენ თვითნებო-  
ბისა და ტირანიის რეზიტაცი-  
ადამიანობის ელემენტარუ-  
ლი საფუძვლების გათვალი-  
ზე დაფუძნებულ რეზიტაციას.

ახლა, როცა წითელი არმიისა და  
მოკავშირეთა ჯარების გმირული  
ბრძოლის შედეგად ჰიტლერული  
გერმანია გატეხილი და დამარ-  
ცხებულია, ჩვენ უფლება არა გვა-  
ქვს, დავივიწყოთ გაღებული მსხ-  
ვერბლი, უფლება არ გვაქვს, და-  
უსჯელად დავტოვოთ საშინელ  
ბოროტმოქმედებათა ჩამდენი  
და ორგანიზატორები.

ფაშისტური ტერორის მიღლივ-ნობით უდანაშაულო მსხვერპლ-თა წმიდა ხსოვნისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის, მომავალში ხალხთა უშიშროებისათვის ჩვენ ბრალდებულებს კუყინებთ სრულ და სამართლიან ანგარიშს. ეს არის მთელი კაცობრიობისა ანგარიში, თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ნებისა და სინიდისის ანგარიში.

დაე, აღსრულდეს მართლმსა-  
ჯონიბა!

# საველი სორინის სამი ქართველი მუზე

ფერმწერის, გრაფიკოსის — საველი სორინის, რომელმაც საქართველოს თავშეფარებულმა პინა თბილისში დაიღო, შემოქმედებას ბევრი ქალის სახე ამშვენებს, მათ შორის არის სამი ქართველი ლამაზმანი. ამ უმშვენიერეს ქალთა პორტრეტები სორინმა თან გაიყოლა საზვარგარეთ. მას იმდენად უყვარდა საქართველო, რომ მეუღლეს ანდერძად დაუბარა, ქართული ჩანახატები საქართველოსათვის გადაეცა. მართლაც, ელისო დადიანისა და მელიტა ჩოლოყაშვილის პორტრეტები დღეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ამშვენებს.

საველი სორინი (1878-1953) და-იბადა ლარიბი ებრაელის ოჯახში. 16 წლისა სახლიდან წავიდა, ცხოვრობდა ხან ტულაში, ხან ორიოლში და ხან ოდესაში.

1896-1899 წლებში სწავლობდა ოდესის სამხატვრო სკოლაში, რომელიც დაამთვრა მედლით, რომლითაც ეძლეოდა უფლება, უგამოცდოდ ჩარიცხულიყო რუსეთის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიაში. 1899 წლიდან სწავლობდა საიმპერატორო სამხატვრო აკადემიასთან არსებულ ფერნერის, სკულპტურისა და არქიტექტურის უმაღლეს სასწავლებელში. 1907 წელს აკადემია დატოვა მხატვრის წოდებით და საზღვარგარეთ გამგზავრების უფლებით. ამგვარად, 1908 წელს ის იმყოფებოდა პოლანდიასა და საფრანგეთში.

1911 წელს სორინის ნამუშევრები გამოიფინა მსოფლიო გამოფენაზე ტურინში (იტალია). 1913, 1915 და 1917 წლებში პეტერბურგში მონანილეობა მიიღო გამოფენებში „მსოფლიოს ხელოვნება“ და სხვ.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მხატვარი გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა იალტაში, 1919 წელს ჩამოვიდა თბილისში. აქ მან მონანილეობა მიიღო გამოფენაში „პატარა წრე“. 1920 წელს სერგეი სუდეიკინთან ერთად ბათუმიდან მარსელში გაემგზავრა, რამდენიმე დღეში პარიზში ჩავიდა, სადაც მალე მიიპყრო ევროპელი მხატვ-

რების ყურადღება; მონანილეობდა სხვადასხვა გამოფენაში პარიზსა თუ ლონდონში, ხშირად იყო აშშ-ში, ხანგრძლივად ცხოვრობდა ნიუ იორკში. მისი პერსონალური გამოფენები მოეწყო ბრუკლინის მუზეუმში (1923), ნიუ იორკში „ვილდენშტაინის“ გალერეაში (1927, 1934), ვაშინგტონში (1924), პიტსბურგში (1924-1925), ჩიკაგოში (1927); 1932 წელს ფილადელფიაში მონანილეობდა თანამედროვე რუსული ხელოვნების გამოფენაში.

მეორე მსოფლიო ომის დროს სორინი დასახლდა აშშ-ში. ცნობილია, რომ მან რამდენიმეჯერ საკმაოდ დიდი თანხა შეიტანა სსრკავშირის დახმარების ფონდში.

გარდაიცვალა 1953 წელს ნიუ იორკში.

სორინის ნამუშევრებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პორტრეტებს, რომელთა შორის არის ისეთებიც, რომლებსაც მხატვარი ვერ ეძლეოდა. მაგალითად, ის იმდენად კამაყოფილი იყო თავისი ნამუშევრით — **მელიტა ჩოლოყაშვილის** (კოკო შანელის მოდელის) პორტრეტით, რომ თავისთვის დაიტოვა და პარიზში გამგზავრებისას თან წაიღო. საქართველოში მელიტა ჩოლოყაშვილის პორტრეტი 1974 წელს დაბრუნდა, როცა მხატვრის ქვრივმა ის საქართველოს ეროვნულ მუზეუმს საჩუქრად გადასცა.

**მელიტა ჩოლოყაშვილი** გახლდათ გამორჩეული პიროვნება.



ავთონორტონი

ტიციან ტაბიძე მას „ქალღმერთსა და მადონას“ უწოდებდა. მელიტას მამის ოჯახთან ახლო მეგობრობა აკავშირებდა ილია ჭავჭავაძეს; ცნობილია, რომ მელიტა დიდი ილიას ნათლული იყო.

თბილისში მელიტას სახლში ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები იკრიბებოდნენ. ცნობილი პოეტები — გრიგოლ რობაქიძე და პაოლო იაშვილი თავიანთ ლექსებს კითხულობდნენ. მელიტას პორტრეტს ხატავდნენ ზიგმუნდ ვალიშვილი და სერგეი სუდეიკინი, მაგრამ მისი ყველაზე ცნობილი პორტრეტის ავტორი საველი სორინია.

ჩოლოყაშვილმა მხოლოდ 30 სეანსს გაუძლო, შემდეგ კი მხატვარს მტკიცე უარი უთხრა. „მომბეზრდა თქვენი მითითებების შესრულება, სორინ!“ — განუცხადა მან. პასუხად მხატვარმა პირდაპირ უთხრა, რომ უარის მიზეზი ის იყო, რომ ჩოლოყაშვილი არ თვლიდა თავს ისეთ ლამაზ ქალად, როგორც მხატვრის მეორე მოდელი — მერი შერვაშიძე. მსგავსმა შედარებამ კიდევ უფრო გააბრაზა მელიტა. „ჯანდაბამდე გზა გქონიათ!“ — მიახალა მხატ-

ვარს და ლამის სირბილით დატოვა მხატვრის სახელოსნო.

სორინს სხვა არაფერი დარჩენდა, გარდა იმისა, რომ დახმარება კონსტანტინე ზელენსკისთვის ეთხოვა, მელიტას პირველი ქმრისთვის, რომელთანაც მეგობრობდა. შედეგად მელიტა სულგრძელად დასთანხმდა და პორტრეტიც დაიხატა.

რაც შეეხება მერი შერვაშიძეს:

**მარია პროკოფის ასული ერისთავი შერვაშიძე-ჩაჩბა (1890-1986),** იგივე მერი, იყო ქალი, რომლის სილამაზე იქცა XX საუკუნის ლეგენდად. ის გახლდათ მუზა სორინისა (და არამხოლოდ სორინის). მერის მამა, თავადი პროკოფი შერვაშიძე, რუსეთის იმპერიის გენერალ-მაიორი და სახელმწიფო დუმის წევრი გახლდათ. ამიტომ მერი და მისი და თამარი, რომლებიც საქართველოში, კერძოდ, ბათუმში დაიბადნენ, ჯერ კიდევ პატარები იყვნენ, მათი ოჯახი პეტერბურგში რომ გადასახლდა. თავისი გარეგნობისა და არისტოკრატული მანერების წყალობით, მერი იმპერატორის დედის, დედოფალ ალექსანდრა თევდორეს ასულის სეფექალი გახდა. სასახლეში ქალიშვილით აღფრთოვანებული იყვნენ. ამას ადასტურებს ეს ისტორია:

თავადის ასული, რომელიც ყველგან და ყოველთვის აგვიანებდა, ერთხელ ცნობილი ქალბატონის პანაშვიდზეც დაგვიანებით მივიდა და თავს უფლება მისცა, დარბაზში იმპერატორის შემდეგ შესულიყო, რაც პროტოკოლის უხეში დარღვევა იყო. ამისათვის ის დაუყოვნებლივ უნდა დასჯილიყო, მაგრამ იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ, შეხედა რა გოგონას, მხოლოდ ესლა თქვა: „დიდი ცოდვაა, თავადის ასულო, ასეთი ლამაზი რომ ხართ“.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ მერი იძულებული გახდა, ოჯახთან ერთად თბილისში ჩამოსულიყო. სწორედ თბილისში შექმნა საველი სორინმა მისი პორტრეტი.

მერი შერვაშიძემ ქუთაისში მთავარანგელოზის ეკლესიაში ჯვარი დაიწერა გიგუშა ერისთავ-



მერი შერვაშიძე

ზე. გიგუშა ერისთავი გახლდათ იმპერატორის სამხედრო ქვეითი ჯარის ფლიგერ-ადიუტანტი. ისეთი ლამაზი წყვილი იყო, რომ, როცა მიღიოდნენ, ხალხი შუაზე იყოფოდა და გზას უთმობდნენ.

მერი შერვაშიძე და გიგუშა ერისთავი ჯვრისანერის შემდეგ საქართველოში დიდხანს აღარ დარჩენილან. მერი შერვაშიძე ქმარს საზღვარგარეთ თავიდანვე იმიტომ არ გაჰყვა, რომ მშობლებისა და ოჯახის წევრების დატოვება უჭირდა. მათი მიტოვება არ უნდოდა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა, ნასულიყო. გიგუშა 1918 წლის მიწურულს საქართველოდან წავიდა. მაგრამ როდესაც სიტუაცია დაიძაბა, მერიც თავის თავათან ერთად წავიდა მეუღლესთან, რომელიც წინასწარ მოლაპარაკების თანახმად, სტამ-

ბოლში ელოდებოდა. ისინი 1 ნელი სტამბოლში დარჩნენ, ხოლო შემდეგ პარიზში გაემგზავრნენ. სტამბოლში ყოფნის დროს, საოცარი რამ მოხდა. იქ პირველად ჩატარდა ევროპის სილამაზის კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მერი შერვაშიძემაც მიიღო და პირველი ადგილი დაიკავა. დღევანდელი გაგებით, ის გახდა „მის ევროპა“. სამწუხაროდ, გიგუშა ერისთავი 1928 წელს, სრულიად ახალგაზრდა, გარდაიცვალა. მერი აღარ გათხოვილა და სიცოცხლის ბოლომდე გიგუშა ერისთავის ქვრივად დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის ბოლომდე ჰყავდა თაყვანის მცემლები.

პარიზში მასა და მის ოჯახს უჭირდათ, ამიტომ გადაწყვიტეს, გაეხსნათ პატარა სამკერვალო სა-



გელიტა ჩოლობავილი



ელისო დაჭიანი

ლონი. ერთხელ, როდესაც მერი თავის სალონში ფანჯარასთან იჯდა და კერავდა, კოკო შანელმა გამოიარა და შეამჩნია. კოკო შანელმა მერის მოდელობა შესთავაზა, რაზეც ის დათანხმდა. მერი დიდი ხნის მანძილზე კოკო შანელის სამოდელო სახლის სახე იყო.

როგორც ცნობილია, მერი იყო მაღალი, არცთუ გამხდარი, შავი, მაყვლისფერი თვალებითა და წაბლისფერი თმებით. ამბობენ რომ არასოდეს იცინოდა, მხოლოდ იღიმებოდა. მას ჰყავდა მეგობრების ვიწრო წრე, მაგრამ ვინც მას იცნობდა, აფასებდა მისი თავმდაბლობისათვის, უბრალოებისა და დიდსულოვნებისათვის.

სორინის შექმნილმა პორტრეტმა, ლეგენდის მიხედვით, მრავალი წლის შემდეგ ბინა დაიდო მონაკოს პრინცესის — გრეის კელის

საძინებელში. გაღვიძებისას ის ჯერ პორტრეტს უყურებდა და მხოლოდ შემდეგ იხედებოდა სარკეში. ამგვარად არკვევდა, იმ დღეს როგორ გამოიყურებოდაო. მე-20 საუკუნის 20-იან წლებში თბილისის ლამაზმანებს შორის გამოირჩეოდა ჩვიდმეტი წლის ელისო დადიანი, ცნობილი რუსი მხატვრის, საველი სორინის კიდევ ერთი მუზა. მისი მამა — იოსებ დადიანი ინჟინერი იყო, დედა — თამარ თარხნიშვილი (თარხანმოურავი) მეტად განათლებული, კეთილშობილი და პატივსაცემი მანდილოსანი. დადიანების ოჯახს ექვსი მშვენიერი ასული ჰყავ-

და, რომელთა სილამაზესა და განსწავლულობაზე ლეგენდებს ყვებოდნენ. ელისო და მისი დეპი: ელო, ირინე, სალომე, ეკა და რუსუდანი ამშვენებდნენ მაღალი საზოგადოების სალონებსა და თავკურილობებს. **ელისო დადიანის თვალს ვერ სცყვეტდნენ აღზრთოვანებული უცხოელები.** მისმა სილამაზე ათებავინა ერთ ფრანგ მხატვარს: **ბედნიერია ის ერი, რომელსაც ასეთი ძალები ჰყავს.**

უნატიფიციუსი, ღვთაებრივი, ციური — ასეთი ეპითეტებით ამკობდნენ მოხიბლული უცხოელები დადიანის ქალს. ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ დადიანები იძულებული შეიქნენ, ემიგრაციაში წასულიყვნენ. ელისო დადიანი 1944 წელს საფრანგეთში ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

**მომზადა დეა სვანიძეა**

**ელისო დადიანის თვალს ვერ სცყვეტდნენ  
აღზრთოვანებული უცხოელები. მისმა სილამაზე ათებავინა ერთ ფრანგ მხატვარს: ბედნიერია ის ერი, რომელსაც ასეთი ძალები ჰყავს.**

ჯუანშერ სონდულაშვილი

# მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის

ვერის ხეობაში ხის დამუშავება მაღალ დონეზე მდგარა, რასაც ხელს უწყობდა ხეტყის გულუხვობა. ჯუანშერ სონდულაშვილის მიერ შეგროვებული მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიის შესახებ მოგვითხრობს.

ირკვევა, რომ ვერის ხეობის მცხოვრები მისდევდნენ სხვადასხვა სამეურნეო და საოჯახო იარაღ-ჭურჭლის კეთებას, კერძოდ: ურმების, სახველების, ფორჩხების, ფარცხების, კევრების, ნიჩქების, არნადების, ფინლების, ამბრების, კიდობნების, ვარცლების, ხონჩების, თაბახების, ჯამების, კოვზების, კალათების, გოდრების და ასე შემდეგ. აქვე უნდა ითქვას, რომ მოპოვებული მასალა ყურადღებას იქცევს და გვიჩვენებს, თუ საკვლევ რაიონში რა დონეზე იყო ხალხური ხელოსნობის ეს დარგი და რა როლს ასრულებდა იგი გლეხის ეკონომიკაში.

ეთნოგრაფიული მასალები ხალხური ხელოსნობის შესახებ მოპოვებულ იქნა შემდეგ სოფლებში: ორბეთში, პანტიანში, ზირბითში, მავმთაში, ვანათში, ღვევში, დრეში, ლასტისციხეში, ზემო წყლულეთში, ქვემო წყლულეთში, თხინვალასა და ორბეთში.

ველზე შეკრებილი მასალები ეხება სასოფლო-სამეურნეო იარაღების, საოჯახო დგამ-ჭურჭლის, მესაქონლეობასთან დაკავშირებულ ჭურჭლის გათლა-დამზადების საკითხებს, ამ დარგთან დაკავშირებულ შრომით ჩვევებს, ხის დასამუშავებელ იარაღებს, აგრეთვე, ხალხურ ტერმინოლოგიას (ხურობასთან დაკავშირებით), ხით ხურობის ცენტრებს, ხის ნამზადის ყიდვა-გაყიდვის საკითხს და სხვა.

ვერის ხეობა ძველად არცთუ ღარიბი ყოფილა მცენარეული საფარით, რომელიც შედგებოდა, როგორც ფოთლოვანი, ისე ნინვიანი კორომებისაგან, სადაც გაბატონებული იყო მუხის, ფიჭვისა და თელის ხის ჯიშები; მაგრამ შემდეგში XIX საუკუნის 90-იან წლებში ტყე შეთხელდა, რადგან მოსახ-

ლეობამ იგი „მინდვრად“ აქცია, „ახო გამოიღეს“, როგორც მთხობლები გადმოგვცემენ და ტოპონიმიკური მასალითაც მტკიცდება ბევრი დასახლებული პუნქტი დღეისათვის „გატეხილ ტყის“ ფართობზე ცხოვრობს, ანდა მის მახლობლად.

მაგ. ს. ზირბითი თავდაპირველად პატარა სოფელი ყოფილა „ამ ადგილას ტყები იყო — გადმოგვცემს ე. ჩოხელი — მინდვრები კი ცოტა, დავიწყეთ ტყის გატეხვა და „გავამინდვრეთ ადგილი“, დღეს დიდი სოფელია და ტყე მოშორებით აქვთ.

მაგ. ღვევში მცხოვრები მთხ. ვ. აფციაური გადმოგვცემს, რომ „დრეში ისეთი ტყები იყო ფიჭვისა, რომ დრე (სოფელი) ფიჭვში აღარ ჩანდა“, შემდეგში მოსახლეობას „ტყე ამოუღიათ“, სახნავად გადაუქცევიათ, „მამულად“ გაუკეთებიათ. „იმდენი ხე-ტყე გვქონდა დაგროვილი, რომ ვეღარ აუდიოდით. ტყეც დიდი იყო დრეში და სახლები სულ ფიჭვებში იყო დაკეთებული“.

მართლაც ტყე რომ უკაფიათ და მცენარეული საფარი შემცირე-

ბულა, ეს ჩანს ტოპონიმიკური მასალებიდანაც. სახნავები, საქერები, სათიბები ტყეს სახელებს ატარებს: „პანტიანი“, „ფიჭვიანი“, „კაკლიანი“ (სათიბები), „ზეით ფიჭვიანი“ და „ქვეით ფიჭვიანი“, სახნავები (სოფ. დრე); „შვინდიანი“ (სახნავი) (ს. პანტიანი), „მუხა წყარო“, „თელიანი“, „ტყის მიწები“ (სახნავები), „თელიანი“ (სათიბები) (სოფ. თხინვალი) და ა.შ. შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებით დგინდება, რომ საკვლევ რაიონში ხის მოხელეობას ეწეოდნენ გარკვეული პირები. ასეთებია: გუთნის მთლელები, აკვნის მთლელები, საოჯახო დგამ-ჭურჭლის მკეთებლები, მეშეშები და სხვ.

როგორც ირკვევა, გლეხიკაცი თვითონვე იყო ყველაფრის მკეთებელი, ციცვე-კოვზის გამომთლელი და საოჯახო „სამფეხა სკამის“ გამკეთებელი, მაგრამ აკვანს, გუთანს (რვალს) ყველა ვერ აკეთებდა, მას არც დედაბოძის მოჭრელება-მოქარგვა შეეძლო და არც ჭურჭლის „მოხონვა“.

გუთანს სთლიდა „ხელოსანი“, „მეაკვნეობა“ ფეხმოკიდებული ჩანს, მაგრამ მისი დამზადება-გამოჩარება ძნელია და მას „აკვნის მკეთებელი“ ხელოსანი აკეთებდა. ასეთი იყო და არის ვ. ჩოხელი (ს. ზირბითი). გუთნის მთლელები იყვნენ მამუკა და გიორგი მელიქიშვილები (ს. პანტიანი) და სხვ.

ადგილობრივი ხის მოხელეები, როდესაც ისინი თავის საქმეს შეუდგებიან, უპირველესად, ყურადღებას აქცევდნენ ხის შერჩევას, რადგან „აქედან გამოჩნდება, როგორ წავიდოდა ხელი“. მაგ. კოდისათვის უნდა შეერჩიათ „თეთრი ხე“, ასეთია თელა ან



„ცაცხვი, რადგან ეს ხეები „უგემო ხეებია“, ნალებს გემოს არ აძლევდა (არჩ. მაისურაძე 55 წ. ს. შავმთა) გუთნის მხრისათვის მაგარ, ძარღვიან ხის ჯიშს შეარჩევენ გუნებით გამოყვანილს. ასეთია თელა, იფანი. „გამიკეთებია ფილები — სანაყები. ფილი ცაცხვისაგან კეთდება, სანაყი თელა ან რცხილა, იმიტომ რომ ცაცხვს არა აქვს გემო. მაგრამ ვერხვისაგან არ კეთდება სანაყი, რადგან გემოიანია, რასაც ჩააყენებ ყველას გემოს მისცემს, ვერხვი ჭურჭლად არ გამოდგება“ (მთხრ. გ. მელიქიშვილი ს. პანტიანი).

„აკენისათვის კარგია ცაცხვი, სუფთა და მსუბუქია“ (ვ. ჩოხელი ს. ზირბითი). ხალხი არა მარტო ხის ანატომიას აქცევს ყურადღებას, არამედ ხის თვისებებსაც (სისუფთავე, სიმსუბუქე, სიფიცხე, წყლიანობა, გემონ და სხვ.).

ვერის ხეობის მოსახლეობაშიც  
დადასტურდა ხის ჭრის აკრძალ-  
ვა ახალი მთვარის პერიოდში,  
რადგან ხე „დაიჭიავებს“, ფუტუ-  
რო იქნება, ხმარებაში „დაინინ-  
კლება-დაიჭვრიტება“, ახალ  
მთვარეზე ჰის „სრუებს უკე-  
თებს ხეს“ და ამიტომ გამო-  
რიცხულია ხის მოფრა ამ  
დროს. ხე იჭრება მაშინ, რო-  
ცა მთვარე „დაძველდება“.  
ამას შემდეგნაირად აკვირდებიან:  
„ახალი მთვარე“ საღამოს ამოდ-  
ის, მერე ივლისიდან 16 დღის შემ-  
დეგ მოძველდება, ნახევარი გახ-  
დება, შემდეგ მთვარე „ითენებს“  
ე.ი. გათენებისას მაინც ჩანს ზე-  
ცაში. თუ გვინდოდა გაგვეგო, რა-  
მდენი დღისა იყო მთვარე, ავიღ-  
ებდით თხელ მიტკლის ნაჭერს და  
გავხედავდით ამით მთვარეს, რამდენი დღისაც იყო მთვარე იმ-  
დენი „ფრჩხილი“ ექნებოდა. ფრჩ-

ხილებიც იმავე მოყვანილობისაა, როგორიც მთვარეა. როდესაც ფრჩხილები აღარ ითვლება მთვარე მაშინ „ძველდება“.

ა დგილობრივი ხელოსნები ამ-  
ზადებდნენ „ამოთხრილ ვარც-  
ლებს“. მოსახლეობა ასხვავებს  
„ამოთხრილ“ და „ამოხონილ“  
ჭურჭელს ერთმანეთისაგან. ჭურ-  
ჭლის „ამოთხრა“ შემდეგნაირად  
ხდებოდა. აიღებდნენ სავარცლე  
ხეს და ამონვავდნენ „სავარცლე  
გულს“ ნაკვერჩხლით და გაძურე-  
ბული რკინით, მერე კი სატეხით  
ამოასწორებდნენ, ამ სახით დამ-  
ზადებულ ჭურჭელს „ამოთხრ-  
ილს“ უძახდნენ, ხოლო რაც შეე-  
ხება „ამოხონილ“ ჭურჭელს, ეს  
შემოდიოდა ვერის ხეობაში სხვა-  
დასხვა მხრიდან, კერძოდ „ნახვე-  
ნი ჭურჭელი ადგილზე არ ვიცო-  
დით, ის ქართლიდან მოდიოდა,  
კასპის მხრიდან“ (მთხრ. გ. აფცი-  
აური, 71 ნ. ს. ღვევი), კერძოდ კავ-  
თისხევიდან, საკურთხიდან.

„კავთურას ხეობიდან გადმოჰქ-  
ქონდათ ხის ჯამები, იმათი საქმე  
იყო ეს ხელობა“ (ს. ღვევი, აფცი-  
აური თედო ივანეს ძე, 61 წ.), აგ-  
რეთვე, დ. თონეთიდან შემოდიო-  
და ნახვენი და გათლილი ჭურჭე-  
ლი. ვერის ხეობას სასოფლო-სა-  
მეურნეო იარაღით (კევრით და  
ა.შ.) ამარაგებდნენ, როგორც  
ქართლის ხით ხუროობის ცენტ-  
რები, ისე წალკელი „ბერძნები“.  
საინტერესოა ხალხის დაკვირვე-  
ბა სამეურნეო იარაღ კევრზე, რო-  
დესაც ისინი „ბერძნულ“, ანუ  
„კრუულ“ კევრს „ქართულს“ ადა-  
რებენ და რომელს აძლევენ უპი-  
რატესობას.

„აღებულ მოსავალს ვლენავ-  
დით კევრით და ვიცოდით ფეხით  
გალენვაც. პური და ხორბალი  
ბუდიდან არ გადმოდის, მაგრა

ზის ბუდეში და ფეხით მაგისი გა-  
ლენვა არ შეიძლება, ქერი ფეხით  
ილენება, რადგან მაგას ბუდე არა  
აქვს, თავთავში ისევეა. გვერდა  
კევრები „ქართული“ და „ბერძნუ-  
ლი“. ბერძნულ კევრს გრძელი კო-  
ხი აქვს და იტყვიან „ბერძნული  
კევრი გრძელ-კოხიანი დატალ-  
ლულიაო“. ქართულ კევრს კი  
მრგვალი კოხი აქვს, ბურაოთი  
მოხვრეტილი. ქართულ კევრს  
რომ მრგვალი კოხი აქვს კარგია,  
რადგან მარცვალს კარგად იღ-  
ებს. „ბერძნული“ კევრის ტალები  
თავთავს კარგად ატარებს, „ქარ-  
თული“ კი თავთავს კარგად „ჯე-  
ჯღამდა“ — ღეწავდა. ქართულ  
კევრში თავთავი ტრიალებს, ბერ-  
ძნული კი უშვებს. მრგვალი კოხი  
წმინდათ იღებს მარცვალს, ბზეს  
უფრო მსხვილად სტოვებს, ბერ-  
ძნული კი ბზეს აწმინდავებს, მარ-  
ცვალს კი თავში იყოლიებდა.

„როცა ბერძნული კევრი გვება კა-  
ლოში, მაშინ ლენვის დროს ზემო-  
დან პური „მობურდოვდებოდა“  
და ორთითებით უქცევდით“  
(მთხო. მელიქიშვილი გაბრიელი  
გიორგის ძეს. პანტიანი, 68 წ.). მე-  
ორე მთხოვნელიც ამასვე შენიშ-  
ნავს. „კრუული“ კევრი ბრტყელი  
ფიცარი იყო და სწორი ბრტყელი  
კოხებით. „ქართული კევრი“ თა-  
ვიანი იყო და კოხები მრგვალი  
ჰქონდა. „კრუული“ კევრი ნამჯას  
ხვეტავდა, ერთი კაცი იმას უნდე-  
ბოდა, ქართული კევრი ნამჯას არ  
იხვეტავს და მიდიოდა და მიდიო-  
და“ (მ. შიოშვილი, ს. ჯიხერები).

ასეთი უპირატესობის გამო ფასიც ქართულ კევრს მეტი ჰქონდა, ვიდრე „ბერძნულს“, „კრუულს“.

ქართული კევრი 4 წელს სძლებდა და გამართული დატალული 3-4 ფუთი პური ღირდა, „ბერძნული“ — 2,5 ფუთი. გარდა ამისა, ბერძნებს ფილები შემოჰქონდათ და პანტაზე ჰყიდნენ (მთხო. მ. ბექაური ს. დრუ).

გლეხისაში თვითონვები იყო ყველაფრის  
მათებალი, სისხლ-კოზის გამომთლალი  
და საოჯახო „საეფეს სკამის“ გამათებალი,  
მაგრამ აკვაც გუთაც (ავალს) ყველა ვერ  
აკათებდა, მას არც დაღამძის მოჭრება-  
მოქარგვა ჰერცლი და ურს ჭურჭლის «ორხონება».

აკვის დაზუდება

სოფ. ზირბითში, დამოწმებული იქნა, აკვნის დამზადების ხალხური წესი „მეაკვნე“ ვანო ჩოხელთან. იგი ხის მოხელეობას ეწევა

40 წელზე მეტია, აგრეთვე, აკეთებს ხის თვლებს, სანაყებს და ფილებს, მაგრამ უფრო აკვნის მკეთებლობაშია დახელოვნებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მის მიერ დამზადებულ აკვანზე დიდი მოთხოვნილება ყოფილა ძველად და ხალხში „სვინდის პატიოსნისა და კარგი ხელის ოსტატის“ სახელი აქვს მოხვეჭილი.

სოფ. შავთაში დავამოწმეთ მის მიერ დამზადებული აკვანი, „ზირბითელი ვანო ბედნიერ ხელზე აკეთებს აკვანს და ჩვენც ვეტანებითო“, — შენიშნავენ მთხოვბლები (მარო პავლეს ასული ბექაური, შავმთა). მეაკვნე ვ. ჩოხელს სადურგლო ოთახი მოთავსებული აქვს საცხოვრებელი სახლის მარჯვენა მხარეს. ამ ოთახში გამართულია მოხელის დაზგა, აქვეა ხის დასამუშავებელი ყოველნაირი ხელსაწყო-იარაღები და ფეხის ჩარხი.

როგორც შეკრებილი მასალები-დან ირკვევა, აკვნის დამზადება შემდეგი თანამიმდევრობით წარმოვიდგება:

1. სააკვნე ხის შერჩევა (გათლა, გაშრობა).

2. კამალის ბოძების დამზადება (გათლა-გაჩარხვა).

3. კამალის რკალის გამოყვანა.

4. აკვნის საგოგავების დამზადება.

5. აკვნის შეკვრა.

აკვნისათვის მოხელე არჩევს ცაცხვის ხეს, რადგან ცაცხვი სუფთაა და მსუბუქი. თუ ცაცხვი არ არის, თხილს ხმარობენ. მოჭრიან სააკვნე ხეს და წამოიღებენ სახლში, გათლიან ნაჯახით და ღობეზე მიაყუდებენ გასაშრობად. დიდხანს უნდა გაშრობა, თორემ სუფთა არ გამოვა და არ „დაწმინდავდება“. ორი კვირა მაინც უნდა იყოს გასაშრობად. „ფიცრებად“ თლიან, რომ უფრო ადვილად გაშრეს, ჯერ ნაჯახით ითლება, მერე ქუბანქით სწორდება. პირველად კამალის რკალის ოთხ ბოძს აკეთებენ, ბოძები ითლება და გამოიჩარჩება. გაჩარხულ კამალის ბოძებს თავსა და ბოლოში ჩახერხავენ, აქ კამალის რკალი ჯდება, ქვემოდან კი — სა-



აპვანი

**აქვისათვის მოხელე აჩვევს სახსოვს ხეს, რადგან სახსოვ საფთაა და ესეგუები. თუ სახსოვ არ აჩვის, თხილს ხმარობენ. მოჭრიან სააკვნე ხეს და ცამოიღებენ სახლში, გათლიან ნაჯახით და დოგაზე მიაყუდებენ გასაშრობად. დიდხანს უცა გამარბა, თორემ საფთა არ გამოვა და არ არ დაწმინდავდება. სახსოვ არ აჩვის ხესის დადგებას“ არ არა და რამდენსაც ფეხის სიგანე გაიტანს იქ დაარჭობენ შემდგომ მანას და ასე არჭობენ საჭირო რაოდენობის მანებს. არჩევენ რბილ ადგილს მანის ჩასარჭობად, თუ რბილი ადგილი არ არის მაშინ ჯოხს წააწვეტებენ, იმით ჩათხრიან „სამანე“ ადგილს და ჩასვამენ „მანს“. მანების განყობა ითხევთად არ შეიძლება, გოდრის მანები „თვალის აზრით“ გაკეთდება. თუ გოდრის სახე, „ფორმა“ დაირღვა, მაშინ მანებს მოუცვლიან და თვალის მიხედვით გააწყობენ. მანების ჩარჭობის შემდეგ არჩევენ მანის გადასაქნელ წნელებს, ესენი**

## გოდრების დაწვენა

**გოდრისათვის თხილის ცეცხლის იყენებდნენ. ამზადებდნენ ნინასთარ, ეს ცეცხლი ნორჩი ტოტები უნდა ყოფილიყო. არჩევდნენ „თავისით გამოტანილ ტოტებს“, ეს ტოტები კარგია, გადაჭრილი ტოტები კი უფრო ფოთქვია. ტოტებს ჭრიდნენ წალდით ან დანით. მოჭრილ ტოტებს ერთ ადგილზე აქუჩებდნენ. საცელად მოიჭრებოდა ნეკა ან ცერის სისხლ ტოტები. რამდენიმე დღეს დატოვებდნენ, რომ კარგად გამო-**



## ଗୋଟିଏକାରୀ ଫାର୍ମିଟ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ଉଲ୍ଲଙ୍ଘନ

უფრო რბილი და თანაბარი უნდა  
იყვნენ (სიგრძე 1 მეტრი ან 1,5 მ).  
წყვილი წნელით დაიწყებენ მოქ-  
სოვას, წელის მოქსოვის შემდეგ  
„თავის „მანებს გადაუყრიან“,  
„თავის მანების მოქსოვა ბოლოს  
იციან, რაც მინაშია მანები იმათ  
მოჭრიან. დღეში ერთ გოდორს  
მოქსოვდა კაცი, თუ შიპის გადაყ-  
რა იცოდა. იცოდენ გოდორის ამო-  
ლესვა და შიგ პურს ინახავდნენ.  
ნეხვს, ბზეში და ნაცარში ურევდ-  
ნენ და ისე ლესავენ, ნაცრიანი მა-  
გარი გამოდის. მერე გახმება და  
შელესილი კედელი ექნება გო-  
დორს. ასეთ გოდორში ჩაყრიან  
პურს და ინახავენ სხვენზე. ასეთი  
გოდორი სამ ფუთ კარტოფილზე  
იყიდებოდა. ვიცოდით პურის გო-  
დორი (გალესილი), ბზის გოდორი,  
კარტოფილის გოდორი და ერის  
გოდორი“.

## მეცნიერება

ეს დარგიც ფეხმოკიდებული ჩანს, მას გარკვეული პირები ეწევიან, ისინი, ვინც „ხე იცის და ხარუმიანები“ არიან. ტყეში შესვლის წინ იცვამდნენ თბილად, აქლემის ბეწვის ყაბალას მოიხვევდნენ, ფეხებზე ნარუმბალ ქალამნებს იცვამდნენ, რომელიც ხარის ტყავისაგან იყო დამზადებული.

საშეშე ხის შერჩევაც სცოდნი-  
ათ, მართალია, ყველა ხე საწვა-  
ვად გამოდგება, მაგრამ საშეშე ხე  
„სხვა გუნებისა უნდა იყოს, კაი  
ცხარე ცეცხლი და სითბო უნდა  
ჰქონდეს. შეშისთვის კარგი იყო  
იფანი, თეთრი რცხილა, შინდი,

შინდლარზა, შინდლარზა შეშისთ-  
ვის საუცხოოა, ის შინდს არ ისხ-  
ამს, კარგი ხეა და კარგი ცეცხლ-  
იც აქვს. მას უმთავრესად მეფურ-  
ნეები ეტანებოდნენ. ხალხი კი  
თეთრ რცხილას ეტანება. მას მე-  
ტი ფასიც აქვს და ბევრი მუშტა-  
რიც ჰყავს. ქართული ცულით  
ვჭრიდით ხეს. ორი კაცი ერთ ურ-  
ემ შეშას გავამზადებდით. ურემ-  
ზე დაიდებოდა ერთი საუენი შეშა. საუენი სამი არშინი სიგრძე და სა-  
მიც სიმაღლეა. თბილისში ჩამოგ-  
ვეონდა შეშა, იყო შეშის მეიდანი  
მუხრანის ხიდთან და იქ მიგვეონ-  
და, იქ ვყიდდით. როგორც ირკვე-  
ვა ორბეთელ და თხინვალელ „მე-  
შეშეებს გასაჩერებელი ადგილე-  
ბიც ჰქონიათ საბურთალოზე. შე-  
შის გამყიდველებს ამორჩეული  
გვეონდა დუქანი. იქ ჩაგვეონდა  
გაზაფხულზე შეშა და ზამთარში  
ვყიდდით. თვითონ მედუქნე იყო  
ყარაული შეშისა და ჩვენ ქირას  
უხრიდით“.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი მასალებიდან ირკვევა. რომ გლეხი

## ნახშირის დამზადება

მენახშირეობა ვერის ხეობის სოფლის მცხოვრებთათვის ერთ-ერთი საშემოსავლო დარგთაგანი იყო მეოცე საუკუნის ოცი ოცდა-ათიან წლებამდის, ის დაკავშირებული იყო თბილისის მზარდ მოთხოვნილებებთან. მენახშირეობას მისდევდნენ შემდეგი სოფლები: ახალდაბა, ნახშირგორა, წყნეთი, ბაგები, წვერი, კვესეთი, დრე, ვანათი, ღვევი, წყლულეთი, ორბეთი და, ხეობის გარშემო მდებარე სოფლები.

მენახშირები სანახშირედ და-  
სამუშავებელ ტყეს მემამულები-  
საგან იღებდნენ იჯარით, რომლ-  
ებსაც წინასწარ უთანხმდებოდ-  
ნენ, სდებდნენ ხელწერილს თუ  
რამდენ ხანს იმუშავებდნენ და  
რამდენი მუშით.

პირველად იჯარით აღებულ  
ტყეში აწყობონის და აშენებონის

მართალია, ყველა ხა საწვავად გამოდგება, მაგრამ საჯეო ხა «სხვა გუნებისა უდეა იყოს, კაი ცხარე ცეცხლი და სითბო უდეა ჰქონდეს. ჟაჟისთვის კარგი იყო იფარ იფარი, თითრი ასხილა, შიდი, შიდელარე, შიდელარე ჟაჟისთვის საუცხოვა, ის შიდს არ ისსამს, კარგი ხა და კარგი ცეცხლის აქვს. ეს უათავრესად ეფურნები ეტანებოდენ».

საცხოვრებელ ქოხს და სანახშირე ორმოს, რომელსაც ურჩევდნენ გვერდა ადგილს, რადგან უკანა კედელი ფერდას ჰქონიყო მიყუდებული, ხოლო წინ, კალო გაკეთებულიყო. ორმო კეთდებოდა გრძელი და „გულვიწრო“, სადაც შეშა ორპირად ეწყობოდა. სანახშირე შეშად კარგი იყო იფანი და რცხილა. თითო ორმოზე ერთიანდებოდა ე.ი. ამხანაგდებოდა 4 კაცი, რომელებიც ამზადებდნენ სანახშირე შეშას და წვავდნენ ერთად. ოთხ კაცზე ნახშირი ნაწილდებოდა ორმობლივ. თითო კაცს, თითო ორმო უნდა რგებიყო. მენახშირებს ჰქონდათ საწყაო გოდორი, რითაც ირწყავდნენ ნახშირს. მხთრობელთა გადმოცემით გაამხანა გებულ მენახშირეები-სათვის „შეშის მოჭრა, დამზადება, ზარალი და მოგება ერთი იყო“. ახალ აშენებულ ორმოს გამოწვას უნდებოდა ერთი დღე-ლამე, პირველად აწყობდნენ მსხვილ შეშას, მერე ცოტას დააყრიდნენ წვის შესანელებლად... ცოტის ნახშირს ეწოდებოდა „შეშის“ ნახშირი. ორმომდე შეშას, ურმებითა და ნა-ლოებით ეზიდებოდნენ, სადაც ხდებოდა ზომაზე დაჭრა და და-ჩეხვა. **ნახშირის დაწვას ატყობინების ზოთელი ბოლით, რასაც „მყრალი“ იწოდებოდა.** როცა „მყრალი“ ბოლი მთლიანად მოისპობოდა ორ კეტს დააყენებდნენ, ზემოდანაც „სამკეტროს“ დაუდებდნენ, და ზედ აწყობდნენ ნედლ შეშას, რომელიც „ფიცხდებოდა“, ნახშირის გამოლების შემდეგ შუა კეტს გამოაცლიდნენ, მერე გვერდით კეტებს დიდი კავით ასწევდნენ და კეტებზე დაწყობილი გაფიცხებული შეშა ცვიოდა ორმოში და მეორედ იწყებდა დაწვას ნახშირი. დამზვარ ნახშირს იღებდნენ ხის ფიცრით, რომლითაც არნადზე გადმოიტანდნენ და ისე გამოჰქონდათ. ნახშირს აწყობდნენ „ჭინჭრის მეშოკებში“, თითო „მეშოკებში“ ჩადიოდა 16 კილო. ერთი ორმოდან 20-25 „მეშოკი“ ნახშირი ამოდიოდა. ცხრას ათიან წლებისათვის თითო მეშოკი 40-50 კაპიკად იყიდებოდა. ერთი ურემი ნახშირი



**მენახშირები. ძველი თბილისისთვის გათბობის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება სცორედ ხის ნახშირი იყო**

იღებდა 10-11-12 მანეთს, ხოლო თვეში თითოეულ მენახშირე მუშას, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ ამხანაგებად, უნევდა 60-80 მანეთი.

**ვერის ხეობის სოფლები-დან ნახშირის თბილისი ეზიდებოდენ ურმებით. ხშირი ვერის ხეობის ზემოთ მდებარე სოფლები ნახშირის საყიდლად დადიოდენ ცხე-თელი მენახშირები, რომელიც ნინასწარ გარიგებ-ული იყვნენ ნახშირის და მათგან ცი-ლების შემდეგ სახშირები.** წყნეთელ მენახშირებს 10-15 სახედარი და ჯორი ჰყავდათ, „იმათ მეშოკებში 10 კილო ნახშირი ჩადიოდა, რადგან აფუმფლურად ყრიდნენ“ გადმოვცემენ მთხრობელები.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მეცხრამეტე საუკუნეში ქალაქ თბილისის სწრაფმა ზრდამ და სავაჭრო აღმავლობამ გამოიწვია მის ირგვლივ მდებარე სოფლებში, მეცხრეობის წინ წამოწევა. გლეხი ამ დროს არა მარტო მეურნეობის გაფართოებას იწყებს, არამედ თვითონაც ებმება თავისი ნანარმი ნედლეულით საბაზრო ურთიერთობაში. ამიტომაც უფრო ფართოვდება მიწის მოთხოვნილება, როგორც სახნავი მამულისა, ისე საძოვრებისა. ამ მიზნით ორკეცდება ტყეების ჩეხვა,

ახოს აღების მიზნით. ტყის მფლობელი მემამულეც დაინტერესებულია თავისი სამფლობელოთი, რათა რაც შეიძლება მეტი სამოქმედო „მუშა“ მამული ჰქონდეს, რომ გაზარდოს თავისი პირადი შემოსავალი. ამ მიზნით იჯარით აძლევს ტყეებს მენახშირებსა და შეშის მჭრელებს, რომლებსაც აჩენინებს საუკუნოვან უმოქმედო ტყეებს. ამ საქმიანობაში დასაქმებული იყო თბილისის ირგვლივ მდებარე ყველა სოფელი. ამ საქმიანობაში არა მარტო ეს სოფლები იყვნენ ჩაბმული, არამედ დასავლეთ საქართველო-დან გადმოსული მუშა ხელიც, რომლებიც იჯარით იღებდნენ არა მარტო მამულებს, არამედ ტყეებსაც და მენახშირეობას მისდევდნენ. ამიტომაც მოხდა, რომ თბილისის ირგვლივ მდებარე ტყიანი ადგილები რაღაც კატასტროფული სისწრაფით გაიკაფა და ტყის ნაცვლად სახნავი და საძოვარი ადგილები გაჩნდა.

თუ რა დიდი იყო ლტოლვა სახნავ-სათიბი მიწებისადმი, ამას ვერის ხეობაში დამონმებული მასალებიც მოწმობს. „პაპაჩემს ჰქონდა დრეში მინა, ნადელი, რომელიც ტყით ყოფილა დაფარული და ნახშირის დაწვა დაუწყია, ნახშირს ჩეხენ ვწვავდით იმ მიზნით, რომ მინა განთავისუფლებულიყო ტყისაგან (სოფ. ახალი ზირბითი,



ქავთარაძე სტეფანე მარტიას ძე 67 წ.). როგორც აღვნიშნეთ, ტყი-საგან განთავისუფლებულ მიწას ახო ეწოდებოდა. ვერის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობის მი-სედვით, თუ ახო მაღალ მთიან ად-გილზე იყო, იქ ქერი ითესებოდა და თუ დაბლობში იყო ახო, მაშინ პურს თესავდნენ. ალსანიშნავია ის გარემოება, რომ ვერის ხეობის იმ ადგილებში, სადაც ახო აღე-ბული ყველგან პანტის უზარმა-ზარ ძირებს ვხვდებით, მთხრო-ბელთა გადმოცემით „მამულის პატრონი ყოველთვის ცდილობ-და, პანტა არ მოეჭრა. პანტა ჩვე-ნი დოვლათი იყო. ვაკეთებდით ჩირს, ვყიდიდით, ვინახავდით, 1954-55 წწ. კილოს 5 მანეთად ვყი-დიდით. ხანდისხან ვხარმავდით, ტკბილი პანტის წვენი კარგია. განსაკუთრებით ფალარათისათ-ვის. ჩირს ვინახავდით, ფურნები ვაშრობდით. ბოჭქაში ჩაყრი, პი-რამდის დასხამ წყალს, ინახება, როგორც ახალი ხილი, წვენი კარ-გია ბურახი გამოდის“ (იხ. ზირპი-თი, მთხრობელი ქავთარაძე სტე-ფანე მარტიას ძე, 67 წ.).

**როგორც ზემოთ მოყვანილ მა-გალითებიდან მოჩანს, ტყის გა-კაუზით მიმართულება და გლეხი ცდილობდა, ორნაირისარგე-ბელი მიეღო: მამულიდან ხელყის რეალიზაციით და შემდეგ მამულის იჯარით.**

## ზეთის ხდა

ვერის ხეობის დასახლებულ სო-ფლებში სელის მეურნეობა დღემ-დე შემორჩენილა, თუმცა არა იმ ინტენსივობით, როგორც ეს სხვა კუთხის (თრიალეთი, მესხეთ-ჯა-ვახეთი) ქართულ მოსახლეობაში იქნა აღნიშნული. ამ მოვლენის ახ-სნა ამ ხალხის სამეურნეო საქმი-ანობის ძირითადი პროფილიდან გამომდინარეობს. კერძოდ მათი სამეურნეო საქმიანობის მთავარ სფეროს მესაქონლეობა წარმო-ადგენდა. ამასთან დაკავშირებით ცხოველური წარმოშობის ცხიმე-ბი, მათთვის საკვები ცხიმის უმ-თავრეს პროდუქტს შეადგენდა.

ასეთ პირობებში მცენარეული ცხიმი არ არის აუცილებელი, ზედმეტი პროდუქცია, ამიტომაა რომ აქ დასახლებული მთიელი მოსახლეობის მცირე ნაწილი, ნაკლები რაოდენობით სთესდნენ სელს, ზეთის გამოხდა ამ მოსახ-ლეობაში საქონლის გამოკვების მოთხოვნილების ინტერესით ყო-ფილა შეპირობებული: „სელი უფ-რო საქონლისათვის გვინდოდა, ჩვენ ზეთის სიხარბე არა გვქონ-და, საქონლისათვის გვინდოდა კოპტონი (ს. დიდი შამთა), სელი-სა და ზეთის წარმოების დაკინე-ბის გზაზე მთავარ ხელშემწყობ ფაქტორს მაინც საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად შექმნილი ვითარება წარმოად-გენდა, როდესაც კოლონიალურ-ეკონომიური პოლიტიკის გამო რუსეთის ცარიზმის საქართველოს სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგებისადმი იჩენდა დაინტე-რერესებას. საქართველოს რუსეთ-თან შეერთების შემდეგ საფუძვე-ლი ეცლება სელის წარმოებას, რადგან იშლება კარჩაკეტილი ნა-ტურალური მეურნეობა. მრეწვე-ლობასა და სოფლის მეურნეობა-ში ვითარდება კაპიტალისტური წარმოება. ამავე დროს რუსეთი-დან და საზღვარგარეთიდან შე-მოტანილი იაფი ფაბრიკატის კო-ნკურენციაში ინთება როგორც ადგილობრივი წარმოების სელის ტილო, ისე ზეთიც.

ცხადია, XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის უკეთ საჭიროებას აღარ წარმოადგენს კუსტარული ზეთის სანარმოების აღდგენა. ამიტომაა ს. პანტიანის მახლობ-ლად შინდიანად სახელდებულ ადგილას ზეთსახდელის ქვა რომ გდია უქმად. აქაურ ე.ი. **ვერის ხეობის სოფლის გლეხებს ზეთი გამოსახდელად უმა-ტესად თიბილისში მიაკვთო,** ზოგჯერ, თუმცა იშვიათად, კი წალკის ზეთსახდელებსაც ეწვე-ვიან. ცნობილია ის გარემოება, რომ ქვემო ქართლსა და კერძოდ საბარათიანო, საყაფლანიშვი-ლოს მეურნეობაში ზეთს გარკვე-ული ადგილი ეჭირა. საბარათია-ნოს სოფლის გამოსავალში კუამ-

ლზედ ლიტრა ზეთის გამოსავალე-ბის შეწერა ქვემო ქართლში არსე-ბული ზეთის წარმოების მოვლე-ნას უნდა ასახავდეს. ჩვენი სამუ-შაო მიკრორაიონში სელის მეურ-ნეობა თითქმის გამქრალია ყოფი-დან, თუმცა არსებული მასალები გათვალისწინებულ მეურნეობის ამ დარგის ტრადიციულობაზე მეტყველებს; სელი ჩვეულებრივ გაზაფხულზე მარტ-აპრილში ით-ესებოდა მაღლობ ადგილებში, სელს ზოგიორ დღიურსაც კი თე-სდა. მას ივნის-ივლისში იღებდ-ნენ, დაბალს ხელით მოგლეჯდ-ნენ, მაღალს კი ცელით მოთიბავ-დნენ. მოთიბულ სელს მოფოცხ-ავდნენ, შეაგროვებდნენ ერთ ად-გილას და ბულულებიდან ზვინს დადგამდნენ. ერთ ურემში ჩავი-დოდა 8 ბულული. ზოგჯერ მინ-დორშივე დგამდნენ სელის ჯაუ-რებს. ჯაურა წიფლის ხის ორი მეტრის სიმაღლის სარს წარმო-ადგენდა, რომელსაც ერთი ბოლო კავიანი აქვს. ჯაურას მინაში ამ-აგრებენ. კავზე ფოთლიან ტოტ-ებს გასდებენ ჰორიზონტალუ-რად, რომელზედაც ზევიდან სელს აწყობენ. ზევიდან ჯაურას უკეთებენ რჩოლს, რისთვისაც ბა-ლას წრესავით მოამრგვალებდ-ნენ და ერთმანეთში ჩაგრეხავდ-ნენ. რჩოლს ჯოხით მოგრეხავდ-ნენ ჯაურის თავზე, ჯაურაში 67 ბულული თავსდებოდა. ასე გად-აკეთებული ჯაურები ურმით მო-ქონდათ სახლებში და კალოს გარ-შემო დგამდნენ, რომელსაც ნია-ვი უვლიდა და აშრობდა, გალენ-ვის დროს 3-4 ჯაურას ჩამლიდნენ კალოში და დაიწყებდნენ ლენვას. აღსანიშნავია, რომ აქაური მთი-ულები სელს აბარებდნენ წალკელ ბერძნებს, რომელებიც წალდ გარი-გების ანგარიშზე განსაზღვრულ რაოდენობის ზეთს აბარებდნენ შემკვეთებს.

სელის თესლი ერთ დღიურში ორი ჩანახი მაინც დაითესებოდა (ჩანახი — 20 გირვანქა), დღიურ-ზე კი 60 ჩანახი — 7-8 ტონარა მა-ინც მოვიდოდა. ზეთს ვერის ხეო-ბის სოფლის გამოსავალში კუამ-

სა, უსვამდნენ კამეჩის. იგი სამკურნალო მიზნითაც ყოფილა გამოყენებული, ისევე, როგორც მესხეთ-ჯავახეთსა და თრიალეთში. სელისა და ზეთის გამოხდის შესახებ არსებული ეთონგრაფიული მასალა სრულ ანალოგიას ამჟღავნებს ამ რიგის თრიალეთშის მესხეთ-ჯავახეთის მასალასთან.

## საღვარი საღებავები

აღნიშნულ სოფლებში, ღებვის საშუალებებად ძირითადად ორგანიულ წარმოების საღებავებს ხმარობდნენ, რომელსაც არაორგანიულ ნივთიერებებსაც — ძალას და შაბასაც უმატებდნენ;

საღებავებს შორის აქაურ სოფლებში განსაკუთრებით კაკლის ლაჯა და წენგო ყოფილა გავრცელებული. კაკლის ლაჯას ქვაბში ადულებდნენ, ლაჯის ნახშირის წვენში ჩაგდებული სამღებრო ლაღი (ღია) აგურისფრად ან ყავისფრად შეიღებებოდა (ს. ზირბითი. წიკლაური მარიამი. 70 წლისა, ჩოხელი ნინა მიხას ას, 55 წლისა) თუ ამავე საღებავს შაბს დაუმატებდნენ, მაშინ სამღებრო მუქყავისფრერს მიიღებდა.

**შავად შესაღებად თრიმლს კრეფავდნენ.** თრიმლი, კლდიან ადგილებში მოდის. საჭიროებისადა მიხედვით თრიმლი, როგორც ნედლი, ისე გამხმარი იხმარებოდა. თრიმლი ჩოხის ნართს გირვანება ნახევარი მაინც დასჭირდებოდა, რომელსაც ჩაის ჭიქით შაბს უმატებდნენ. თრიმლს დუღება დიდხანს სჭირდებოდა. საღებავში ნართის ჩაგდების წინ სითხეში შაბს ყრიდნენ. ალსანიშნავია, რომ თრიმლი ერთ პირ წყალში არ მოიხარებოდა, იგი წყალს ორჯერ-სამჯერ მაინც დაისხამდა. **იგივე კაკლის ლაჯა შავად შესაღებადაც იხმარებოდა.** ოღონდ ამისათვის მასში ძაღა უმატებდნენ. კარგად დადუღების შემდეგ ლაჯას ამოიღებდნენ და შიგ ხიფს ჩააგდებდნენ. აღნიშნული ნართი წინასწარ ძაღაში უნდა დაშაბულიყო. ამისათვის ოთხ ლიტრა წყალში, რომელშიც ძაღა იყო ჩაყალი, ერთი პეშვის რაოდენო-

**ვერის ხეობის სოფლის საღეთა ყოფაში ლეგვის საშუალებებად რჩება და მესახეობის მემკვიდრეობის სახით და მესახეთ-ჯავახეთის მასალასთან.**

**ეს საღებავები მეობლიდ ულეველის ხართის საღებავად იხმარებოდა. აქვე და განადნენ საროვესაც უკავად. სევადასევა ფერად შედეგის სურვილის გამოყენების კი საროვე ესაკემდებათ.**

ბით, ნართს ჩააგდებდნენ. აქედან ამოღებულ ხიფს მზეზე აშრობდნენ. ხოლო ძაღიან წყალს გადაურევდნენ ლაჯის წვენს, რომელსაც ერთხანს კიდევ ადუღებდნენ.

ამ უკანასკნელ სითხეში დაშაბულ და მზეზე გამშრალ ნართს ჩააგდებდნენ. შეღებილ ხიფს ამოღების შემდეგ მაშინვე რეცხავდნენ ცივ წყალში. კაკლის ლაჯის ნახსარში ჩვენ რკინის ლითონის ნატეხების ჩაყრაც დავადასტურეთ, რომელშიც სამღებრო შავ ფერს ღებულობდა.

**თრიმლის გარდა, საღებავად თრიმლის ფოთოლი და თრიმლის ძირიც იხმარებოდა.** თრიმლის ძირს და ფოთოლს შემოდგომაზე აგროვებდნენ, ახმობდნენ და ინახავდნენ. თუმცა იგი უმზეო ადგილას უნდა გაეშროთ.

გირვანება ხიფზე ერთი გირვანება გაფხეკილი და გარეცხილი თრიმლის ძირი იყო საჭირო. მათ ნახარში აგრეთვე წინასწარ დაშაბულ სამღებროს აგდებდნენ. ეს საღებავიც შავად შესაღებად ყოფილა გამოყენებული. ალსანიშნავია, რომ საღებავის დამზადების დროს ფოთოლს უფრო ხანგრძლივი დუღება სჭრიდებოდა ვიდრე ძაღას.

**ფერადად შედეგისათვის ვერის ხეობის სოფლებში გამოყენებაც სცოდნიათ.** ეს ბალახი თიბათვეში მოდის. ამ ბალახსაც შაბი სდომებია შეღებვისათვის. ყვითლად შეღებვის დროს, სამღებრო პირდაპირ ქვაბში უნდა ამოციებულიყო და მერე გაავ-

ლებდნენ წყალში. ყვითლად, ხახვის ფოთოლშიც ღებავდნენ. ამ უკანასკნელს, ყვითლისაგან განსხვავებით ძაღა და შაბი არ სჭირდებოდა.

**შავად შესაღებად ბალახი თავ-შავაც იხმარებოდა.** თავშავა მკათათვეში იკრიფებოდა — ეს ბალახი მწვანეა, დაბერების დროს თავი უშავდება და ამიტომ უწოდებენ თავშავას.

**ვერის ხეობის სოფლებში ტყავის შეღებვასაც მისდევდნენ.** რომელსაც ამავე დროს დათრიმვლასაც უწოდებდნენ. ამ შემთხვევამი მუხის ფოთოლისა და ქერქის ნახარში ძაღას ჩაყრიდნენ. ამის შემდეგ სითხეში ჩააგდებდნენ ტყავს, რომელსაც სითხეში სამი დღეღამის განმავლობაში სტოვებდნენ (ს. ღვევი. მარიამ წიკლაური-ბექაურისა, 87 წლის). სამი დღის შემდეგ ტყავს ამოიღებდნენ რომელიც გაშავებული იყო. ამ ტყავის, მზეზე გამრიბის შემდეგ ტყავს მარილსა და ზეთს უსვამდნენ, ასე დამუშავებული ტყავი ქალამნების ამოსასხმელად იხმარებოდა.

**ამგვარად, ვერის ხეობის სოფლის ხალხთა ყოფაში ღვევის საშუალებებად რჩება და მარმოზოგის მცენარეების ხმარობდნენ.** ეს საღებავები მხოლოდ შალეულის ნართის საღებავად იხმარებოდა. აქვე ღებავდნენ საროვესაც შავად. სევადასევა ფერად შედეგის შერვილის გამოყენების კი საროვე ეკლარის სამღებროებში მიჰემდებათ.



# **გრიგოლ ღიასამიერი – საქართველოს «ნიტელი ჯვრის» საზოგადოების ერთ-ერთი ძალისცემელი**

ისტორიკოსი, მწერალი, პოლიტიკოსი, რევოლუციამდელი ქართული პრესის ბრწყინვალე წარმომადგენელი, გაზეთ „თემის“ რედაქტორი, აკაკი წერეთლის უმცროსი მეგობარი და თანამებრძოლი გრიგოლ (გიგო) დიასამიძე ეკუთვნოდა საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილ გვარს, რომელიც მეათე საუკუნიდან მონანილეობდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ბრივ და სასულიერო მართვა-გამგეობაში.


გრიგოლი დაიბადა 1870 წლის 25 იანვარს გორის მაზრის სოფელ საქაშეთში. პაპამისი — დავით დიასამიძე გორის თავადაზნაურობის წინამდლოლი (მარშალი) გახლდათ, ხოლო მამა — ნიკოლოზ დიასამიძე (1846-1897) მრავალმხრივი მოღვაწე იყო. როგორც შეძლებულ მემამულეს, მას საშუალება ჰქონდა, ყოფილიყო მეცენატი, პუბლიცისტი, გამომცემელი, დახმარებოდა თეატრს. იგი ახლო მეგობარი იყო აკაკი წერეთლისა. მის ხსოვნას უძღვნა აკაკიმ ლექსი „**ნიკო დიასამიძის სახსოვრად**“.

1879-1880 წლებში გრიგოლი  
სწავლობდა თბილისში, პარონესა  
ტიზენჰაუზენის პანსიონში. 1881  
წლიდან სწავლა გააგრძელა თბილისში პირველ ვაჟთა გიმნაზიაში,  
რომელიც 1888 წელს დაამთავრა  
და იმავე წელს ჩაირიცხა **ნოვორითისის** (ოდესა) უნივერსიტეტის  
იურიდიულ ფაკულტეტზე. 1893  
წელს წარმატებით ჩააპარა სახელმწიფო გამოცდები და დაბრუნდა  
თბილისში. 1896-1901 წლებში  
გაიარა სავალდებულო სტაურება  
ნაფიცი მსაჯულობისთვის, მაგრამ იგი არ გაჰყვა იურისტის გზას  
და პედაგოგობა და ურნალისტ-  
ლიტერატორობა აირჩია.

1894-1895 წლებში გრიგოლ დი-  
ასამიძე ქართულ ენასა და ლიტე-  
რატურას ასწავლიდა ამიერკავ-

კასიის ქალთა ინსტიტუტში, 1899-1904 წლებში მუშაობდა გორის მაზრის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობაში და ერთ დროს იყო მისი თავმჯდომარეც. 1894-1916 წლებში იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი. 1901-1910 წლებში ეკაცვა დეპუტატის ადგილი თბილისის სათავადაზნაურო საკრებულოში გორის მაზრის თავად-აზნაურთაგან. ამავე დროს იგი გახლდათ საქართველოს „წითელი ჯვრის“ საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და მუდმივი წევრი.

1902-1904 წლებში გრიგოლ დი-  
ასამიძემ საკრედიტო ამხანაგობე-  
ბი დაარსა სოფელ ჭრებალოსა და  
საგვარეულო სოფელ საქაშეთში,  
ხოლო სკოლები, იმავე ჭრებალო-  
სა და საქაშეთის გარდა, გახსნა  
გორის მაზრის სოფელ ალში. მას  
ეკუთვნოდა თბილისში პირ-  
ველი ელექტროსაბაზდავი  
„გუბენის რგის“ სახელმოდე-  
ბით. მისი ინიციატივით გა-  
იხსნა ფოსტა-ტელეგრაფი,  
საავადმყოფო და ბიბლიოთე-  
კა-სამაგისტრო ფრეჩალო-  
ში. განვე 1915 წელს თბილისში  
დააფუძნდა შემნახველი სალარო  
და მებალეობა-მევენახეობის ამ-  
ხანაგობა „ალექსანდროული“,  
1906-1912 წლებში იყო სათავა-  
დაზნაურო ბანკის საკონტროლო



კომიტეტისა და სახელმწიფო პანკის ამიერკავკასიის განყოფილების წევრი, 1917 წელს გახდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის განყოფილების დამფუძნებელი წევრი.

1897 წელს გრიგოლ დიასამიძემ ცოლად შეირთო სოფიო დიმიტ-რის ასული ხიმშიაშვილი, რომე-ლიც 1906 წელს გარდაიცვალა. დარჩა ერთადერთი ასული ელენე (ლოლა), რომელიც მუდამ მხარში ედგა მამას ცხოვრების გრძელ და რთულ გზაზე.

გრიგოლი იყო ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი 1912 წლის ზაფხულში რაჭა-ლეჩხუმში აკაკი წერეთლის განთქმული მოგზაურობისა, რომელიც კინოფირზე აობდა ქათა ვასილ ამაშუკოლმა.

გრიგოლ დიასამიძემ დიდი ამაგი დასდო ქართული პრესის განვითარებას. 1911-1915 წლებში აკაკი წერეთლის თანადგომითა და თანამშრომლობით იგი გამოს-

ცემდა ყოველკვირეულ გაზიეთ „თემს“, რომლის რედაქტორიც თავად გახლდათ. მან ჩამოაყალიბა „ბეჭდვითი საქმის კავკასიური ამხანაგობა“. 1917-1918 წლებში იგი ალექსანდრე ჯაყელთან ერთად რედაქტორობდა ყოველდღიურ რუსულ გაზეთ „რესპუბლიკას“. 1920 წელს შეუდგა ყოველთვიური კულტურულ-პოლიტიკური ჟურნალი „ბრატსტრომ“ - ს გამოცემას, რომელშიც თანამშრომლობდნენ ევგენი ლანსერე, იოსიფ შარლებანი, საველი სორინი და სერგეი სუდეიკინი. სამწუხაროდ, მხოლოდ ორი ნომრის დაბეჭდვა მოასწორო. ეს ჟურნალი „კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის მცირე ერების უფლებათა დაცვის ლიგის“ ორგანო იყო.

1921 წლის თებერვლის მინუ-  
რულს, საქართველოში წითელი  
არმიის შემოჭრის შემდეგ, გრი-  
გოლ დიასამიძემ ქალიშვილთან  
ერთად თბილისი დატოვა და  
ემიგრაციაში გაიხიზნა. პათუმისა  
და სტამბოლის გავლით ჩავიდა  
პარიზში, ხოლო იქიდან მუდმივ  
საცხოვრებლად დამკვიდრდა  
ბერლინში, სადაც დაარსა საგა-  
მომცემლო საზოგადოება „ნოიე  
ოსტენ“ („ახალი აღმოსავლეთი“).  
ბეჭდავდა საქართველოსა და კავ-  
კასიის შესახებ წიგნებს, ბროშუ-  
რებსა და განმარტებით ცნობა-  
რებს. გერმანელ ქართველოლოგ  
რიპარდ მეკელაინთან ერთად  
1922 წელს რედაქტორობდა გერ-  
მანულენვან ყოველთვიურ ჟუ-  
რნალს *Morggenland* („ახლო აღ-  
მოსავლეთი“).

ଶରୀରକାଣ୍ଡ ଉଦୟାସାମିପିଳ ଡାକ-  
ସେବାଲ୍ଲାଙ୍କା 1922 ମେଲ୍ଲି କେନ୍ଦ୍ରିନ-  
ଶିଳ କାନ୍ତପୁରାଜିତ ସାମବେଳିଷମ୍ବା,  
ମୁଖ୍ୟମିଳିତ ଆରମ୍ଭକାଳୀନ ତାତ୍ତ୍ଵଜ୍ଞାନ-

გრიგოლ დასამიძე ემიგრაციაშიც თანამშრომლობდა ქართულ და უცხოურ გამოცემებთან. სტატიებსა და ნაშრომებს აქვეყნებდა ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე. მოღვაწეობდა უურნალ „კავკასიაში“, რომელიც 1930-იან წლებში გამოდიოდა პარიზში ქართულ და რუსულ ენებზე და აერთიანებდა კავკასიის ერთა ცნობილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს. ასევე, აქტიურად ეხმარებოდა კონსტანტინე ბალმონტს „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე გადათარგმნაში, რაც საგანგებოდ აღნიშნა რუსმა პოეტმა გამოცემისთვის ნამდლვარებულ წინასიტყვაობაში (პირველად დაიბეჭდა პარიზში, 1933 წელს, დავით ხელაძის სტამბაში). გრიგოლი მოღვაწეობდა, აგრეთვე, 1943-1944 წლებში ბერლინში გამომავალ საქართველოს ეროვნული კომიტეტის უურნალ „ქართველ ერში“, რომელშიც ერთიანი კავკასიის იდეის ირგვლივ იყვნენ გაერთიანებულნი მეცნიერები და მწერლები.


1936 წელს ბერლინის უნივერსიტეტმა გრიგოლ დიასამიძე აირჩია მუდმივ (ნამდვილ) წევრად აღმოსავლეთ ევროპის ისტორიის შემსწავლელი ინსტიტუტისა და

ამ ინსტიტუტის ჟურნალ „აღმო-სავლეთ ეკონომიკის“ სარედაქციო კოლეგიის წევრ-თანამშრომლად. ეართული საქმის ერთგული და თავდაცებული მსახურებისთვის 1938 წლის 30 იანვარს პერლინის ქართველთა კოლონიაში გრიგოლ დიასამიძეს მოღვაწეობის 40 წლის იუბილე გადაუხადეს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1945 წელს, გრიგოლი ბერლინიდან საცხოვრებლად გადავიდა დასავლეთ გერმანიის ქალაქ ვანგენში, ხოლო 1952 წლის მარტში ქალიშვილთან ერთად დასახლდა ნიუ იორკში. მიუხედავად ხანძაზმულობისა, მას არც ნიუ იორკში შეუწყვეტია ლიტერატურული საქმიანობა. მისი წერილები და მოგონებები იძეჭდებოდა იქაურქართულ პრესაში — „ჩვენი გზა“ და „კრებული“. იგი იყო ჟურნალ „ჩვენი გზის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, ამასთან ერთად, ნიუ იორკის ქართული სათვისტომოს საპატიო თავმჯდომარე და „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ გამგეობის წევრი და უხუცესი მრჩეველი.

გრიგოლ დიასამიძე 1960 წლის 14 მარტს გარდაიცვალა ნიუ იორკში, 90 წლის ასაკში. განისვენებს იქვე ნოვო-დივეევოს მონასტერში (მართმადიდებლური ეკლესის ეზოში). 1968 წლის მაისში მამის გვერდით დაკრძალეს ელენე დიასამიძეც. მას დარჩა ერთი ქალიშვილი ნინო — ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულის, ელიზბარ ვაჩნაძის ასული. ნინო ვაჩნაძე-კოვალსკი ნიუ იორკში ცხოვრობს მეუღლესა და ორ ქალიშვილთან ერთად. მასთან ინახება ჰაპის მდიდარი არქიტექტორი.

2013 წლის მაისში პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლები ეწვივნენ ქალბატონ ნინოს. მისი კეთილი ნებით, მათ გრიგოლ დიასამიძის არქივის ნანილი ჩამოიტანეს და ბიბლიოთეკის ქართული ემიგრაციის დარბაზში სხვა ემიგრანტთა არქივების გვერდით მიუჩინეს ადგილი. ეს არქივი უნიკალურ ფოტოებსა და მასალებს შეიცავს.



# აკაკი და კეტერგუბი

ქართველი პოეტის, მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის — აკაკი წერეთლის შემოქმედებაში წარუშლელი კვალი დატოვა ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ისტორიაში. მან ახალი ეტაპი შექმნა ქართული მხატვრული სიტყვის განვითარებაში, რომელმაც პოეტს, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, კანონიერად დაუმჯობესდა ახალი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებლისა და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის რეფორმატორის სახელი.

ქართველმა ხალხმა მგოსანი სიცოცხლეშივე აღიარა ჭეშმარიტად სახალხო პოეტად. საყოველთაო აღიარების ნათელი დადასტურება იყო მისი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო (1908), რომელიც გრანდიოზულ ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა და გასცდა საქართველოს ფარგლებს.

ამაზე — ქვემოთ. ახლა კი იქიდან დავიწყოთ, ჯერ კიდევ ყმანვილი, გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოსწავლე, როგორ გაჰყვა უფროსი ძმისა და ძამის კვალს – პეტერბურგში გაემგზავრა სამსედრო აკადემიაში მოსაწყობად. ერთოვნიანი მოგზაურობის შემდეგ აკაკი, როგორც იქნა, აღმოჩნდა პეტერბურგის ქართველ-სტუდენტებს შორის. მათი გავლენით მან მტკიცედ გადაწყვიტა, რომ თავისი ცხოვრება მიუძლვნას არა სამხედრო საქმეს, არამედ ლიტერატურულ მოღვაწეობას ან, როგორც თვითონ ამბობდა, გადაწყვიტა, „ესწავლა პოეტობა“, ანუ პოეზია გაეხადა პროფესიად. ამიტომ, სამხედრო სასწავლებლის ნაცვლად, ის თავისი მსმენელად ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე.

აკაკი, როგორც ბევრი სხვა ქართველი სტუდენტი, რაკი საქართველო ძალიან შორს იყო, უნივერსიტეტის დამთავრებამდე პეტერბურგში იმყოფებოდა. მაშინ უნივერსიტეტში სწავლა სამწლიანი იყო. ასე რომ, აკაკიმ იქ 1859-1862 წლები გაატარა. მეორეჯერ პეტერბურგში 1864 წელს ჩავიდა,

როცა უნივერსიტეტში საკანდიდატო დისერტაცია წარადგინა.

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში აკაკის ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა რუს ისტორიკოსთან, პროფესორ ნ. ი. კოსტომაროვთან. ნიკოლოზ ივანეს ძე კოსტომაროვი გახლდათ რუსი საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, პუბლიცისტი და პოეტი, სანკტ-პეტერბურგის სამსერატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი; რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის მკვლევარი.

1859 წელს ის მიიწვიეს პეტერბურგის უნივერსიტეტში და ჩააბარეს რუსული ისტორიის კათედრა. კოსტომაროვმა შეძლო, სტუდენტებს შორის უჩვეულოდ პოპულარული გაეხადა რუსული მატიანები. ის, უკვე ცნობილი წარმატებული მწერალი, ამჯერად პროფესორის რანგში გამოდიოდა, რომელსაც გადმოცემის არაჩეულებრივ ნიჭთან ერთად ისტორიის ამოცანებსა და არსაზე განსხვავებული დამოუკიდებულება და სრულიად ახალი მსოფლმხედველობა ჰქონდა. აღბათ, ამ თვისებების გამო დაუმეგობრდა მას ქართველი პოეტი. სწორედ მის სახლშიც გაიცნო აკაკიმ დიდი უკრაინელი პოეტი ტარას შევჩენკო. ისინა ხშირად შუალამებრდე საუბრობდნენ საქართველოს უძველეს კულტურასა და ისტორიაზე, საქართველოსა და უკრაინის ბედის მსგავსებაზე...

აკაკის პეტერბურგში ჩამოსვლის დრო მნიშვნელოვანია იმით, რომ აქ გაიფურჩენა მისი პოეტური და კულტურული გამოაქვეყნა გაზეთ „ობზორში“ 1878 წლის 10 იანვარს



რი შესაძლებლობები, აქედან გაითქვა მან სახელი, როგორც პოეტმა. სტუდენტობის წლებში დაიწყო მან თავისი ლექსებისა და პროზაული ნანარმოებების საქართველოში, უურნალ „ცისკრის“ რედაქციაში გაგზავნა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ წერეთელს არაერთხელ უცხოვრია მცირე ხნით პეტერბურგში. მას გული იქით მიუწევდა არა მხოლოდ ახალგაზრდული მოგონებებისა და ნათესაური კავშირების გამო, არამედ დიდ ქართულ კოლონიასთან თანამშრომლობისთვის. აკაკის უფროსი ძმა იასონი ოფიცერი იყო, ერთხანს პეტერბურგში მსახურობდა. იქვე დიდხანს ცხოვრობდა ასევე პოეტის შვილი ალექსი და დედამისი, აკაკის მეუღლე ნატალია პეტრეს ასული ბაზილევსკაია. პეტერბურგში პოეტს სხვა ბევრი ახლობელი და ნათესავიც ჰყავდა.

ჩავიდა რა 1877 წელს პეტერბურგში, აკაკიმ იქ საკმაო ხანი დაჟყო. ცხოვრობდა ლიტერატურის პროსპექტზე, №51-ში თავის ოჯახთან ერთად. იმავე წლის ბოლოს, 30 დეკემბერს, ა. წერეთელი დაესწრო ნ. ა. წერასოვის დაკრძალვის ცერემონიას. მან თავისი მთაბეჭდილებები გამოაქვეყნა გაზეთ „ობზორში“ 1878 წლის 10 იანვარს

(№8). სტატიაში საუბარი იყო დაკრძალვის ცერემონიაზე უნივერსიტეტის პროფესორის — გორჩაკოვის გამოსვლაზე, რომელმაც ნაიკითხა ლექსი „უფლისნული ერთი საათით“. წერილში ნათქვამი იყო, რომ რუსმა პროგრესულმა საზოგადოებამ ნეკრასოვის დაკრძალვა გადააქცია უკანონბის წინააღმდეგ, რუსეთის ძირგამომპალი ჰოლიტიკური წეობის წინააღმდეგ დემონსტრაციად.

1878 წლის გაზაფხულზე პოეტი  
სამშობლოში ბრუნდება, მაგრამ  
შემოდგომაზე მცირე სნით ისევ  
პეტერბურგში მიემგზავრება.

მორიგის სტუმრობა პოეტისა პეტერბურგში 1892 წელს უკავშირდება, როცა მან მაისიდან მთელი რვა თვე იქ გაატარა. ამ ხნის განმავლობაში ის მჭიდროდ დაუკავშირდა რუსულ ლიტერატურულ წრეებს. იმ პერიოდში გაზეთი „ივერია“ წერდა (1891 წ. №202), რომ პოეტი ვასილი ველიჩკო (1860-1903) რუსულ ენაზე ავტორის დახმარებით თარგმნის პოემას „თამარ ცბიერი“. ამ პოემას კითხულობდნენ კერძო ლიტერატურულ სალამოებზე და ყველა აღფრთოვანებული რჩებოდა. ჟურნალმა „სევერნი ვესტინიკა“ შეიძინა თარგმანის გამოცემის უფლება.

პეტერბურგში გამომავალი უუ-  
რნალი „ვესტნიკ ევროპის“ 1892  
წლის აპრილის ნომერში დაიბეჭ-  
და აკაკის „გოგია მეჩონგურეს“  
რუსული თარგმანი, რომელიც მა-  
ლე გერმანულ ენაზეც ითარგმნა.  
აკაკი წერეთელმა ეს მოთხოვნა  
ლეგენდის საფუძველზე შექმნა.

„იმისთანა ბერლი აღმა იყო, რომ  
კაცს თვალთან მიტანილი თითის  
დანახვაც კი არ შეეძლო, მაგრამ  
მაგივრად ფეხის ხმა არ გამოეპა-  
რებოდა იმ მიწყნარებულ არემა-  
რეში.

ამ დროს, თითქოს ჯადოქარს  
მოეტანის, რაღაცამ გაიწკრია-  
ლა ჰაერში და თანაც მოისმა ჩონ-  
გურის საამური ხმა. ისეთნაირად  
ქვითინებდა სიმები, თითქოს ქვე-  
ყნის ტანჯვა უნდოდათ ნემსის  
კუნწში გაეძვრინათ, ისე დაედ-  
ნოთ...

დიდხანს, დიდხანს გულსაკულა-  
ვად წკრიალებდა სიმები უცნაუ-  
რი ძალით და ბოლოს კი სიმღე-  
რაკ მოისმა.

კილო იმ სიმღერისა არა ჰეგავდა  
არც „სალხინოსა“ და არც „ზარ-  
ის“ ხმას; ის იყო გულგახეთქილის,  
რაღაც გულგამხეთქი საყვედლუ-  
რისა და წყევლა-კრულვის ერთად  
შეერთებული ხმა.

შეწყვდა სიმღერა; მაგიერად იქ-  
ვე მოისმა ერთომეორებე რაღაც  
ბუტბუტის, ამოოხვრისა და ხით-  
ხითის ხმიები.

მთვარე ამოვიდა და შემდეგი  
სანახავი გამოწინდა:

ერთი სახლის ნინ იდგა ჩონგუ-  
რით ხელში თავდახრილი გოგია  
მეჩონგურე და შესცეკროდა მოა-  
ჯირს, საიდანაც სამი ქალი იყო  
გადმომდგარი, ერთი მათგანი —  
მოხუცი — რაღაცას ბუტუნებდა,  
მეორე — მშვიდობიანი სახის  
ახალგაზრდა ქალი, ხვნეშოდა და  
მესამე — კოპნია ყმანვილი ქალი  
კი იცინოდა. სამივესვე სხვადას-  
ხვაგვარად გულისტემისა და სუ-  
ლის მოძრაობის მიზეზი იყო ერ-  
თი და იგივე.

— ეგ არი რაღა, გვეთხოვები, აღარ იშლი? მიდისარ, მაგრამ ოჯახს ვის უტოვებ? ჩემზე აღარას გეტყვი, დედა ვარ, მარა ეს და ალარ გებრალება? და ან ამ ახალ-გაზრდა ცოლის მოშორება რო-გორარ გწყვეტს გულსა? ვის ხელ-ში გვტოვებ და რას გვიპირებ? — უთხრა მოხუკულომა ქალმა.

— დედი, — უპასუხა გოგიამ  
მშვიდობიანად, — ვისაც თავისი  
ვალი არ შეუსრულებია, იმას ნე-  
ბა არა აქვს არც ცოლის სიყვარუ-  
ლისა! სირცხვილია მამაკაცისათ-  
ვის დედის კალთაში ქალაჩუნო-  
ბით თავის ჩადება და კისერზე  
მოხვევა და ცოლის გვერდით ამ-  
ოჯდომა საზოგადო გაჭირვების  
დროს.

აღარ შემიძლია მოვიცადო! მი-  
ვეშურები იქით, საითკენაც ჩემი  
ვალი მომიწოდებს!.. სიკვდილი ან  
გამარჯვება! აი, ასე გადაზყვიტა  
ჩემმა გულმა! მივდივარ და თქვენ  
გიტოვებთ ამ ანდერძს: გიტო-  
ვებთ ამ ჩემ ჩონგურს, რომ გამო-  
ილვიძოთ, სამივემ თითო-თითო-

ჯერ დაუკარით ხოლმე ყოველ-  
დღე: თუ სიმები არ დასწყდეს,  
ცოცხალი მიგულვეთ, და თუ სი-  
მები დაწყვეტილი ნახოთ, მაშინ კი  
შენდობა შემომითვალეთ.

ამ სიტყვების შემდეგ ოვალც-  
რემლიანი გოგია სამსავეს გულ-  
ში ჩაეკრა, გამოეთხოვა, გადაინე-  
რა პირჯვეპარი და გზას გაეძურა.

გამნარებულმა დედამ გზა და-  
უწყევლა სიტყვიერად, თუმცა  
გულში კი სულ სხვასა გრძნობდა.  
დას, რაც გულში ჰქონდა, ის პირა-  
დადაც უთხრა: გზა დაულოცა;  
ცოლი მხოლოდ გაიბუტა, თვალთ  
კრიმლები მოიწმინდა.

იმ ღამეს დას ძილი არ გასტეხია,  
ცოლმაც მადიანად ამოუშვა ხვრ-  
ინვა, მაგრამ მოხუცმა დედამ კი  
საწოლი ცრემლებით მორწყო!  
„რად დავწყევლე, მე უგუნურმ-  
აო? — ფიქრობდა, — რომ გასჭ-  
რას ჩემმა წყევლამ? მაგრამ არა,  
არა! ტყუილად ხომ არ არის ნათ-  
ევამი, რომ დედის წყევლა შვილ-  
ზე არ გადისო! დედა რომ პირით  
იწყევლება, მაშინ ძუძუები უარს  
ამბობენ! ჩემმა ძუძუებმაც უა-  
რი სთქვეს!... ღმერთო, ნუ უსმენ  
ჩემს ცოდვილ ენას!“ — პირვევარს  
ისახავდა.

გათენდა თუ არა, დედა პირველი მიადგა თაროზე, ჩამოილო ხელის კანკალით მაღლიდან ჩონგური და ანდერძისამებრ სიფრთხილით ჩამოჰკურა სიმებს და დაამღერა შემდეგი სიტყვები:

რა მოგშორდი, შვილო, შემდეგ  
შავი ფიქრი გულს მიბურავს.  
ვაჲ, თუ გშია, ან გწყურია,  
ან გცივა და არა გხურავს!  
ეგებ გდიხარ ბრძოლის ველზე,  
გულს გასვია მტრის ისარი  
და, რომ წყლული შეგიხვიოს,  
დედაშენი არსად არი!  
ვაჲ! თუ შენს ლამაზ თვალებს  
ყვავი კორტნის და ყორანი;  
და უნაგრით უპატრონოდ  
დაგხვიხვინებს თავს მერანი!  
ვაჲ, თუ შენსა ხუჭუჭ თმასა  
ჩიტი ბუდეს შიგ უფენდეს?  
მაშინ დედაშენიც ჩიტად  
გადაიქცეს, შენკენ ფრენდეს!  
ეს რომ გაათავა, ჩიონგური სიფ-  
რთხილით გადასცა თავის ქალს,  
გოგიას დას; იმანაც მოკრძალე-



ბით ჩამოართვა დედას ნაანდერ-  
ძევი, აკოცა სიამით, წყნარად ჩა-  
მოჰკრა სიმებს და დაამლერა შემ-  
დეგი სიტყვები:

... მე გოგია მისთვის მიყვარს,  
რომ ძმაა და მეგობარი;  
და მისთვის მსურს მისი ხილვა,  
მასთან ხშირი საუბარი,  
რომ თავიდან ფეხებამდე,  
ის მამულის შვილი არი,  
თვის მარჯვენას მისთვის

ხმარობს  
და მისთვის უღერს მისი ქნარი;  
ლმერთო, მიეც გამარჯვება,  
განსაცდლისგან დაიხსენი,  
დაგვიძრუნე შინ მშვიდობით,  
გევედრები მონა შენი!  
და, თუ მოკვდეს

Digitized by srujanika@gmail.com

ପରମାଣୁରେ କୁହାରୀ  
ଏବଂ ଶିଖିବାରେ

გაერსფვალოს ისრით გული,  
მაშინ ჩიტად გადამქენი,  
მსურს, შევიქწენ მე ბულბული;  
რომ მის საფლავს

მარტოხელსა

მე ვუსტვენდე  
გრძნობა-მტკბარი  
და იმ ხმასაც ყურს უგდებდნენ  
არამარტა მოა თა ბარი.

გაათავათუარა დამუკანასკნელი სიტყვა, მივარდა გიშეივით რძალი, გოგიას ცოლი, გამოჰვალივა ხელიდან ჩონგური მულსა და, რაც ძალ-ღონე ჰქონდა, ჩამოჰვალივა სიმება...

მეტისმეტი პარტყუნით თითები  
ეტკინა და სიმები მაინც არ დას-  
წყდა.

ამგვარად რამდენიმე თვეს უკრავდნენ რიგ-რიგად ქალები იმ ჩონგურს და სიმები კი მაინც ისევ მთლად იყო.

ერთ დღეს, სადილად რომ სხდებოდნენ ქალები, სუფრაზე ხორცი მოიტანეს, თაროზე მწოდარ შავ კატას სუნი ეცა, გადმოხტა იქი-

დან, წამოედვა ჩინგურს, ძირს ჩა-  
მოაგდო და ლუკმა-ლუკმად და-  
ამსხვრია. მოცვივდნენ ქალები და  
ნახეს, რომ სიმები ყველა დაწყვე-

ტილიყო. დედა-შვილი შეშინდა,  
მაგრამ გულს მაინც არ იტეხდნენ:  
რა ვუყოთ, — ამბობდნენ, — თა-

ვისით ხომ არ დაწყვეტილა სიმები? კატამ ჩამოაგდო უნებურადო! — არა, ბატონი! ცუდი ნიშან-

იაო, — ინვავდა ენას კოპწია ცოლი, — წუხელი ბი მთელ ღამეს

კუროდა ჩენეს ეზოში და დღეს ყორანმაც დაგვაძახაო!... — რალა ამის თქმა ეჭირვებოდათ?! დედა გაყვითლდა შიშით, დას ნაცრის-ფერი დაედვა და ცოლმა კი თავის ოთახისკენ გასწია, ჩაიცვა ჭრელი კაბა და თავის ვარცხნას მოჰყვა, ვითომ აქ არაფერი ამბავი არისო.

ამ დროს ძართლა ძოვიდა მთხ-  
რობელი, მოიტანა გოგიას სიკვ-  
დილის ამბავი და მისი ნიშანი.

იმის დანახვაზე გაყვითლებული დედა მოლალურად გადაიქცა, და — ბულბულად და ცოლს კი დარჩებოდა ბურთი და მოედანი, რომ რაღაც ხმას არ დაეძახა: „სადაც ის ორი, იქ შენც მესამეო!“. ამ ხმაზეც ცოლიც ოფოფად გადაიქცა და სავარცხელიც თავზე გარ-ჭობილი შერჩა.

იმ დღიდან აქომამდე მოლალური მაღალ ხებზე სამი ძაფით, საცეცხლურივით ჩამოკიდებს ხოლმე თავის ბუდეს, არნევს — ვითომც თავისი შვილის აკვანი იყოს და თანაც დასძახის ხოლმე: „შვილო გოგია, შვილო გოგია!“. ბულბულს, სადაც კი ნახავს ამოსულ ვარდს, ყოველგან გოგიას საფლავი ჰქონია, და ათას ხმაზე დამღერის და უგალობს ძმის სულს; ოფოფი კი უხეიროდ დაგოგავს მინდვრებზე და ეძებს გოგიას საფლავს,

და ძებნაში ხან აქ და ხან იქ ჩაჰე-  
რავს ხოლმე ნისკარტს მიწაში“.

მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა  
აკაკის პეტერბურგის ქართულ  
კოლონიასთან. ის ხშირად სტუმ-  
რობდა ქართველ სტუდენტთა  
წრეს ვასო მაჩაბლის ბინაში; ესწ-  
რებოდა ქართველ სცენისმოყვა-  
რულთა მიერ დადგმულ სპექტაქ-  
ლებს; ურთიერთობა ჰქონდა ქარ-  
თველ ინტელიგენციასთან, გან-  
საკუთრებით სტუდენტებთან,  
რომლებიც ხშირად სტუმრობდ-  
ნენ პოეტს შინ და მისგან იღებდ-  
ნენ რჩევებს საზოგადოებრივ და  
ლიტერატურულ საკითხებზე.

პეტერბურგში ყოფნისას აკაკი  
თბილისში აგზავნიდა „წერილებს  
პეტერბურგიდან“ გაზეთ „ობზო-  
რისა“ და „ტიფლისსკი ვესტნიკ-  
ში“ დასაბჭეფდად. ნეკრასოვის და-  
კრძალვასთან დაკავშირდით, ზე-  
მოთ ნახსენები სტატიის გარდა,  
მან ასევე დაბეჭდა „პეტერბურ-  
გული შენიშვნების“ პირველი და  
მეორე ნაწილები. პირველ ნაწილ-  
ში ის აკრიტიკებდა სუვორინს  
(რეაქციონერ უურნალისტი, გაზ-  
ეთ „ნოვოე ვრემიას“ გამომცემ-  
ელს), რომელიც ცნობილი იყო  
უცხოურის უგულვებელყოფით  
და აბუჩადამგდები დამოკიდებუ-  
ლებით, მათ შორის, ყოველივე  
ქართულისადმი.

მეორე ნანილში აკაკი კრიტიკულად განიხილავს ალექსანდრის თეატრში შექსპირის „ჰამლეტის“ დადგმას, ასევე საოპერო თეატრში განხორციელებულ ლერმონტოვის „დემონს“ და სხვ.

ლონისძიებაში მონაწილეობდნენ მოწინავე რუსი მოღვაწეებიც.

აკაკის პეტერბურგში ჩამოსვლის დრო  
გილვანიურვანის იმით, რომ აქ გაიცარჩდა მისი  
პრატური შასაქლებლობები, აქედან გაითქვა მან  
სახელი, როგორც პრატერა. სტუდიობის ცლებები  
დაიცვო მან თავისი ლექსიებისა და პროზაული  
ლიტერატურული საქართველოში,  
უკალი «შისკრის» აკადემიუმი გაგზავნა.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით თბილისში უამრავი მილოცვა გაიგზავნა როგორც პოეტის, ასევე მთელი ქართველი ხალხის სახელზე.

პოეტს ულოცავდნენ „რუსკოე ბოგატსტვოს“ რედაქტორი კოროლენკო, სახალხო განათლების ცნობილი მოღვაწე ფალბორკი, რომელმაც ასეთი შინაარსის ტელეგრამა გამოიგზავნა პეტერბურგიდან:

„საღამი მშვენიერ საქართველოს, უდიდეს მნერალსა და მოქალაქეს მისი ძველი მკითხველისაგან“.

პეტერბურგის უნივერსიტეტის მილოცვაში ცნობილი მეცნიერი ალმოსავლეთმცოდნე, პროფ. ვ. ჟუკოვსკი წერდა: „პეტერბურგის უნივერსიტეტის ალმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი უერთდება იმ დიდ ზეიმს, რომელიც ქართველმა ხალხმა მოუწყო სიტყვის ოსტატს, უდიდესი ტალანტის პოეტ-ლირიკოსს და უგზავნის სალამს თავის ყოფილ მოსწავლეს, რომელმაც ლექსებსა და პროზაში გამოხატა ქართული ენის სიდიდრე“.

მილოცვები რუსეთის სხვა ქალაქებიდანაც გამოიგზავნა. მაგალითად, მოსკოვის სამხატვრო თეატრმა ნემიროვ-დანჩენკოსა და სტანისლავსკის ხელმოწერებით გამოიგზავნა ტელეგრამა; ასევე მოსკოვის ლიტერატურულმა და სამხატვრო წრემ მისი თავმჯდომარის — ა. სუმბათაშვილისუნის ხელმოწერით; ლაზარევსკის ინსტიტუტის ტელეგრამას სხლს აწერდა პროფესორთა საბჭოს სახელით ინსტიტუტის დირექტორი მილერი და მდივანი ხასანაშვილი. ლონდონიდან მოვიდა მოლოცვა და-ძმა ოლივერ და მარჯორი უორდოპებისგან.

პეტერბურგში უკანასკნელად აკაკი 1912 წლის ნოემბერში ჩავიდა ცოლ-შვილთან. სწორედ მაშინ მიიწვიეს ის ქართულ ტრადიციულ საღამოზე, რომელიც 1913 წლის იანვარში გაიმართა.

მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი ქართული კოლონია განსა-



აკაკი ცერეთელი და მისი მეუღლე  
ნაფალია გაზილევსკაია-ცერეთელი

კუთრებულად განიცდიდა თავისი სამშობლოს გაჭირვებასა და უბედობას. როცა აკაკი გარდაიცვალა, 1915 წლის 8 თებერვალს თბილისში, და სამგლოვიარო პროცესია მთაწმინდისკენ მიემართებოდა, ზუსტად იმ დროს პეტერბურგელი ქართველები ბევრ რუს საზოგადო მოღვაწესთან ერთად, საქართველოს გლოვისადმი თანადგომის ნიშნად, ყაზანის ტაძარში შეიკრიბნენ პანაშვიდზე. შეკრებილთა შორის იყვნენ კავკასიის სახელმწიფოს დუმის წევრები, პეტერბურგის ლიტ-

ერატურული საზოგადოებისა და პეტერბურგის უნივერსიტეტის ალმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის წარმომადგენლები.

პოეტის ცხოვრებასა და მის დამსახურებაზე მშობელი ხალხის წინაშე ისაუბრა იმ დროს პეტერბურგში მყოფმა ქუთაისელმა ეპისკოპოსმა ლეონიდემ. სხვადასხვა ორგანიზაციამ და ცალკეულმა მოღვაწეებმა თბილისში თანაგრძნობის უამრავი ტელეგრამა გამოიგზავნეს.

მოამზადა  
დარევაც აცდრიაპე

თედო სახოკია

# მოგზაურობა გურიაში

ეთნოგრაფის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის თედო სახოკიას დვანლი დიდია ქართული ეთნოგრაფის განვითარების საქმეში. ის თავისი დროისთვის კარგად მომზადებული, გამჭრიანი და გონებამახვილი ეთნოგრაფი გახლდათ. ეს იყო დრო, როდესაც საქართველოში ისპობოდა ფეოდალური გადმონაშთები, ყალიბდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობა, იქმნებოდა ეროვნული ბაზარი, ბურუჟაზია და სანარმოო პროლეტრიატი, მიმდინარეობდა მტრების მიერ მიტაცებული მიწების სამშობლოსთვის დაბრუნება. საქართველოს ისტორიის ამ პერიოდში ქართულ ეთნოგრაფიასაც შექმნდა თავისი წვლილი და შეძლებისდაგვარად ემსახურებოდა თავისი დროის საჭიროებას.

მგზავრის ნერილები და მგზავრის შენიშვნები, რომელიც თავმოყრილია წიგნში „მოგზაურობანი“, თედო სახოკიამ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დანერა. იმ ხანებში ავტორმა იმდროინდელი უურნალ-გაზეთების რედაქციების დავალებით იმოგზაურა გურიაში, აჭარაში, სამურზაყანოსა და აფხაზეთში, შემდეგ კი მოგზაურობის შთაბეჭდილებები სხვადასხვა დროს გამოაქვეყნა პერიოდულ პრესაში. ქვემოთ შემოგთავაზებთ თედო სახოკიას გურიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს.



## ბახმაროს მზა, პოპია და „ცხრა-ფუთა“

დილის ათი საათი იყო. შარა-გზა და ვაკე გათავდა და აღმართს შევუდექით. მაშინვე ატყობთ, რომ საქმე გექნებათ ისეთ გზასთან, რომელსაც ადამიანის ხელი არ მიჰკარებია და, მაშასადამე, მოკლებულია ყოველივე სიადვილეს მგზავრისათვის. ითვალისწინებთ, თურა ზომის ჯაფა უნდა დაადგეს თქვენს ფეხებს ან კიდევ საცოდავ პირუტყვს, რომელიც იძულებულია, თქვენი ტანი ზიდოს. პირველი ნაბიჯის გადადგმაზედვე მექისას ბუცეფალს სიმწრის იფლი გადასკდა თავის პატრონის სიმძიმისაგან. სიბრალულის გრძნობით აღვისილმა, ჩემი კოკია მექისას დავუთმე და მის ცხენის ზურგს მე მოვიქეცი. იმისი ლაჯებს ქვეშ აღარც კი გამოჩნდა საბრალო ცხოველი. ყურები-ლა უჩანდა. აკვესდა, მაგრამ რა აკვნესდა!.. ქვის გულის პატრონსაც კი თვალებზე ცრემლებს მოჰკვრიდა სიბრალულისას. ცხენებს საქმეს, აღმართის გარდა, ისიც უჭირვებდათ, რომ

ახალი ნაწვიმარი იყო და მოლიპულ გზაზე ფეხები წამ-და-უწუმულ უცურდებოდათ. ზოგჯერ იძულებულნი ვიყავით, ფეხით გვევლო და ცხენები სალთად წაგვეყვანა; მხოლოდ მექისა, რომელსაც შესაფერისობისათვის „ცხრა-ფუთა“ დავარქვით, არა შორდებოდა თავისს კოკიას.

გზა ტყე-ტყე მიდის. რცხილა, წიფელი, წაბლი, ლეკუხა ერთმანეთშია არეული. ყველას კი წიფელი სჭარბობს. ტყე მდიდარია, მაგრამ უგზოობის გამო ადამიანი ვერ სარგებლობს. მხოლოდ თავად მ. ნაკაშიძეს დაუწყია საკასრე მასალების ჭრა, რომელიც ჩალვადრებით ჩაქვს ძირს. სხვა მასალას აქედან ვერ ჩაიტანს კაცი, რადგან აქაურ საცალფეხო გზაზე მარტო ცხენი თუ გაივლის და ისიც გაჭირვებით, თორემურემი ვერას გზით ვერ მიუდგება აქაურობას. და ამდენი სიმდიდრე მუქთადა ლპება და ოხრდება ტყეში. ეგვევე ითქმის იმ ძვირფას ნაძვნარზე, რომლითაც დაფარულია აქაური მთების მაღალი ადგილები.

ალაგ-ალაგ სულ ვიწროვდება, სული ეხუთება გზასა, ორ კედელს შეუა მოქცეულსა. თუ ცხენით შიგ შეხვედით, უკან დაბრუნება არ შეგიძლიათ. თუ წინ ცხენი შემოგხვდათ, გზას ვერ უქცევთ ერთმანეთს. განსაკუთრებით გასაჭირია ამ ალაგას გავლა, როცა ჯოგს მოერეკებიან. მწყემსებმა და საქონლის პატრონებმა ეს იციან და სათოფეზედ ყვირილს მოჰყვებიან. ამ ყვირილით წინიდან მომავალ მგზავრს აფრთხილებენ, არ დაიძრათ, სანამ ჩვენ არ გავალოთ. ხშირად ამ ალაგას უბედურებაც დატრიალებულა. ეს გზა ამასთანავე კალაპოტიცაა მთის ნაკადისა. ღვარობის დროს მთელი კალაპოტი ივსება, მძლავრად მოდის და რაც და ვინც გზაში შემოხვდება, ფეხზე არ აყენებს და თავის მსხვერპლად ხდის ხოლმე.

კარგი და, როგორ-ლა დადიან ასეთი გზითაო? იკითხავთ: დიდი გაჭირვებით. ნახევარი გზა ფეხით უნდა აიაროთ. ვისაც ფეხით სიარული არ შეუძლია და ცხენი არ ეცოდება, თავის დამაგრება მაინც უნდა იცოდეს უნაგირზე, იმი-

ტომ რომ მთელი გზა ერთმანეთ-ზე უარესი აღმართ-დაღმართებია. ხალხი მაინც დადის, განსაკუთრებით გაჭირვებული, ციებისაგან ილაჯ-განწყვეტილი. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ბავშვებიც კი დაპყავთ ამ გზითა. ზოგს ზედ უნაგირზე დააკრავენ მაგრად, ზოგს ყუთებში ჩასვამენ დაიქით-აქეთ დაპყიდვებენ ცხენსა და საპალნესავით აზიდვინებენ.

რაც უფრო ზევით ავდივართ, ნისლი განუყრელი თანამგზავრი ხდება ჩვენი. ხან ბამბასავით შიგ გავეხვევით, ხან ჩვენგან გაგოგ-დება და სადმე ხევში დაეკიდება ხეებსა. მშვენიერი გადასახედია ვაკისკენ: მოსჩანს ყვითელი ზოლი სულ მუდამ ამღვრეული რიონისა, თეთრი ლიანდაგი რკინიგ-ზისა, ქუთაისი, სენაკი, სამეგრელოს მთები, სამტრედია, ესე იგი, ნანილი იმერეთისა, მთელი გურია და ნახევარი სამეგრელო. გზაზე ბევრია წყავი და განსაკუთრებით მოცვი. სიარულისაგან ნერწყვ-გამშრალი მგზავრი ხარბად ეტა-ნება მოცვსა, რომელიც შეგიძლიათ იმდენი მიირთვათ, რამდენიც გრძებავთ - უწყინარი ხილია.

გზა უარესად აღმართდება. ზედ ერთვის ლაფი, სიარული ჭირდება. რამდენჯერმე სასახლე ავაგეთ. უმეტეს ხანს ფეხით ძივდივართ, გარდა „ცხრა-ფუთასი“, რომელიც წურბელასავით არა შორდება თავის კოკიასა. ისიც ქმინავს, ოფლი ასკდება სიმწარისა. უჭირდა ჩვენი მებარგულის როსინანტსაც. აქეზებენ: „უბედური წინ!“, „ას თუმნიანო, გასწი!“ მაგრამ მაინც სიარულს უკლებს, აღონებს პატრონსა. ბოლოს შუადღის ხანს ავატანეთ ბახმაროს გზის შუაპუნკტს „თხემლნარას“. აქ პატარა მინდორია და გვერდით წყაროცაა. საიდანაც უნდა მოდიოდეს მგზავრი ქვევიდან ზევით, თუ ზევიდან ქვევით, ერთხელვე შემოღებული ჩვეულების თანახმად, აქ უნდა გაჩერდეს, შეისვენოს თვით და პირუტყვასაც შვება მისცეს. შესვენებით კი ისვენებენ, მაგრამ აქაურ წყალს მაინც არა სვამენ, მის მსმელს „მუხლები მოეჭრება“ მაშინვე და



ვერ ივლისო. ჩამოვეტით ყველანი. „ცხრა-ფუთიანის“ ჩამოხტომა, კოკიას გაგორება და მოსართავების დაწყვეტა ერთი იყო. შეგვეშინდა. ეგ არის, კოკიამ ყორნები გაახარაო, ვთქვით, თურმე ჩვეულებადა ჰქონია მის რჯულსა: დაღლის შემდეგ უქველად უნდა გაგორდნენ თურმე. ცოტათი დავნაყრდით. ამასობაში ჩამოვენივნენ ჩალვადრები, რომელთაც საპალნეები მოჰქონდათ ფქვილისა, პურისა, ზოგს ბარგი აეკიდებინა მოაგარაკეთა.

ნახევარ საათს უკან ისევ შევუ-  
დექით გზასა. თანამგზავრნი ცხე-  
ნებს არა შორდებოდნენ, თუმცა  
საცოდავი პირუტყვინი ბევრს ეწ-  
ვალებოდნენ. ფეხები უკანკალებ-  
დათ, მთელი ტანი საპონის ქაფად  
ექცათ, მუცელი საპერველივით  
ებერებოდათ. მაგრამ მხედარი  
მაინც ზედ იჯდა. მაშ, ცხენი რა-  
ლად მინდა, თუ მე ფეხით ვიყლიო.  
ნამდვილი მტარვალია ადამიანი  
ზოგ შემთხვევაში... თითქოს  
ლმობიერების ნიშან-წყალი დაე-  
კარგაო.

ერთი საათიც და, ტყე უკან დავ-  
ტოვეთ, ტიალზე (შიშველი ადგი-  
ლი) გამოვედით. მთის სიომ დაგ-  
ვბერა. იქავე, სომლიასთან, დუქა-  
ნი გამოჩნდა. აქაც შევისვენეთ,  
ცივი, მთის წყაროს გემო ვნახეთ,  
შუბლი გავიგრილეთ და ისევ შე-  
ვუდექით. ნისლი უფრო ხშირად  
გვეღობება წინ. ერთი მხარის მან-  
ძილზე არაფერსა ვხედავთ. შიგ  
ინთქება ხევები და შორს განმარ-  
ტოვებით მდგარი ნაძვის ხები.  
გზა უკეთესია, ალმართები ქრება,

მიდამო ვაკედება. აქა-იქ, გზის პირას ქოხებია. შიგ დგანან „მეჰვაერენი“, როგორც აქ ეძახიან ჰაერის გამოსაცვლელად ამოსულთა. იქვე ხვადაგი სძოვს, ყვავილთა შორის, რომელთაც ჩერიალითა რწყავს მთიური ნაკადულები, წმინდა, კამკამი. მრავალფეროვანი ყვავილების ფშვინვა საკმეველივით ადის ზეცას სადიდებლად ბუნებისა, მისთვის საგალობელის სათქმელად. ყოველი ყვავილი, ყოველი ბალახი, ამ საოცნებო ნიადაგზე აღმოცენებული, რომელთაც გარშემო დარაჯებად მთები უდგანან, თავისკენ გინვევენ, რომ გულში ჩაეხუტოთ, რომ სმენა დაგიტყვბოთ სიყვარულის საგალობელითა. **ძალიან ბოროტი უნდა იყოს ადამიანი**, რომ აქ იყოს, აქაური ბუნების სიდიდეეს, მის დაუსრულებელს და გასაოცებელ მშვენებას უყუროს და გული ნეტარების გრძნობით არ აღვსოს, რომ არ აღფრთოვანდეს ჩაგრული მოძმის შველის სურვილითა. ამ დროს ადამიანისათვის დაბრკოლება არ არსებობს, უძლურება რა არის, იმან არ იცის. გინდათ, სულ აქ იყოთ, ამ ოცნების სამეფოში, მთელი სიცოცხლე, მთელი საუკუნე ამ ბუნების წიაღზე გაატაროთ. ისე გემძიმებათ აქაურობის მოშორება, როგორც ერთხელვე გულში ჩაკრული საყვარელის არსების მოგლეჯა. ლურჯმოციალა ცა თავს დაგცეკრით, შორიდან სალამასა და მხურვალე კოცნას გიგზავნით. მისი მოღიმარე, ალერსით სავსე თვალები იმასლა გეუბნებათ, რომ ამ



ადგილას ძმობისა და სათნოების  
მეტი არა არის-რაო, ბოროტებას  
ადგილი არა აქვსო... მშვენიერია,  
მშვენიერი აქაურობა, ისე მშვე-  
ნიერი, ისე დიდებული, რომ სი-  
ცოცხლე, რაც უნდა ძალუმა-  
დური იყოს ბარად, აქ გიყვარდე-  
ბათ. ყოველ ნაბიჯზე ეპოტინე-  
ბით ყვავილს, რომელიც აქ უფრო  
წმინდა, უმნიკვლო მშვენებით  
არის გაბრწყინვებული, ყოველ  
ნაბიჯზე ხელებსა ჰყოფთ ვერცხ-  
ლის წყალივით მოლუკლუკე  
წყალს... ჰერტარებთ სულითა და  
ხორცით. თვალსა ხუჭავთ, მახ-  
სოვრებას ძალას ატანთ, რომ და-  
გავიწყდეთ ბარი, ქალაქი, თავისი  
უსიამოვნებითა....

ცოტაც გავიარეთ და მთის ფერ-დობზე გამოჩნდა ჯოგიძროხებისა, კარვები მეჯოგეთა, მათ შორის ქოხები მოჰაერეთა და მათს გვერდით ხევები, ნაძვნარით დაფარული. ექვსი ვერსის სიშორიდან ბახმაროს სახლების სახურავებიც გამოჩნდა. სიმწარე გამოვლილის გზისა გვავიწყდება, დაღლილობა ჰქერება და მხნედ მივისწრაფვით ამ აღთქმის ქვეყნისაკენ. თვალსა გვტაცებს მის გარშემო შემორკალული მთის მწვერვალები, ლურჯმოციალე ცის ჩრდილით დაფარულები, რამდენიმე ალაგას გავედით მთიდან ქუსილით ნამოსულ წყლებში, რომლებიც ბახვის-წყალს ერთვიან და რომელსაც აქ ორი მხარი აქვს განი, ისიც არა. გავიარეთ ბაისურა (ადგილსა ჰქვიან), შემდეგ — ტყე ბუმბერაზ ნაძვებისა. აქა-იქ გაბნეულია ქოხები ხელ-მოკლე მოჰაერეთა. აპა, გავედით ბახვის წყალზე და ავატანეთ თვით ბახმაროსაც, რომელსაც მუქი ფერის ჩარჩოსავით შემოკრული აქვს ნაძვისა და სოჭის ტყე. შუაში 20 და 30 მხარის მანძილზე დაშორებით გაბნეულია მოაგარაკეთა ციფრული სახლები, ორ-სამ თვალიანი, ბუხრებიანი.

## ბახმარო: მისი ცარსული, მისი აღმაფონი

ბახმარო მთის სახელია, სადაც  
უნინ ამოდიოდნენ და ახლაც ამო-

დიან ზაფხულობით მეგრელი მწყემსები. როგორ გადაიქცა ბახ-მაროს მთა სააგარაკო ადგილად და რა რიგია მისი აწინდელი ყო-ფა? უეჭველია, ბახმაროს ერთ დღროს თავისი მეისტორიეც გამო-უჩნდება, და ჩვენც ვეცდებით აქ ხელმისაწვდომ ვყოთ ყველასათ-ვის ის ცნობები, რომლებიც ადგი-ლობრივ შევკრიბეთ.

უნინარეს ყოვლისა მოგახსე-  
ნებთ ხალხში დარჩენილი მისი სა-  
ხელნოდების ამბავს, რომელსაც,  
ცოტა არ იყოს, რომანიული სარ-  
ჩულიც აქვს. ამბად არის დარჩე-  
ნილი:

ერთ აჭარელს გურიაში ერთი ლამაზი ქალი მოუტაცნია. ქალს სახელად მარო რქმევია. მომტაცებელს, რა თქმა უნდა, მდევრები გამოსდგომია და დასწევიან კიდევა სწორედ ბახმაროსთან. აჭარელს გადაუწყვეტია, ეს არის, ნამართმევენ ჩემი გულის დამტყვევებელს და რაკი მისი ალერსითა და სიყვარულით მე ვერ დავსტკპბი, ნურც სხვა გაიხარებსო, და ეგოისტ არშიყს თავისი მშვენიერი ტყვე მოუკლავს და მდევართათვის ოსმალურად დაუძახნია: **ბახ** (ნახე) მარო (მარო სახელია ქალისა), ე. ი. აი, მოვკალი და მიღით, ნახეთ, რაც გინძდათ, ის უყავითო. ეს ერთი ფურცელი გახლავთ ბახმაროს ისტორიისა, იმ ბახმაროსი, რომელიც მონამე იყო აურაცხელის სისხლისლვრისა და მოტაცებისა, რადგან ზემო-აჭარა ამ გზით უერთდება გურიასა და ამ ბახმაროზე გადაჰყავდათ ტყვეები და გადაჰქონდათ ნადავლი.

როლსა თამაშობდნენ. საქმე ის  
გახლავთ, რომ ამ უშველებელ ერ-  
თიანს მამულს ერისთავები უხ-  
სოვრის დროიდანვე ჰყლობდნენ.  
მოდავე არავინა ჰყოლია ამ გვა-  
როვნებას და არც არავის ფიქრად  
მოუვიდოდა, ამათ დასდავებოდ-  
ნენ. მაშ როგორ მოხდაო! — იკ-  
ითხავს გაოცებული მკითხველი.  
მოგახსენებთ.

## ერისთავების დავა

ერთ ზამთარს, როცა ბახმარო-სა და მის მიდამოებში ნადირის მეტი ძე ხორციელი არავინ დაილდა, ადგილობრივმა მეტყევემბ-ნმა ი. ქ-ძემ თავისი დარაჯები ჩა-აყენა ბახმაროს ტყეში. ეკვსი თვის განმავლობაში აქ აცხოვრა და მერე, როგორც სახელმწიფო ქონების წარმომადგენელმა, სოფ. ხიდისთავში (გურიაში) არხეინად მყოფ ერისთავებს, პატრონებს ბახმაროისას, დავა აუტეხა ეს მა-მულები სახაზინოა და უფლება არავითარი გაქვთ მისი სარგებ-ლობისაო. ერისთავებმა ჯერ სე-რიოზულად არც კი შეხედეს ამ, მათი აზრით, უსაბუთოდ ატეხილ დავას. რა საბუთით წაგვართმევს მამა-პაპიდან გადმოცემულ ქო-ნებასაო?! ხოლო ბ-ნ ქ-ძეს საბუ-თი მამულის წარმომევისა ჰქონდა და ამ საბუთსაც რუსეთის კანონ-მდებლობაში „მფლობელობის უფლებას“ ეძახია... ეს საქმე ქუ-თაისის ოლქის სასამართლოში უკვე გაირჩა შარშანდელი წლის აპრილის თვეში და ერისთავებმა წააგეს. საქმე ახლა პალატაშია გადატანილი და უწინდელი პატ-რონები თავის უფლებას ამტკი-კებენ.

მოვალეობი

გურიაში როდის მიაქციეს ბახ-  
მაროს ყურადღება, როგორც სა-  
აგარაკო ადგილსა? სულ არ იქნე-  
ბა 7-8 წელიწადი, ისიც სრულე-  
ბით შემთხვევით. აյ ზაფხულო-  
ბით ამომავალ მეგრელ მწყემსებს  
სოფ. გურიანთას მცხოვრებ ძმა-  
თა ქარცივაძეთაგან ერთს ზა-  
ფხულს ერთ-ერთი ძმა ამოჰყვა  
„საპატიოდ“, გურიანთის ციები-

საგან განსაკურნებლად. მთის ჰაერმა, საუცხოო წყალმა თავისი ზეგავლენა იქონია „მოპარეზე“ და ციებისაგან შვება-მოცემული ჩამოვიდა ბარად. მეორე ზაფხულს ძმა ამოიყვანა, ისიც მოკეთებული დაბრუნდა. მერე სხვებს ურჩიეს. ამ სახით, პიონერებად ქარცივაძენი ითვლებიან. **პირველი სახლი (ხისა) აქ ნიკიფორე ქარცივაძემ ნარმოსდგა.** ამას სხვებმაც მიჰპაძეს. სატყეო უწყების აგენტს სამოსახლო ადგილები სთხოვეს. იმანაც თითოეულს მთხოვნელს 200 ოთხეუთხი მხარი მიწა მიუზომა ორ მანეთად წელინადში. მერე ექიმიც ამოვიდა ბახმაროზე, შეამონმა ამ აგარაკის კარგი, ციების საწინააღმდეგო თვისება და თავის პაციენტებს ყველას ურჩია ამოსვლა. ამან უფრო ნააქეზა ხალხი და მიაშურეს. ამ სახით, იქ, სადაც ამ 7-8 წლის წინათ ორად-ორი სახლი იყო, დღეს სამოცზე მეტი სააგარაკო სადგომია წამოდგმული. მათ შორის 9 დუქანიცაა. თვით ბახმაროს საუკეთესო ადგილას, იქ, სადაც დღეს თ. ივ. მაჭუტაძეს სახლი აქვს და მასთან ერთად ორ-სამ სხვას, 1890 წელს მწყემსს, ვინმე ღვინჯილიას საქონელი ეყენა და მწყემსური ქოხი ედგა. სამოსახლო მინების შოვნა თანდათან ჭირდება. ზოგი ორ ნაჭერს იღებს, რაკი იაფია, ხალვათად ვიცხოვროთ.

**სახლები აქ, როგორც ვსთვეით, ფიცრულია. ხუროებად მოდიან ვაკე-ჯვრელები და აჭარლები. ოთხთვალ სახლს და სამზარეულოს (ცალკე) 300 მანეთად დაგიდგამენ თავისი მასალით, ორთვალს — 100-150 მანეთად. მასალას იქვე გვერდით ტყეში ყიდულობენ თვითონ ხუროები სახელმწიფო ქონებათა უწყებისაგან. ზოგ სახლს ბუხარიცა აქვს. ეს კია, ერთი პირი 30 მანეთი ჯდება. ერთი აგურხანაც გაუკეთებით ბუხარი კი აეაურ სახლებისათვის აუცილებლად საჭიროა, რადგან ხანდახან, როგორც, მაგალითად, შარშან, ძალზე ცივა, სითბო ზოგჯერ 8-6 გრადუსია.**



ბახმაროს მთის ჰაერით სამკურნალოდ ჯერჯერობით ამოდიან გურიის ვაკე-ადგილების ციებით დაავადებული ოჯახობანი. მომსვლელთა რიცხვი ყოველ წლობითა მატულობს. მაგალითად, შარშან ზაფხულს 1,000 სული მოპარე იყო. ამოსვლა შეიძლება მხოლოდ ცხენით. თან მოაქვთ ყველას საბან-გობანი და სურსათი, რადგან აქ სასტუმრო არ არის. უმეტეს შემთხვევაში ყოველ ოჯახობას თავისი საკუთარი სახლი აქვს. იმვიათად თუ ვინმე ჰქირაობს რთახსა. სეზონში ერთი ოთახი 20-25 მანეთი ჰქირაობს. შარშან გასაქირავებელიც არ იყო ოთახი.

ცხოვრება, შედარებით, ძვირია, რადგან ბარიდან (ოზურგეთიდან) ამოტანა სურსათისა ძვირი ჯდება. ჩალვადრებს ფუთ საქონელზე მარტო ამოტანისა 40-50 კაპ. მიაქვთ. არის აქ ცხრამდე დუქანი, სადაც თითქმის ყოველ გვარის სანოვაგის შოვნა შეიძლება. რათემა უნდა, სამი-ოთხი კაპიკი მეტი ღირს აქ საქონელი, ვიდრე ოზურგეთში. მაგალითად, გირვანქა შაქარი ოზურგეთში სამი შაური რომ ღირს, აქ 18 კაპიკად ფასობს, პური გირვანქა 6 კაპ. მერე, კარგი პურის შოვნაც ძნელია. მეტად ცუდ პურს აცხობენ აქაური მეტურენი. მეგრელ მწყემსებისაგან საკლავს იშოვით. ოყა ხორცი 20 კაპიკა. იმათვე შემოაქვთ სულგუნი (გადაზელილი ყველი) თითო 10-12 კაპ., რეგ ბოთლი ორ შაურად. კარაქი და ერბო აჭარელ მწყემსებს მოაქვთ.

**საზაფხულო სეზონი ბახმარო-**

ზე იწყება თიბათვის 20-ის შემდეგ. ამაზე ადრე აქ არ ამოისვლება, ძალზედა ცივა. ხანდახან, როგორც მაგალითად, შარშან, 12 თიბათვეს თოვლი მოსულა. სეზონი მარიამობისთვის შუარიცხვებამდე გრძელდება. ლამბლამობით სიცივეები იცის. სითბო ხშირად 8 გრადუსამდე დასულა. 32 გრადუსი სიცხე აქ მაქსიმალურია. შარშანწინ ყოფილა ასეთი სიცხე და მოაგარაკენი შინვერ ჩერდებოდნენ და ყველანი იქავ მოდებულ ნაძვნარში იმაღებოდნენ თურმე.

მოაგარაკეთათვის აქ გასართობი ჯერ არაფერია, ანუ უკეთ, თავისებური გურული გასართობია. სახელდობრ: ყოველ საღამოს ბურთაობა იმართება, რომელშიაც ბანოვანნიც იღებენ მონაწილეობას. რა სიმარტივეა ჩვეულებათა!.. სიმღერა, ფერხული, ლეკური ისეა გამართული, როგორც გურიის რომელსამე სოფელში დღეობის დროს. ერთმა მასწავლებელმა კეგლი გააკეთა და ბუზივით ეხვეოდნენ ქალი თუ კაცი. დიდ პატივშია ნარდისა და ქალალდის თამაში.

სასეირნო და თვალის სასეირო ადგილები აქ ბევრია. გარშემო მდებარე მთები: ბაისურა, განდრეკილი, ფაფარა, საყორნია და მათი კალთები მშვენიერი სასეირნო ადგილებია. ბახვის წყალი, სადაც მხოლოდ კალმახები იცის, მშვენიერი საბანაოა. ცივი წყაროები ყოველ ნაბიჯზეა. მათ შორის ერთია შესანიშნავი, ეგრეთ წოდებული „გურიელის საცივი“ (სა-



ცივს გურიაში წყაროს ეძახიან), ბახმაროს ჩრდილოეთით, მაღლობზე. ამ წყაროს წყალს 4 გრადუსი-ლა აქვს სითბო. როგორც აქაურები მოვითხრობენ, ადრე გურიის მთავარი სანადიროდ სოფ. ასკანიდან (20 ვერსია ბახმაროდან) რომ გამოვიდოდა, სადილობისას ამ ადგილას აატანდა და სადილს ამ წყაროსთან მიირთმევდა და სახელიც აქედან დაერქვა ამ საცივესაო.

ექიმი ბახმაროზე არ არის. ჩემს იქ ყოფნაში ერთი ბებია იყო და ერთიც ფერშალი. ბებიას, რა თქმა უნდა, პრაქტიკა ნაკლებად ჰქონდა, ხოლო ფერშალი კი ქინაქინას ბევრს ასაღებდა, იმიტომ, რომ ჩუმი ციება ვისაც კი აქვს ტანში, აქ რომ ამოვა, უსათუოდ უნდა გამოაჩნდეს. როცა ბახმარო გაიზრდება, შესაფერისი გზა გაუკეთდება. აქ ამოსვლას შემთხვევითი ხასიათი არ ექნება, მაშინ, უეჭველია, თავისი ექიმიც გაუჩინდება, რაიცა მოაგარაკეთათვის აუცილებლად საჭიროა. ამბობენ, აზრადა აქვთ — ბათომის ლაზარეთიც, სადაც ციებიანი ბევრია, ზაფხულობით აქ ამოიტანონ ხოლმეო.

ბახმაროზე ყველაზე თვალსაჩინო ნაკლიუნიგნსაცავობაა. გაზეთები ბევრსა აქვს გამონერილი, მაგრამ საქმეს მათი მიღება აჭირებს. მეტად უწესრიგოდ ამოაქვთ ხოლმე. შარშან ზოგიერთმა მანდილისნებმა ითავეს, ეს ნაკლი ბახმაროს შემდეგისათვის მაინც ააცილონ თავიდან და მომავალ წიგნსაცავის სასარგებლოდ ხელისმონერით ფულიც კი შეჰქრიბეს. ჰეთიქრობენ, სოფ. ასკანის წიგნსაცავის უურნალ-გაზეთები ზაფხულობით ბახმაროში დაიბარონ და ამისთვის საკუთარი კაციც დაიჭირონ.

ისე მოჰაერეთა გარდა აქ ამოდის მაზრის უფროსი, თან მოსდევს ერთ-ერთი ბოქაული, რომელიც წესრიგსა იცავს. შიში ფირალებისა სრულებით არ არის, თუმცა ბახმაროს გარშემო ტყე და ტიალები აკრავს და 20 კილომეტრის სიახლოეს სოფელი არ არის. ყველანი უდარდელადა

**ცხოვრობენ. ჯერ მაინც მაგალითი არა ყოფილა, რომ ვინმე გაეძარცვათ.** ზამთრობით კი ცარიელდება აქაურობა, ძე-ხორციელი არა დგება, სახლები უპატრონოდ რჩება. ამ უპატრონოდ დაგდებულ სახლებს მეჯოგენი რაზაკოჭებს აცლიან, და, თუ ადრეული ზამთარია, თავის კარვებს თავს ანებებენ და სწორედ იმ ოთახებში, სადაც ამ ერთი თვის ნინათ განცხომითა ვცხოვრობით, საქონელს აყენებენ...

## ბახმაროს საძოვრები

ბახმაროს, როგორც ვსთქვით, გარეშემო საუცხოო ალპური საძოვრები აკრაეს, სადაც საზაფხულოდ მეგრელი მწყემსები მოერეკებინან ჯოგს, განსაკუთრებით ძროხისას. პირველში გამიკვირდა კიდეცა: სად გურიის საძოვრები და სად მეგრელი მწყემსები-მეთქი! საქმე ის გახლავთ, რომ გურულს მწყემსობა სათაკილო ხელობად მიაჩნია, გურულმა რომ ძროხა მონველოს, ესე იგი, სადედაკაცო საქმე რომ გააკეთოს, ყველასგან ყბადასაღები გახდება, მისი აზრით. ჯოგის უკან დევნა, მეჯოგობა გურულის აზრით, სააუგო ხელობაა, ადამიანის ლირსების დამამცირებელი. გარდა ამისა, მეჯოგის უზრდელობა ცნობილია. თვითონ სიტყვა „მეჯოგე“ ლანძღვის სიტყვად არის ქცეული. „ნამდვილი მეჯოგეა“ იტყვიან, როცა ვისიმე უზრდეოლბა ჰსურთ გამოხატონ. სხვათაშორის, მიზეზიც ეგ უნდა იყოს იმისა, რომ ოზურგეთის მაზრაში საქონლის მოშენებას უკანასკნელი ადგილი უჭირავს მთელ გუბერნიაში. მაგალითად, როგორც 1896 წლის ანგარიშიდანა სჩანს, ოზურგეთის მაზრაში ცხენები ჰყოლიათ 3,469, ჯორები — 139, სახედრები — 37, ხარები და ძროხები — 13,451, კამეჩები — 139, ცხვარი — 66, თხა — 3,435 და ღორები 32,938, სულ 53,674 სული საქონელი.

საზოგადოდ, გურიაში საქონელი იმდენი ჰყავთ, რომ ოჯახში საჭიროებისათვის ეყოთ. გასასყი-

დად საქონელს არ აშენებენ და, მაშასადამე, არც საზაფხულო იალაღებზე ადიან. ასე და ამგვარად, მწყემსობა აქაურს მთებზე მეგრელების მონოპოლიად გამხდარა. უმეტესად მწყემსებისა ზუგდიდის მაზრიდანა წამოსული, საკუთრივ შემდეგის სოფლებიდან: ჯგალიდან, წალენჯიხიდან, კორცხელიდან, ესე იგი იმ ადგილებიდან, სადაც მკვიდრნი საქონლის მოშენებას მისდევენ. განსაკუთრებით აქ ბევრ მწყემსს შეხვდებით კვარაცხელიას გვარისას. ეს გვარი გურიაში საერთო გვარად გამხდარა მწყემსებისათვის. მწყემსს რომ შეხვდება გურული, ჰკითხავს, კვარაცხელია ხომ არა ხარო? ყველანი მესაკუთრენი არიან. მათში მდიდრებიც ბევრი ურევია. ზოგსა ჰყავს: 100 ძროხა, 60 ცხენი, 400 თხა. წარმოიდგინეთ, აჭარის საზღვარზე ღორის კოლტიც კი გაუჩინიათ, რასაც მეზობელი აჭარელი, რა თქმა უნდა, გულგრილად ვერ შეხედავს.

საძოვრებს მწყემსები იჯარით იღებენ ხაზინიდან მთელი ზაფხულით. ზოგი მთელ მთაში სამას მანეთს იხდის. მერე კერძოდ ვინც მიაბარებს საქონელს, მწყემსს მოსამწყესავს აძლევენ საქონლის რიცხვის კვალობაზე. მაგალითად, თითო ცხენზე 2 მ. აძლევენ და სხვ. რჩებიან აქ თითქმის ხუთი თვე, მაისიდან მოყოლებული. სანამ კარგად არ დასთოვს, აქაურობას თავს არ ანებებენ. ბარად (გურიაშივე) ღვინობისთვეში ჩამოდიან. აქ კი კერძო მემამულებთან არიან დაბინავებულნი, ან და სახელმწიფო მამულებზე სხვილფეხა საქონელზე ორ აბაზს იხდიან, თხაზე ორ შაურს. უმეტესად ჩოჩხათის საზოგადოებაში თ. ჯამბაკურ გურიელის და მისი ძმების მამულებში დგანან გიორგობისთვიდან ვიდრე მეორე წლის მაისამდე. მსხვილფეხზე და დოჩზე (დიდი ხბო) იხდიან - 1 მან., წვრილფეხა საქონლის შენახვისათვის თხუთმეტში ერთს აძლევენ. გარდა ამისა, დგანან სოფ. გურიანთას და მდ. ჩოლოქის ორსავ ნაპირებზე, შავის ზღვის პი-



რად, სადაც ზამთრობით უფრო თბილა.

აქაური მწყემსები ზოგი 30 წელიწადია, რაც აქეთკენ დადიან. გურიაში ომამდე ჰქონდათ გზა გაკაფული. ზოგი სამი წლობით არ ბრუნდება სამშობლო სოფელში. ისე კი რიგორიგობით დადიან სახლში დიდ დღესასწაულებში: კალანდას (ახალწელიწადს), აღდგომას და სხვ. ისეთებიც არიან, რომ აქ სახლეარდებიან და სამუდამოდა რჩებიან. საქონელს იმავე პრიმიტიული წესით უვლიან, როგორც მათი მოძმენი სამურზა-ყანო-აფხაზეთისა. თავისთვის თუ იკეთებენ კარავსა, რაც, აქაურ ტყის სიუხვეში, იაფი ჯდება, თორემ საქონელი ზამთარ-ზაფხულ ცის ქვეშა ჰყავთ, დარსა თუ ავდარში, უბინაოდ. საცოდავ პირუტყვას ზედ დასდის წვიმა, თოვლი, ნეხვში წევს, არავინა წმენდს, ითმენს სიცივესა და ყოველსავე გაჭირვებასა. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებს თავისი გავლენა აქვს ხოლმე მათი ხორცისა და რძის რაოდენობასა და ლირსებაზე, ყურადღებას არავინ აქცევს თორემ.

რძისაგან აქ მხოლოდ ერთნაირ ყველს აკეთებენ — **სულგუნს**, ანუ, როგორც აქ ეძახიან, **გადაზელილს**. ასაღებენ მომეტებულად ბარელ გურულებზე, რომელთაც აქ ზაფხულობით სიმინდის ფქვილი ამოაქვსთ ხოლმე და იმაში უცვლიან. ქილა ფქვილს 80-90 კაბიკის ანგარიშში აძლევენ, ხოლო თითო გადაზელილი, რომელიც გირვანქაზედ ცოტა ნაკლებს იწონის, ორიშაურის ანგარიშში მიაქვთ. შრატისაგან ნადულს (ხაჭოს) აკეთებენ, მაგრამ უფრო შინაურობაში სახმარად. რძესა და მანონს ბახმაროში ჰყიდიან მეპარეებზე. კარაქის კეთებას სულ არ მისდევენ. ხოლო ზედმეტს ხარსა თუ ძროხას საკლავადა ჰყიდიან ბახმაროშივე.

## მემრელი მეჯოგენი

ბახმაროში მოჰაერეთა შორის მეგრელი მწყემსები ხშირად გამოჩენდებიან ხოლმე. ადვილი საცნობებიც არიან, სხვებში მეტად მაღალი გადასახლებას მისამართობოდ.



**ერჩევიან:** ტლანქი მიმოხვრა, მოკლე, წყლისფერი ჩოხა, ჯვარული შალისა, ტყავის ჩაფულა, მოკლე, ჯვარული ნაბადი, მოწითანო ფერისა და დაცხავებული, წონოლა ქუდი ნაბდისა ან დაგლეჯილი ყაბალახი, მაცდური თვალები და ხელში ნაძვის ჯოხი, თეთრად გათლილი. ბახმაროს ყველა მწყემსის ბელადად უზა (სახელია) კვარაცხელია ითვლება. იმას მთელი ბახმარო იცნობს თავის ბრტყელ-ბრტყელი და ცინიკური ლაპარაკით. მაგრამ, საკვირველია, ამდენი ხანი აქაცხოვრობენ, გურიაში ტრიალებენ და ქართული მაინც ჯვარულის (სოფელია ზუგდიდის მაზრაში, იქაურები ლაპარაკში კილოს უქცევენ) კილოთი უნდა იღაბარაკონ. ასე ლაპარაკობდა უზაცა. ერთ დღეს მეც გამაცნეს ბახმაროს ეს გმირი. გამოვეხმაურე მისებურად, რამაც დიდად გააოცა, ვკითხე სადაურობა, როგორ მყოფობა. ჯერ მეგრულად მელაპარაკა. მიქო ბახმარო იმ დროისა, როცა აქ არავინ დადიოდა, არც ქალები ამოდიოდნენ და არა „სთვალამდნენ“ აქაურობასაო. მერე სხვების გასაგონად თავისებური ქართულით მითხოვა: „ქალემქ რომუ გაჩიდენ აქანა, ნახითა და მოგვესიპა, ბატონო, საქიმე: ნადირიქ გეიქცა, ხორიცი გოუფუჭდა, სემილარისტი (ვითომ, ნასნავლი) ქალებიქ აქური გოლეფა (მთები) რომუ ნახესუ და დათვალესუ, ყოლიფერი ნახითა. არ ღირს აქანა ყოფნა, ბალახი კიდო სუნთელი გაფუჭდა...“

ესე იგი ნასნავლმა ქალებმა დაიწყეს აქ სიარული და ყველაფერი დათვალესო (თვალი ჰკრესო): ბალახი, ნადირი, მთა, წყალიო. ქალის ნახვას მთა არა ჰგუმბსო, ქალმა თავი არ უნდა აჩვენოსო. როგორც ნადირი თვალს მოჰკრავს ქალსა, მის ხორცს წინანდელი გემო ეკარგებაო. ბალახსაც ძალა აკლდება, ისე ვერ ასუქებს საქონელსაო. ქალების თვალებსა აქვთ ასეთი ძალაო.

უზასა სწამდა, რასაც ამბობდა. და მე იძულებული ვიყავ, ბოლომდე მომესმინა მისი ფილოსოფია.

## უზას მასპინძლობა და მზის ამოსგლა ბანდრეპილზე

მესამე დღე იყო ჩემი იქ ყოფნისა. საშინელმა მოწყენილობამ აგვიტანა. ახლო-მახლო ყველაფერი ვნახეთ, თითქმის ყველა გავიცანით. გადავწყვიტეთ ბახმაროს ალმოსავლეთით მდებარე განდრეკილის მთაზე ასვლა და მზის ამოსვლის დიდებული სურათის ნახვა. ნასასვლელად ოთხნი მოვემზადენით. ბახმაროდან სალამოს რვა საათზე გავედით, თვითონ განდრეკილის ძირას, ბახმაროდან ორი კილომეტრის მანძილზე ჩვენს ნაცნობს მეჯოგეს უზა კვარაცხელიას ეყენა ჯოგი. ლამე აქ უნდა გაგვეთიადა დილის 2 საათზე შევსდგომიდით მთას, რომ 4 საათისათვის, ესე იგი, როცა მზე ამოდიოდა, მაღლა ვყოფილიყავით.



ნახევარ საათის განმავლობაში უკვე უზას კარავში ვიყავით. შეგვიპატიუა, მაგრამ მის შეპატიუებას რაღაც ნაძალადეობა ეტყობოდა. აქ უკვე გამქრალია ის გულწრფელი სიხარული, სტუმრის დანახვით აღძრული, რასაც მგზავრი სხვაგან მთებზე შენიშნავს. აქხალსის სიახლოვეს გავლენით ფულის სიყვარულს სტუმრის სიყვარული მეჯოგის გულიდან განუდევნია. კარავში ბარე 15 კაცამდე დაგვიხვდა, დიდი და პატარა. უზას ორი ძმაცა ჰყოლია და სულ ერთადა მდგარან. სამსავე ძმას შეძლებულ მწყემსების სახელი აქვთ.

მჭვარტლისაგან გაშავებული კარავი ნაძვის მრგვალ ძელებისაგან არის შეერული, ჯარგვალის მსგავსად; ზევიდან ნაძვის ყავრით გადაუხურავთ. ქოხის ავეჯს შეადგენს: დაძონძილი ორიოდე საბანი, შავი, მსუბუქად გაჩორკნილი ფიცრები ტახტის მაგივრად, კეცი, თუჯის ქვაბი, ბუყუნი მაწონისათვის, ტაბაკი, რამოდენიმე თეფში და ხის კოვზები. ეს არის და ეს. ამ ჭვარტლის და სიბინძურის სამეფოში ერთ კუთხეში თახჩაზე ეგდონ. გოგებაშვილის „კონა“ და ზოგირამ რუსული სახელმძღვანელო წიგნები. თან გვესიამოვნა და თანაც გაგვიყვირდა. თურმე ამ კარავის წევრთაგანი ერთი ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში ყოფილა, მეორე — იქავე სასულიეროში. უზა ერთსაც ბათუმის გიმნაზიისათვის ამზადებინებდა... უზა მეტის მეტი ფულის მოყვარული და თანაც უსწავლელი რომ იყო, ვიცოდით. გამიკვირდა მისი სიუხვე. ჩემს კითხვაზე ამ საგნის შესახებ, დაახლოებით, შემდეგი მიპასუხა: „ხომ ხედავ, ბატონო, რა ცხოვრებას ვენევით! ჩვენი ცხოვრება რა ცხოვრება! ჩვენთვის სიხარულის დღე იშვიათად გათენდება, სულ ტანჯვა, ჯაფა, სიცივე, ვაგლახი. ხან მთელი ორი დღე არა მძინავს ხოლმე. რისთვის? იმისათვის, რომ უსწავლელი ვარ. მამა-ჩემს არც ფული ჰქონდა, არც მისი ჭუა, რომ ჩემთვის ორი ანბანი ესწავლებინა. მეჯოგობა იცოდა და მეც ეს მასწავლა.

ღმერთისა და თქვენი წყალობით ორიოდე სული საქონელი მყავს, ყოველ ნლობით ორიოდე გროშს ავიღებ. ვიცი, რომ თუ ჩემს შვილს ვასწავლე, ერთ დღეს თქვენსავით „ჩინონიკი“ იქნება, ჭუაც ექნება და ფულიცა. ჩემი ხელობით შორს ვერ წავა. თუ „ორი ღერი“ წიგნი არ ისნავლა, კაცი მჭადს არ მოუტეხს. ამიტომ, მე დავიკლებ, უჭმელი დავრჩები და იმას კი რამეფრად „კლასს“ გავათავებინებ“. როცა ვუთხარით ჩვენი მოსვლის აზრი, ფრიად გაიოცეს. მთაზე და მერე ღამით რა გინდათო? მზის ამოსვლა რომ ვახსენეთ, სიცილად არ ეყოთ: მზეს ბახმაროდანაც დაინახავდითო. ჩემი უბის წიგნი და ფანქერი რომ წახა უზამ, დაასკვნა, „მთის ასაწერად“ მიდიონო და თავისიანებს ისე გააცნო ჩვენი თავი. რაუი არ იშლით და მაინც და მაინც გინდათ წახოთ, მარტო ვერ გაგიმვებთ, კაცსა და ძალლებს გაგაყოლებთ, თორემ ან გზა დაგეკარგებათ, ან „უნმინდური“ (დათვი) შემოგხვდებათ და დაგამარცხებთო, აქ დიდალი იცის დათვები, ჩვენი მსახურების სურვილი განაცხადა უზამ. ჩვენ, რა თქმა უნდა, მადლობა გადაუხადეთ. მხოლოდ მერე ვინანეთ, რომ მადლობა ტყუილად დაგვეკარგა.

ვახშმობის დრომ მოატანა. გვასვეს რძე, შემოგვთავაზეს მანონი, გადაზიელილი, ტალახის მსგავსი ღომი სიმინდის ფევილისა. კვამლმა სული ამოგვართვა, ნავახშმებს თვალის მოსატყუებლად მივწექით ტახტზე. უზა დაგვირდა, თავის დროზე მე გაგაღვიძებთო. ის კი არა, გულში სხვა სდებია. მაინც ვერ დაერნმუნებია თავისი თავი, რომ ჩვენ მართლა გვწაფდა მთაზე ასვლა. ჩემს თანამგზავრებს ჩაეძინათ. მე კი კვამლმა აღარ დამაძინა, მხოლოდ თავი მოვიმძინარე. კერის პირას უზა და მისი ერთი ძმა დიდ ხანს ლაპარაკობდნენ. მათი ლაპარაკის საგანი ჩვენც ვიყავით. რა თქმა უნდა, სასიკეთოდ არ მოვუსენებივართ, სთქვეს: დაეძინებათ, ჩვენ არ გავაღვიძოთო, მანამდე მზეც ამოვა და ესენი არ წავლე-

ნო. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ სულ გამიკრთა ძილი.

ორის ნახევარზე წამოვდექით. ველოდით, უზა კაცს გაგვაყოლებს, გზის მაჩვენებელსაო. ეს კი საჭირო იყო, რადგან მთაზე ათასი ბილიკებია, თუ ერთს ასცდით, დიდს ხანს მოგიხდებათ ხეტიალი უგზო-უკვლოდ. მაგრამ უზამ ისე დაიჭირა თავი, თითქო არაფერს დაგვპირებოდა და თითქო არც ჩვენ გვეთქვას მადლობა წინდანინვე. მერე ძალის-ძალით გამოვართვით სატევარი, თორემ იმასაც არ იძლეოდა. არც ძალები გამოგვაყოლა...

შევუდექით აღმართს. გზას გვინათებდა ცისკრის ვარსკვლავი. ჩუმი და მშვიდი ღამე იყო. ცა ისე იყო მოჭედილი ვარსკვლავებითა, რომ ერთი ხელის დადება ადგილი არ დარჩენილიყო თავისუფალი. სიჩუმეს მხოლოდ შორს ბახვის წყალის ჩხრიალი არღვევდა. მისი ხმა ბახმაროს გარშემო შემორკალულ მთების კალთებსა ჰკოცნიდა. ათასში ერთხელ უზას ქოფაკების ხმაც ამოატანდა ჩვენამდე. ჰაერი მეტად წმინდა იყო. გზაში ბალახით გამომძლარი ცხენი შემოგვევდა, ერთს ალაგას გაჩერებული. უზასაგან დაშინებულებს ცოტა გვეყო, რომ უწყინარი ცხენი დათვად დაგვესახა. სატევრის გარდა თოფიც მოგვქონდა. ერთმა თოფიანს დაუძახა:

- ვასო!
- თოფი სადა გაქვს?
- ზურგზე.
- პატრონა არის შიგ?
- არა.
- სადა გაქვს?
- ჯიბეში, ცხვირსახოცში გამოვკარი.

ამასობაში თვითონ ცხენმა გვისნა გასაჭირისაგან. ჩვენს ლაპარაკზე დაფრთხა და გზა გასწმინდა. ხოლო ჩვენ სიცილი აგვიტყდა და მეთოფურს ქება ვუთხარით ასე „მარაგად“ ყოფნისათვის...

4 საათზე მთას მოვექცით. შევისვენეთ, მაგრამ სიცივე ძალზე იკინებოდა. ხუთის 40 წუთზე მტრედის ფერ ღრუბლებს მზის შორეული სხივები მოხვდა. ცისკი-დურს, თითქო უმანკო ქალიაო,



მზის სხივების მოხვედრაზე შერცხვა, ბაგე-ტუჩები ვარდისფრად შეეღება. მთლად მიდამო ვარდის ხავერდს დაემსგავსა. ბოლოს თვით გამომგზავნი ამ სხივებისა გამოჩნდა. უმანკო იყო ბუნება, დედამინა, რომელზედაც ჩვენ ვნებივრობდით. მთის ზურგი უთვალავ ალმასებად აბრჭყვიალდა. ამონვერილი მზის სხივნი ჰკრთოდნენ, თითქო გვეალერსება და კდემამოსილი საგალობრელს გვიგალობსო. გარშემო გამეფებულს დუმილს არაფერი არღვევდა. თვით ჩვენ სულგანაპულნი შევცეროდით ამ დიდებულ სურათს ბუნებისას. ჩვენი სახე, თვალები ერთიანი გამომეტყველება იყო იმ უზომო აღტაცებისა, რომელმაც მთელი ჩვენი არსება მოიცვა. მზის სხივთაგან განათებულ „საყორნი-

ას“ მთამ საოცნებო სახე მიიღო. შორს ლაპლაპი დაიწყო შავშეთის თოვლიანმა მწვერვალებმა.

მზემ ცოტ-ცოტად ქვეყანა გაათბო. ჩვენც ტკბილად დავიძინეთ ნახევარი საათით. უკან შურდულივით დავეშვით. უზამ საუზმედ დაგვახვედრა რძედა მაზონი. აქეთობას ვნახეთ ბახმაროს ჩრდილოეთით მდებარე სერი ფურნია, საიდანაც მკაფიოდა სჩანს მთელი ბარი გურია-სამეგრელოსი და შავი ზღვა. მაგრამ მანამდე ნისლიც აირია და ხშირი ნაძვნარით ბახმაროში დავეშვით.

ის იყო და ისადარმა ჩხირი მოგვატეხა. დაიწყო წვიმა, ნისლი, წვიმა, ნისლი, დაიჭირა სიცივე. ვიფუთნებით საზამთრო ტანისა-მოსში და ეს — 31 მკათათვეს!

**საშინელია ავდარში აქაურობა,**

როცა კოკისპირულად ასხამს ზევიდა! მეხი ისე ახლოს ვარდება, გეგონებათ, ეს არის, თავზე დამატყდაო. ამ დროს, უკუნ ღამეში, როცა თვალთან თითს ვერ მიიტანს კაცი სიბწელისაგან, იელავს, მაგრამ მერე უარესად ჩამობნელდება, მეჯოგე დაძრნის კლდე-ლრეში და ეძებს გარედ დარჩენილ საქონელს, თან გულშემზარავი ხმით ღრიალებს... საქონელს უძახის... ან დათვს ეომება... უნდა ერთხელ გაიგონოს კაცმა ეს ხმა, რომ სავსებით იგრძნოს მისი შემზარავობა...

ცოტათი გამოიდარა თუ არა, საშინელი ქარი ატყდა. გვეგონა, ამ სახლებსაც წაიღებსო. თავი დავუკარი აქაურობას, მეტი დარჩენა არა ღირდა. გზა აჭარისაკენ უნდა განმეგრძო.

ჩვენი წერილების სისრულისთვის აქა გვსურს ორიოდე სიტყვა ვთქვათ, ანუ უკეთ, ციფრები ვალაპარაკოთ ჩვენს მაგივრად გურიაში სწავლა-განათლების შესახებ. ეს ციფრები, ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად მტერმეტყველურად ლალადებს საქართველოს ამ კუთხის გონების დაწინაურების შესახებ. განსაკუთრებით ვაკვირდებოდით ამ მხარეს და შევნიშნეთ, რომ იმვიათი არ არის ისეთი სოფელი, სადაც წერა-კითხვა მხოლოდ ზოგიერთმა 40 წელს გადასულმა თუ არ იცის. ცნობებს ამისათვის ვიღებთ ოზურგეთის მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურის და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის 1896 წლის ანგარიშებიდან.

თანახმად ამ ანგარიშებისა, მთელს მაზრაში, სადაც 25 საზოგადოება და 100 სოფელია, 1896 წელს ითვლებოდა: 1 სასული-

ერო ოთხ კლასიანი სასწავლებელი (ქ. ოზურგეთში), 33 - სამრევლო-საეკლესიო სკოლა, 13 - წერა-კითხვის სკოლა (სასულიერო უწყებისა); საერო განათლების სამინისტროს უწყებისა: 1 სამოქალაქო სასწავლებელი (ქ. ოზურგეთში), 1 სამოქალაქო ორკლასიანი, ქალებისათვის (ოზურგეთშივე), 1 სასოფლო ნორმალური სასწავლებელი, 12 — ორკლასიანი და 1 კერძო სასწავლებელი (ბახვში). ყველა ამ სასწავლებლებში საანგარიშო წლის გასულს სწავლობდა მამრობითის სქესისა 2,550 ყმან., მდედრობითისა 283, სულ 2833 ყმანვ. ორისავ სქესისა.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ სკოლებთან ერთად სოფლებში არა ერთგან და ორგანაა გახსნილი წიგნსაცავები, საიდანაც წიგნებს ეზიდებიან სოფლები და სკოლაში შეძენილ ცოდნას უფრო იმტკიცებენ.



ქეთი ჭელიძე

# განვითარებული გუა საკუნძულის ხარითოძლვაბა

შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების მეორე აყვავების ხანა X საუკუნის მეორე ნახევრიდან XIII-XIV საუკუნეთა მიჯნამდე პერიოდს მოიცავს. მისი დიდი ნაწილი საქართველოს გაერთიანებული სამეფოს არსებობის ხანას მიეკუთვნება, ქრონოლოგიურად ემთხვევა დასავლეთ ევროპაში რომანული ხელოვნების საუკუნეებს და გოთური ხელოვნების დასაწყისს. პირველი ნიმუშები, რომლებიც ამ ეპოქას შეიძლება მივაკუთვნოთ, ჯერ კიდევ ატარებს გარდამავალი ხანის ნიშნებს, მაგრამ, მეორე მხრივ, მათში უკვე საკმაოდ ნათლად იჩენს თავს ახალი სტილის ნიშნებიც.

კუმურდო ამ დროის — X საუკუნის შუა ნილების — ტიპური მაგალითია.

**კუმურდოს** შესანიშნავი ტაძარი ჯავახეთში, ახალქალაქის მახლობლად მდებარეობს. ეს შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ერთი მნიშვნელოვანია, როგორც მხატვრული ლირსებებით, ისე ტექნიკური შესრულების დონითაც.

კუმურდოს გეგმაში თითქოს შეთავსებულია ნარსული და მომავალი — მრავალფასადიანობა, რომელსაც არ გადმოუღწევია X-XI საუკუნეთა მიჯნის აქეთ და ნაგრძელებული სწორკუთხა გეგმა დამახასიათებელია მთელი მომდევნო ხანის საეკლესიო არ-

ქიტექტურისათვის.

გარეგნული იერით კუმურდო უკვე ახალ დროს მიეკუთვნება. ამას მოწმობს აზიდული პროპორციებიც, აღმოსავლეთისა და გვერდის ფასადების სამკუთხა ნიშნებიც (მოტივი, რომელიც შემდეგ დიდად გავრცელდა), სარკმელთა მოჩუქურთმებული საპირეებიცაა და ჩუქურთმიანი ჯვრებიც. ჩუქურთმის კვეთა ფაქიზია, განსაკვიფრებლად რაფინირებული.

კუმურდოს კედლები გვხიბლავს თავისი ფერის სილამაზით: პერანგის ქვა მოვარდისფროა, ლრმა, ინტენსიური ტონის: აქა-იქ კი თითქოს შემთხვევით (სინამდვილეში კი მოფიქრებულად) „ჩანვეთებულია“ სისხლისფერი „ლაქები“.

**ოშკი** კიდევ უფრო მეტად უახლოვდება ახალი დროის ნორმებს. ოშკის მონუმენტური საეპისკოპოსო ტაძარი (სამხრეთ საქართველო, ტაო) მთიან ადგილას მდებარეობს, თორთუმის წყლის მარცხენა მაღალ ნაპირზე. შენობა აგებულია საგანგებო სუბსტრუქციაზე, რომელიც სამარხებია მოწყობილი. ძეგლის აგების შესახებ მოგვითხრობს სამხრეთის კედლის წარწერა, რომ დამფუძნებლები ყოფილან ტაოს მფლობელი ბაგრატიონები. ტაძრის მშენებლობის დაწყების თარიღია X საუკუნის 50-60-იანი წლები.

ოშკის გეგმა ჯვარისებრი მოხაზულობისაა; ეს არის ტრიკონქი, ანუ ჯვრის სამი მკლავი — აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის — ნახევარწრიული აფსიდებით მთავრდება, მეოთხე კი — დასავლეთისა — წაგრძელებული და ერთნავიანი, უაფსიდოა. სამივე აფსიდის ერთსა და მეორე მხარეს ორსართულად მოთავსებულია დამხმარე სადგომები. ჯვრისებრი მოხაზულობა შენარჩუნებულია გარედანაც, მაგრამ აფსიდების სიმრგვალე არ მულავნდება.

ტაძარი თავისი სიდიადით ბევრად სჭარბობს წინა დროის ძეგლებს და პროპორციების მხრივაც ახალი დროის ტიპური ნაწარმოებია: კედლების სიმაღლე, შენბის კორპუსის სიგანესთან შეფარდებით, გაიზარდა; გუმბათის ყელი დიდად ამაღლდა, წინანდელ გუმბათის სყელთა გეომეტრიულად მკაფიო რვანახნაგამ ადგილი დაუთმო ცილინდრს, რომელიც გრეხილი ლილვებითა და დეკორაციული თაღებით 24 არედ იყოფა. იმატა სარკმელთა რაოდენობამ. თუ წინათ ოთხი იყო, ახლა თორმეტია. ტაძრის ფასადე-



კუმურდო



ბიც დეკორაციული თაღებითა და პილასტრებით (კედლის სვეტი) არის შემკული.

რელიეფის სიმდიდრით ოშეს ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს შუა საუკუნეების ქართულ ტაძართა შორის.

ოშეის გარეგნული სახის ყველაზე დამახასიათებელი მოტივია სამგზის განმეორებული კომპოზიცია ხუთი დეკორაციული თაღისა. ამ თაღებში ჩართულია ორორი სამკუთხა ნიში. ეს სისტემა ხუთი თაღისა და ორი ნიშისა გადაიქცევა XI-XII საუკუნეთა მრავალგუმბათიანი ტაძრის აღმოსავლეთ ფასადთა ტიპურ კომპოზიციად.

პირველი ღირსშესანიშნავი ძეგლი, რომელიც XI ს-ის მიჯნაზე შე-

იქმნა, ქუთაისის **ბაგრატის ტაძრის**. თავისი ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობით მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შუა საუკუნეების მთელ ქართულ ხელოვნებაში. ტაძარი მდებარეობს მთაზე, რიონის მარცხენა ნაპირას.

ბაგრატის ტაძარი ტრიკონქის ტიპის ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა. გუმბათი ოთხ მძლავრ ბურჯს ეყრდნობოდა, კვრის შვერილი მკლავები გარედან სწორკუთხა, შიგნით კი (აღმოსავლეთ, სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეს) — ნახევარწრიული აფსიდებით იყო დასრულებული. შიგნითვე დასავლეთის მკლავს შემოუყვებოდა პატრონიკები — გალერეა, სა-

დაც წირვა-ლოცვისა და დღესასწაულების დროს მეფე-დედოფალი და დიდებულები იდგნენ.

შენობის გარეგნული იერი მონუმენტური და დიდებულია, იმავე დროს, მრავალფეროვანი და დინამიკური: შვერილი მკლავები, დასავლეთის კოშკიანი ფასადის ასიმეტრიულობა, კარიბჭეები, დეკორაციული თაღები (აღმოსავლეთ ფასადზე ჩვენთვის უკვე ცნობილი კომპოზიცია ხუთი თაღისა და ორი ნიშის), ჩუქურთმიანი სამკაული ქმნის ტაძრის ცხოველხატულ სახეს. გასაოცარია შენობა პროპორციების დახვეწილობით, პროფილების, სამკაულთა, თაღების შესრულების თავისუფლებითა და არტისტიზმით, კონსტრუქციების სიმსუბუქით, — ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა განსაკუთრებული სინატიფის ორმაგი სარკმლები აფსიდებისა.

**ალავერდის** საეპისკოპოსო ტაძარი აგებულია XI საუკუნის პირველ მეოთხედში. იგი კახეთში მდებარეობს, თელავიდან 18 კილომეტრის დაშორებით. ვაკეზე დგას და თავს დაჰყურებს ალაზნის ველს — მისი ცადანვდილი წვეტიანი სახურავი და თეთრი კედლები ყოველი მხრიდან ჩანს. ეს ერთი ულამაზესი ადგილთაგანია ჩვენს ქვეყანაში. თვით ალავერდის ტაძარი საქართველოს ყველაზე მაღალი ეკლესია (გუმ-

## ოშე





ბათიანად 50 მეტრს აღემატება).

შენობის გეგმას საფუძვლად უდევს ჯვარი, რომლის სამი, ერთმანეთის ტოლი მკლავი ნახევარწრიული აბსიდებით მთავრდება და ქმნის ე. წ. ტრიკონქს. დასავლეთის მკლავი ნაგრძელებულია, აქვს გვერდის ნავები. საკურთხევლის აბსიდის ორსავე მხარეს მოთავსებულია სამკვეთლოსა და სადიაკვნეს ოთახები. გარედან შენობას სწორკუთხა მოხაზულობა აქვს. ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე აღმართული გუმბათი ოთხ ბურჯს ეყრდნობა. ჩრდილოეთით, სამხრეთითა და დასავლეთით ტაძარს ღია გალერეები ჰქონდა, რომლებიც XIX საუკუნის დასაწყისში დაუნგრევიათ. ამ სამ მხარეს არის მოთავსებული ტაძრის შესასვლელებიც. შიდა სივრცე გამოიჩინა გრანდიოზულობითა და დახვეწილი პროპორციებით. ინტერიერს კარგად ანათებს ფართო კარ-სარკმლებიდან უხვად შემოსული სინათლე (გუმბათს 16 სარკმელი აქვს). მონუმენტური ფასადები ძუნად არის მორთული (ეს კახეთის ძეგლების საერთო თავისებურებაა). დამახასიათებელია აღმოსავლეთი ფასადის აგებულება — ხუთი დეკორატიული თაღი და ორი ღრმა სამკუთხა ნიში.

## შაბრანის ტაძარი



საუკუნეთა მანძილზე აღავერდი განსაკუთრებული სახელით სარგებლობდა. იგი წმიდა გიორგის სახელობისაა.

XI საუკუნის მესამე ფუძემდებელი ძეგლი, რომელშიც ეპოქის სტილმა, აგრეთვე, მკაფიო გამოხატულება ჰპოვა, მცხეთის საკათალიკოსო ტაძარი **სვეტიცხოვისი** — კელია — ყველაზე დიდი საეკლესიო ნაგებობა საქართველოში დღემდე გადარჩენილთა შორის და საუკუნეთა განმავლობაში ქრისტიანული საქართველოს სარწმუნოებრივი ცხოვრების ცენტრი.


საუკუნეთა მანძილზე სვეტი-

ცხოველს ბევრი რამ გადახდა თავს, ბევრჯერ დააზიანეს და დაანგირეს, თითქოს საქართველოს ყველა ჭრილობა მის კედლებზე-დაც აღიძეჭდა. მაგრამ მას ყოველთვის კვლავ აშენებდნენ. იგი მკვდრეთით აღდგებოდა ხოლმე, როგორც ქვეყნის უკვდავების სიმბოლო.

XIII ს-ის მინურულს, თემურლენგის ბარბაროსული შემოსევის დროს, დაინგრა გუმბათი, ჩამოეცალა პერანგის ნაწილი, შიგნით დაანგრიეს დასავლეთი მხარე, ბოძების ნაწილი, პატრონიკე. აღდგენას ხელი მოჰკიდა გაერთიანებული საქართველოს უკანასკნელმა მეფემ აღექსანდრე I-მა. მის დროს ხელმეორედ აშენდა ყველა დანგრეული ნაწილი გუმბათის ყელიანად.

სვეტიცხოვლის ტაძარი გეგმით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ძლიერ ნაგრძელებული სწორკუთხედია. ჯვრის სახე სივრცეშია შექმნილი გუმბათის ოთხივე მხარეს განვდილი ოთხი მკლავით. მკლავები სწორკუთხა გარდა აღმოსავლეთის მკლავისა, რომელიც საკურთხევლის აფსიდით არის დაბოლოებული. საკურთხევლის სამხრეთითა და ჩრდილოეთით ორსართულად განლაგებულია სათავსოები. გუმბათი ოთხ მძლავრ ბოძს ეყრდნობა. გუმბათის ყელში 16 სარკმელია. მიუხედავად იმისა, რომ ტაძარმა მრავალი ცვლილება განიცადა, იგი

## სამთავრო



დღესაც დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს...

სვეტიცხოვლის მახლობლად, იქვე, მცხეთამი მდებარეობს XI საუკუნის I ნახევრის კიდევ ერთი ძეგლი — **სამთავროს** საეპისკოპოსო ტაძარი. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს მისი გეგმა. სწორედ აქ იჩენს თავს მიდრეკილება უფრო კომპაქტური სივრცის შექმნისა.

სამთავროს ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა, მხატვრულ-სტილისტური ანალიზით XI საუკუნის 30-იან წლებს განეკუთვნება. ნაგებია მოყვითალო-მოყავისფრო კარგად გათლილი კვადრებით.

ტაძარში შესვლა სამხრეთის კარიბჭიდან შეიძლება. გუმბათი ეყრდნობა ორ თავისუფლად მდგომ ბურჯს და საკურთხევლის კედლების შვერილებს. საკურთხევლის ორივე მხარეს სადიაკვნე და სამკვეთლოა, რომლებიც ტაძრის მთავარ სივრცეს გასასვლელებით უკავშირდებიან. სამხრეთით მიშენებულია ვარსკვლავისებრი კამარებით გადახურული დიდი ექვტერი — კარიბჭე.

მეორე მინაშენი ჩრდილოეთის მხარესაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტაძრის დეკორატიული მორთულობა. აღმოსავლეთის

## სამთავროსი




ფასადზე გამოყენებულია ხუთალიანი კომპოზიცია. უფრო ინტენსიურად და ბრწყინვალედაა დამუშავებული სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადები.

**სამთავისის** საეპისკოპოსო ტაძარი (თბილისის ჩრდილო-დასავლეთით) საყურადღებოა არა მარტო განსაკუთრებული მხატვრული ღირსებებით — პროპორციულ შეფარდებათა საკვირველი ჰარმონიულობით — არამედ იმითაც, რომ აქ თავს იჩენს ზოგი თავისებურება, რომლებიც საფუძვ-

ლად დაედო შემდგომ განვითარებას. გეგმაში იგივე ტექნიკიცია ჩანს, რომელიც სამთავროში ვნახეთ: გამარტივება, დამოკლება; მართალია, აქ ჯერ კიდევ ოთხი გუმბათქვეშა ბოძია, მაგრამ აღმოსავლეთის ორი ბოძი ძალიან მიახლოებულია საკურთხეველთან. აღმოსავლეთის ფასადის დამუშავება, რომელსაც კვლავინდებურად ხუთთაღოვანი სისტემა უდევს საფუძვლად, რომელ დეკორაციულ კომპოზიციას ქმნის: საკურთხევლის მთავარი სარკმლის თავზე გაჩნდა უზარმაზარი მოჩუქურთმებული ჯვარი, სარკმლის ქვეშ — კუთხით დაყენებული და აგრეთვე, ჩუქურთმებით შევსებული ორი კვადრატი. ეს ელემენტები, რომლებიც ფასადის შუა ღერძზეა ასხმული, ერთმანეთს უკავშირდება მომჩარჩოებელი ლილვით — ზემოთ იგი მთავარ თაღებს ებმის, ქვემოთ კი კედლის ძირამდე ჩადის. კომპოზიცია შუა თაღის ორ მხარეს დამატებულ თაღებსა და ლილვებთან ერთად ქმნის პლასტიკურად პროფილირებულ ხაზების უწყვეტ, უალრესად დინამიკურ დინებას. სამთავისის აღმოსავლეთი ფასადის გავლენა ხანგრძლივი იყო. მან განსაკუთრებით იჩინა თავი XII საუკუნის მეორე ნახევარში. გეგმათა შემდგომი განვითარებაც სამთავროსა და სამთავის უკავშირდება.

## სამთავისი



XII საუკუნე შუა საუკუნეების საქართველოს „ოქროს ხანაა“. დაახლოებით 120 წელი დავით აღმაშენებლიდან თამარ მეფემდე არა მარტო სრული სტაბილიზაციის დროა, არამედ პოლიტიკური სიძლიერისა და ეკონომიკური აყვავებისაც.

**XII საუკუნე „იხსნება“ გელათის** სახელგანთქმული მონასტრით, რომელიც 1106 წელს დააარსა დავით აღმაშენებელმა ქუთაისის მახლობლად. მემატიანე აღტაცებით მოვითხოვობს, რომ მეფემ „მოიგონა აღშენება მონასტრისა... ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლოსა“ და ააშენა ტაძარი ყოვლად წმიდისა (ე.ი ღვთისმშობლის), „აღმატებულთა ყოველთა წინანდელთა ქმნულთა“.

იგიგანსაკუთრებით აღნიშნავს, რომ გელათი მხოლოდ მონასტერი კი არ იყო, არამედ მეცნიერებისა და განათლების ცენტრიც – „მეორე იერუსალიმი“ და, ამავე დროს, მეორე ათენი (ათენი ყოველთვის მიჩნეული იყო სიბრძნისა და მეცნიერების კერად). მართლაც, მონასტერთან დაარსდა აკადემია — ძველი საქართველოს ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული ცენტრთაგანი (აქ იღწვოდა გამოჩენილი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი).

მონასტრის გალავანში, მთავარი ტაძრისა და აკადემიის გარდა, მოთავსებულია სამრეკლო და ორი მცირე ეკლესია — **ნე. გიორგისა და ნე. ნიკოლოზისა.**

მთავარ ტაძარს აღმოსავლეთით სამი შევრილი აფსიდი აქვს. ძალიან ფართო შიგა სივრცე ჰარისა და შუქის სიუხვით გვიზიდავს. გუმბათის ყელის სარკმელთა გარდა ტაძარს საკურთხევლის, დასავლეთისა და გრძივი კედლების უზარმაზარი სარკმლები ანათებს. ტაძრისა და მინაშენთა კედლე-კამარები ერთიანად მოხატულია, ხოლო საკურთხევლის კონქში ღვთისმშობლისა და ორი მთავარანგელოზის მოზაიკური გამოსახულებაა.

გელათის ფასადები დეკორაციული თაღების საკმაოდ რთული სის-



ტემითაა გაფორმებული, მაგრამ ჩუქურთმა თითქმის არ არის. კედლები მოპირეობულია გათლილი ქვით — ზოგი მათგანი უჩვეულოდ დიდია და თქმულების თანახმად, ეს უშველებელი ლოდები თვით დავითის ხელით უნდა იყოს დაწყობილი. შვერილი აფსიდები, ჯვრის მკლავები, ექვტერები, მათი დაქანებული სახურავები და ფრონტონები მთელ შენობას მოძრაობასა და დინამიზმს მატებენ.

XII საუკუნის ბოლო ათეულ წლებსა და XIII-ის პირველ ნახევარში შეიქმნა ქართლის გუმბათოვანი ტაძართა ერთი დიდი ჯგუფი. ამ შენობებში საბოლოოდ შემუშავდა ქართული გუმბათოვანი ეკლესიის კანონიკური სახე. ტაძრის გეგმა უკვე მტკიცედ იცავს იმ ტენდენციებს, რომელიც XI ს-ის ცალკეულ ძეგლებში — სამთავროსა და სამთავრისში — ჩაისახა. გეგმა კიდევ უფრო დამოკლდა და კვადრატს მიუახლოვდა; ოთხი ცალკე მდგომი ბოძის ნაცვლად ორიღა დარჩა. აღმოსავლეთის ბოძების წყვილი საკურთხევლის კედლებთანაა შერჩყმული.

შეიცვალა პროპორციებიც: შენობის კორპუსი რამდენადმე და-დაბლდა, ხოლო გუმბათის ყელი

კიდევ უფრო ამაღლდა და კოშკივით ნამოიმართა. **X-XIII საუკუნეებმა უამრავი ძეგლი დაგვიტოვა.** მათი დიდი მხატვრული ღირსება, მკაფიო თავისებურება, განვითარების დამოუკიდებლობა ნებას გვაძლევს ქართული ხუროთმოძღვრება იმდროინდელი ევროპული და წინააზიური ხელოვნების ღირსშესანიშნავ მოვლენად ჩავთვალოთ. ბუნებრივია, იგი ენათესავება სხვა ქრისტიანულ ქვეყნების ხუროთმოძღვრებას, რომლებთანაც მას იდეური და ფუნქციური ამოცანების იგივეობა აკავშირებს. მაგრამ ეს მის ორიგინალობაზე გავლენას ვერ ახდენს.

ქართულ მწერლობასთან და სიმღერასთან ერთად სწორედ ქართული ხუროთმოძღვრება გამოსახავს ყველაზე სრულად და ნათლად ქართული კულტურის ეროვნულ თავისებურებას.

(თემას განვაგრძობთ  
გვიანი შუა საუკუნეების  
ხუროთმოძღვრების  
ისტორიული მიმოხილვის  
საზოგადოებრივ-რელიგიური  
ინტერნეტურნალი  
„ამბიონი“, 2011წ.)

# ძირის ნაკალარი

კახეთში, დედოფლისწყაროს რაიონში, ივრის ზეგანზე, უძველეს სამარხებს მიაკვლიეს. სამარხები VI-VIII საუკუნეებს განეკუთვნება.

ამ ტერიტორიაზე, შესაძლოა, უძველესი ნაქალაქარიც არსებობდეს.

ნაქალაქარის შიდა ციხე კილომეტრნახევრიანი გალავნითა და 12 მეტრის სიგანის თავდაცვითი თხრილით უნდა ყოფილიყო შემოსაზღვრული.

დედოფლისწყაროს რაიონის იმ ტერიტორიაზე, სადაც სამარხებს მიაკვლიეს, არქეოლოგიური სამუშაოები, სავარაუდოდ, 2017 წელს განხორციელდება. აკლდამების შესწავლის პროცესში უცხოელი სპეციალისტებიც ჩაერთვებიან.

დიდნაურის ნაქალაქარზე არქეოლოგიური სამუშაოები 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა. 100 კვ.მ მინის ფართობზე დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნარმომადგენლებისგან დაკომპლექტებულმა ექსპედიციამ ჩატარა.

ალმოჩნდა ქვით, თიხითა და ხის მორებით ამოყვანილი, შვიდი მეტრის სიგანის გალავანი და სამი



მეტრის სიგანის ჭიშკარი, კარგად მოკირნებული სავალი ნაწილით. გალავანი მკვიდრ საფუძველზე დაფუძნებული და რთული შიდა აგებულებით ხასიათდება. ზუსტი არაერთი პარალელი წინა აზიის ცივილიზაციების ნაქალაქარებზეა დადასტურებული.

უძრავ კულტურულ ფენებში მოპოვებული კერამიკული მასალით ექსპედიცია ნაქალაქარს ძვ. წ. XII-XI საუკუნეებით ათარიდებს.

**სამინისტროს ცნობით, სატელიტური გადაღების განხილვის შედეგად, რამდენიმე ასეული მატრის სიგრძის საიდუმლო გვირაბი გამოვლინდა, რომელიც, სავა-**

**რაუდოდ, ნაქალაქარის ცნობობარაგების საშუალებას თარმოადგენდა. არქეოლოგების აზრით, სცორედ ამ გვირაბი ძირული არასერი მდგრებული მდინარე მარაგდებად. გაირკვა სამაროვანის ადგილებრამდე.**

სეისმური მონიტორინგის ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით, ნაქალაქარი მძლავრი მიწისძვრის შედეგად დანგრეულა. არქეოლოგების ვარაუდით, კატასტროფა ძვ. წ. IX საუკუნეში მოხდა.

ნაქალაქარი, რომელიც სატელიტური ფოტოების გაშიფრის შედეგად ალმოჩნდა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დიდი შირაქის ველის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს.

ივრის ზეგნის ამ მონაკვეთში, გეოგრაფიულად, დიდი შირაქის, პატარა შირაქისა და ზილიჩის ნაყოფიერი ველებია – ველებს ირგვლივ მთაგორებზე ორმოცდაათი მცირე დასახლებაა.

რამდენიმე კვირის წინათ, სავარაუდოდ, ბრძოლაში დაღუპული მხედართმთავრის სამარხი გაითხარა. მუცლის არეში ჩონჩხის აღმოაჩნდა ისრის პირი, რომე





ლიც არ არის კავკასიური წარმო-  
მავლობის. ასევე, მას ზურგთან  
აქვს ბრინჯაოს მახვილი (ძვ.წ.აღ-  
ის XIII ს.).

სატელიტური გადაღებებისა და  
მცირე გათხრითი სამუშაოების  
მიხედვით, ნაქალაქარი სამხრეთ  
კავკასიაში ყველაზე დიდი ზომი-  
საა. ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ  
და ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხე-  
ებში დიდი ზომის ნაგებობებია.

გალავნის სამხრეთი ნაწილის  
გათხრებისას, კარიბჭის მახლობ-  
ლად აღმოჩნდა ორი რიტუალური  
ნაგებობა, ე. წ. შესანირი მაგი-  
დით, რომელსაც პარალელები ხე-  
თურ სამყაროში ეძებნება; ასევე  
მიაკვლიერს ერთ საცხოვრებელ  
სათავსოს. დიდი რაოდენობით  
აღმოჩნდილი არქეოლოგიური მა-  
სალის (ნაცრისფრად გამომწვარი  
თიხის ჭურჭელი, ქვის საბრძოლო  
იარაღები, თიხის საბეჭდავები და  
ბრინჯაოს ნივთების ფრაგმენტე-  
ბი) მიხედვით, „დიდნაურის“ ნაქა-  
ლაქარი შეუცდომლად ძვ. წ.აღ.-  
ის მეორე ათასწლეულის დასას-  
რულით და ძვ. წ.აღ.-ის პირველი  
ათასწლეულის დასაწყისით თა-  
რიღდება.

2015 წელს, არქეოლოგიური სა-  
მუშაოები ნაქალაქარის მხოლოდ  
გარე პერიმეტრზე, სამხრეთ გა-  
ლავნის კარიბჭესთან და ჩრდი-  
ლოეთით მდებარე სამაროვანზე  
ჩატარდა; სამხრეთის გაღავან-  
თან გაინმინდა კარიბჭე, მის სამ-  
ხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და-  
ფიქტირდა გაღავანთან შეერთე-



ბის კუთხე, სადაც შემორჩენილია  
შელესილობის ფრაგმენტები; აქ-  
ვე გამოიკვეთა ვერტიკალურად  
მდგარი ორი ბორის კვალი.

კარიბჭის შიდა არეში გამოვ-  
ლინდა ქვის ნაგებობების ფრაგ-  
მენტები. პირველ თხრილში გაიწ-  
მინდა თავდაცვითი თხრილის  
მცირე მონაკვეთი, მოხერხდა მი-

სი სრული პროფილის დადგენა.  
სამაროვნის ტერიტორია დაფა-  
რულია განსაკუთრებით დიდი  
რაოდენობის მდინარეული ნარი-  
ყი ქვითა და ღორლით. გარკვეულ  
მონაკვეთზე ქვიანი ფენის აღების  
შემდეგ გაითხარა ოთხი სამარხი.  
ინვენტარი აღმოჩნდა მხოლოდ  
ერთ სამარხში. ამ მასალის მი-  
ხედვით, სამარხებს ძვ. წ. აღ.-ის I  
ათასწლეულის დასაწყისით ათა-  
რიღებენ. ზოგადად, ნაქალა-  
ქარს, მოპოვებული კერამიკული  
მასალის საფუძველზე, ძვ. წ. XII-  
XI — VIII-VII საუკუნეებით ათა-  
რიღებენ.

დიდნაურის ნაქალაქარზე არ-  
ქეოლოგიური სამუშაოები წელ-  
საც გაგრძელდება. მთლიანი კომ-  
პლექსის გამოკვლევამ, შესაძ-  
ლოა, ძირულად შეცვალოს დას-  
კვნები ჩვენი წარსულის შესახებ  
და მრავალი საუკუნით გადაწიოს  
აღმოსავლეთ საქართველოში სა-  
ხელმწიფოს ჩამოყალიბების თა-  
რიღი.



**რამდენიმე კვირის წილით, სავარაუდო, ბრძოლაში  
დაღუკული მხედართავარის სამარხი გაითხარა.  
მეცნიერის არაში ჩორხეს აღმოაჩენდა ისრის პირი, რომელიც  
არ არის კავკასიური თარმომავლობის. ასევე,  
მას ზურგთან აქვს გრძელი (ძვ. წ. აღ.-ის XIII ს.)**

გელათი



ალავერდი



ISSN 1987-5908

